

2633

1958



# ბედი ქართლის

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

Bedi Karthlisa (« Le Destin de la Géorgie »)

RECUEIL HISTORIQUE, SCIENTIFIQUE ET LITTÉRAIRE GEORGIEN

Directeur : **K. SALIA** - 8, rue Berlioz, Paris (16) - Tél. : PASsy 75-35

No 28

JUIN 1958

No 29

## შინაარსი:

- პროფ. მ. წერეთელი აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა
- გ. გამყრელიძე 26 მაისი. მოგზაურის ოცნება
- კ. სალია „ქართველოლოგიის მიმოხილვა“
- გრიგოლ რობაქიძე სხვადასხვა
- მ. მ. თარხნიშვილი ქართული ბალაგარიანი და მისი ინგლისური  
თარგმანი პროფ. დ. მ. ლანგის მიერ
- კ. სალია როგორ შეხვდა ქართველი ერი ილიას სიკვდილს?
- † კ. იმნაძე თბილისის დატოვება
- ნინო სალია საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი პარიზში  
ევროპიელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი ბრუსელში
- ა. ტარსაიძე უკანასკნელნი წელნი ქართული მონარქიისა (1658-1838)
- პროფ. მ. წერეთელი კ. ჩხენკელის შრომა
- პროფ. მ. წერეთელი ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითის

## აკაკი შანიძე

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

შარშან, 1957 წელს, შეუსრულდა 70 წელი დიდ ქართველ მეცნიერს აკაკი შანიძეს და სამშობლოში ღირსეულად დააფასეს მისი 45 წლის დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე.

აკაკი შანიძე ერთი დამაარსებელთაგანია ქართული უნივერსიტეტისა. 1917 წელს, როდესაც საქართველომ ოდნავ თავისუფლად ამოისუნთქა, პირველი აზრი ქართველ მეცნიერთა, უცხოეთში მოღვაწეთა, იყო თბილისს სასწრაფოდ მოსლვა და იქ დაარსება ქართული უნივერსიტეტისა. შექმნა ქართული სამეცნიერო კერისა. დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით პეტერბურგიდან ჩავიდნენ თბილისს აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე; სხვა უცხო ქალაქთაგან სხვა ქართველმა მეცნიერებმა მიაშურეს თბილისს, შინაც მათ მნიშვნელოვანი მეცნიერული ძალები დახვდა, და ამით შექმნეს ქართული უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე პეტერბურგიდან, პეტრე მელიქიშვილი, ძმანი მოსეშვილები ოდესითგან. გ. ახვლედიანი, ნათიშვილი და ალადაშვილი ხარკოვითგან, შალვა ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვანი შინ, — ეს იყო ისეთი ძალები, რომელსაც ძალ-ედვა დიდი საქმის მორევნა, და მოერივნენ კიდევ, და რაოდენიმე წლის განმავლობაში თბილისის ქართული უნივერსიტეტი დიდ სამეცნიერო კერად გადიქცა, და არა თუ სხვა დიდი ქართველი მეცნიერები, როგორც მაგ. გრიგოლ წერეთელი, არამედ უცხონიც თვის პატივად და ღირსებად თვლიდნენ, თუ ქართული უნივერსიტეტი მათ მოიწვევდა და საშუალებას მისცემდა მეცნიერული მოღვაწეობისა.

აი ამ დიდ დამწყებთა შორის გამოირჩეოდა აკაკი შანიძე რალაც განსაცვიფრებელი ენერგიით და საქმის სიყვარულით. და რაც მას ტვირთი აეკიდა დიდი საქმის დასაწყისში, თვალთ გვინახავს და არ გვეგონა. თუ ამას ერთი კაცი შესძლებდა. ყოველთვის მაგონდებოდა და ახლაც მაგონდება ის ენერგია, ქვეყნის სიყვარული და თავ-განწირულება ქართველ მამათა წარსულში. ოდეს იგინი შინ და გარეთ მრავალგან მონასტრებს აშენებდნენ არა მხოლოდ ქრისტეს სამსახურისათვის, არამედ ქართული კულტურის აღსაორძინებლად. რასაც მათ ძველთ უნდა უმადლოდეს ქართველი ერი, იმასვე ამ ახალთ უნდა უმადლოდეს, — ახალთ, რომელთაც იგივე სული ამოქმედებდა, რავარიც ძველთ, — სული ქართული მარად შემოქმედი მიუხედავად ათას დაბრკოლებათა და უბედობათა. დიად, ეფთვიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწონელი და სხვანი ძველნი მაგალითნი არიან ჩვენი დროის ქართველ მეცნიერთათვის, — იგინი სულით მსგავსნი არიან. — იგივე მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში.



აკაკი ამ ძველთა მსგავსად ვაჟაკი იყო ყოველთვის, გულადი, შეუპოვადი, თუმცა ბუნებით მშვიდი და უწყინარი: როდესაც მან პეტერბურგში გაჯავრებულმა იხილა, რომ პროფ. ნ. მარტი, საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, და თვით ქართული ფილოლოგიის დიდი მსახური, მისი მასწავლებელი წელთა განმავლობაში, ქართული უნივერსიტეტის დაარსებას მტრულად შეხვდა, — თუ რატომ, ეს საიდუმლოება განსვენებულმა თან წარიტანა, — აკაკი მას არ მოერიდა და, გადუხანდა რა დიდი მადლობა წვრთისათვის ქართველთა სახელით, მკაცრად ამხილა იგი და ისე გამოეთხოვა. ეს ამბავი მსმენია და მჯერა, რათგანაც საქმე მამაცური აკაკის დიდი პიროვნების მიერ უნდა ყოფილიყო ქმნილი.

ორმოცი წელიწადია რაც აკაკი შანიძე მოღვაწეობს ქართული ფილოლოგიის დარგში დაუღალავად. და რაც მან შექმნა, იგი დიდია და მას „დიდი ფილოლოგის“ სახელი მოუხვეჭა. ასე იხსენებენ აკაკი შანიძეს ევროპიელი მეცნიერებიც, რომლებიც მის შრომებს იცნობენ. კვლევა ქართული ენის აგებულებისა, — ქართული გრამატიკები, ქრესტომათიები, — შედარებითი გრამატიკული კვლევა ქართული ჯგუფის ენათა, — ქართულ-ქანურ-მეგრულ-სვანურისა, კვლევა სხვა კავკასიურ ენათა, და სხვა, ყოველი სიღრმით ცოდნისა, სიმახვილით გონებისა და უაღრესი სისწორით მეთოდისა, ეს არის ის დიდი ძეგლი ქართული მეცნიერებისა, რომელსაც ვერც ერთი მისი წინამორბედის ნაშრომი ოდნადაც ვერ შეედრება. ხოლო აკაკი არ არის მარტო ენათ-მეცნიერი, ღრმად მცოდნე აგრეთვე მრავალ ევროპულ და აღმოსავლურ ენათა: იგი ამავე დროს ქართული ძველი მწერლობის მკვლევარია და რაც ამ დარგშიც მას შეუქმნია, იგი სიდიდით ეთანასწორება მის წმიდა ენათ-მეცნიერულ შრომებს: ხან-მეტ და ჰაე-მეტ უძველეს ქართულ ტექსტთა აღმოჩენა პალიმფსესტებში და მათი გამოცემა, წაკითხვა და გამოცემა უძველეს წარწერათა, გამოცემა ვრცელ ლიტერატურულ ძეგლთა, როგორც მაგალითად უძველეს თარგმანთა ოთხ-თავისა (სახარებისა) და მათი შედარება ათონის ვერსიასთან, გამოცემა ლექსიკონთა, როგორც მაგ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა (პირველად განსვენებულ იოსებ ყიფშიძესთან ერთად), გამოცემა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნისა“, და სხვა, — აი კიდე მეორე დიდი ძეგლი ქართული მეცნიერებისა, აკაკი შანიძის მიერ შექმნილი. — მსმენია, რომ მას დამზადებული აქვს გამოსაცემად მთელი „საღმრთო წერილი“, და რასაკვირველია იგი ისეთისავე ღირსების იქნება, რავგარისაც არის მისი „სახარება“, — ტექსტთა კრიტიკით მათი ღრმად შესწავლის შემდეგ. — და კიდე რაოდენი სხვა ღვაწლი მიუძღვის აკაკი შანიძეს ქართული ფილოლოგიის დიდ და სრულ მეცნიერებად აგებისათვის: კვლევა ქართულ დიალექტთა, გამოცემა ხალხური პოეზიის საუკეთესო ძეგლთა, დაუღალავი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისათვის და დადგენისათვის, და სხვა და სხვა...

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ აკაკი შანიძის ღვაწლი ვითარცა პედაგოგისა. თუ დღეს ქართული უნივერსიტეტი ამაყობს მის ფუძემდებელთა მიერ აღზრდილი და გაწვრთნილი ახალი თაობით მეცნიერთა, აკაკი შანიძეს აქაც უპირველესად უნდა უმადლოდეს იგი. ორი აგრეთვე დიდი მეცნიერი, ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია აკაკი შანიძის სკოლის და მეთოდის მეცნიერებიც არიან, სხვა მასწავლებლებთან ერთად აკაკი შანიძესაც უწვრთია იგინი. და

როდესაც ვკითხულობ, მაგ., ვ. თოფურიას დაუფასებელ შრომებს, სენატორების, ამ უაღრესად ძნელი ენის მეცნიერულად შესასწავლად გამოცემულს. იქ ვხედავ აკაკი შანიძის მეთოდს, რომელიც უნიჭიერეს მოწაფეს დიდი მასწავლებლისგან შეუთვისებია. ან როდესაც განვიხილავ დიდ ენათ-მეცნიერულ შრომებს, ა. ჩიქობავას მიერ დაწერილს, აქაც აკაკი შანიძის მაღლიანი ხელ-მძღვანელობა და უკეთილშობილესი წესი წერისა სჩანს, თუმცა საკუთარი შემოქმედებითი ნიჭი და აგრეთვე კეთილშობილი წესი წერისა ვ. თოფურიას და ჩიქობავასი დიდია და ორივეს აქვს მოხვეჭილი სახელი ჩინებულ და მნიშვნელოვან მეცნიერთა უცხოეთშიც. აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის საუკეთესო სემიტოლოგმა გ. წერეთელმა აკაკი შანიძისგან ისწავლა არაბული ენა. პირველად აკაკი შანიძე არაბულის პროფესორიც იყო, და როდესაც მისგან გაწვრთის შემდეგ გ. წერეთელი სწავლულ სემიტოლოგად გაიზარდა, აკაკიმ მას ჩააბარა თვისი არაბული კათედრა.

კმარა. შორს წავიყვანდა ამ დიდი ქართველი მეცნიერის ღვაწლთა ჩამოთვლა და მისი დიდი პიროვნების ღირსებათა აღნიშვნა. და არც ისე ადვილია ასეთ კაცთა დაფასება. — ხოლო რაც ვთქვი, ამით „უფროსმან ძმამან შორითგან სალამი დავიყეფეო“...

ვუსურვებთ დიდ მეცნიერს კიდე მრავალ წელს ცხოვრებისა ქართული მეცნიერების სამსახურად ისეთივე გულით და ენერგიით, რომელიც მას ახალ-გაზრდობითგანვე ჰქონდა.

მ. წერეთელი.

ს ა ვ ლ ე ი ნ ზ ო რ ო უ მ ა

დღეს ქართული მეცნიერება დიად მოწიფულია და ყოველ მის დარგს მნიშვნელოვანი ქართველი მეცნიერი წარმოადგენს. ეს არ არის მხოლოდ ცუდი ქადილი ქართველისა, არამედ სიმართლე: შესანიშნავი მათემატიკოსი მუსხელიშვილი, მოწაფე და ღირსეული შემდგომი დიდი მათემატიკოსის განსვენებული ანდრია რაზმაძისა; გამოჩენილი ფიზიოლოგი ბერიტაშვილი; დაუღალავი მკვლევარი ქართული მწერლობისა კ. კეკელიძე; დიდი ფილოლოგები ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი და სხ.; უდიდესნი მკოდნენი ქართული ხელოვნებისა და მისნი მკვლევარნი გ. ჩუბინაშვილი და შ.ამირანაშვილი; შესანიშნავი ბიზანტოლოგი და მკოდნე ძველი ქართული მწერლობისა ს. ყაუხჩიშვილი; ძლიერი მოაზრე და ფილოსოფოსი შ. ნუცუბიძე და სხვანი, მრავალნი მათნი მოწაფენი და თანამშრომელნი განთქმულნი არიან მთელ მეცნიერულ მსოფლიოში და მათ სახელს ხშირად ვხვდებით სამეცნიერო მწერლობაში.

ხოლო აქ ვახსენებ კიდე ერთ დიდ ქართველ მეცნიერს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ მეცნიერ-მოღვაწეთა შორის. იგი არ ეკუთვნის უნივერსიტეტის მეცნიერთა კრებულს, იგი არ ეკუთვნის არც ერთ მეცნიერულ სკოლას. იგი თვით-აღმზრდელი და თვითმწვრთელია თვისი მეცნიერული ინდივიდუალობისა, დამოუკიდებელი მოაზრე, და დაჯილდოვებული დიდი ნიჭით, ენერგიით და ინტუიციით, თვისი გზით მავა-

ლი და მრავლის, დიდი ღირებულების მქონის შემოქმედი თვისი მეცნიერების დარგში.

პავლე ინგოროყვაც ფილოლოგია, ქართული ფილოლოგიის უფალთაგანი. ჯერ კიდე ახალ-გაზრდობაში მიიქცია მან ყურადღება ქართული მეცნიერებისა მის მიერ გამოცემით „ძველ-ქართული სასულიერო პოეზიისა“. რა ნიჭით უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული ახალ-გაზრდა, რომელმაც უნივერსიტეტოდ და უმასწავლებლოდ შეისწავლა ისე ზედა-მიწვევით ძველი ქართული და მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ქართული ძველი მწერლობის ძლიერ ძნელი დარგის კვლევას! და მასზედ დამყარებული იმედები მაშინ თვისი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობით შემდეგ არა თუ გაამართლა მან, არამედ დღეს მისი მეცნიერული შემოქმედება ბუმბერაზულად გვეჩვენება.

საგანი პავლე ინგოროყვას კვლევისა იყო და არის ქართული მწერლობის ყველა დარგი და მის ყოველ თხზულებას ახასიათებს სიღრმე აზრთა, გაბედულობა ჰიპოთეზისთა, მკაცრი კრიტიკა ტექსტთა, და, რასაკვირველია ღრმა და ფართო ცოდნა კვლევის საგნისა. — დაუფასებელია მის მიერ განხილვა ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც განსხვავდება სხვა მეცნიერთა ნაკვლევთაგან და ბევრ შემთხვევაში შემასწორებელი მათ შეცდომათა. მაგ. მართალია პ. ინგოროყვას აზრი, მტკიცება საფუძვლიანი, რომ ლეონტი მროველი, ავტორი „ქართველთა მეფეთა ცხოვრებისა,“ მერვე საუკუნის ისტორიკოსი იყო და არა მეთერთმეტისა, რაგვარადაც ეს ეგონა ივ. ჯავახიშვილს და სხვათ. ინგოროყვას აზრს იზიარებს ჩვენი ევროპაში გამოჩენილი მეცნიერი მამა მიხეილ თარხნიშვილიც. — აზრთა აღმძრველი და დამაფიქრებელია მკითხველისათვის, მეცნიერ მკითხველისათვისაც ინგოროყვას „რუსთველიანა“, მიუხედავად მისი განქიქებისა მრავალთაგან. რასაკვირველია, შეიძლება არც რუსთველის ბიოგრაფია, ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი, და არც რუსთველის მსოფლიოს ხედვა, ინგოროყვას მიერ „ვ.ტ.“-ში ხილული, არ იყოს მისაღები, მაგრამ თვით მისი ცდა დიდ პრობლემათა გადაწყვეტისა არის უაღრესად საინტერესო. ამ ჰიპოთეზისებში „რუსთველიანას“ ავტორს იმდენი ცოდნა აქვს ჩადებული, იმდენი საინტერესო აზრი გამოთქმული, რომ მკითხველი ამ წიგნით არა თუ მრავალს სწავლობს, არამედ მას მრავალი აზრი აღეძრება და სწორედ ინგოროყვას შეცდომათა კრიტიკით შეიძლება მართალი. მაგრამ „რუსთველიანას“ ღირებულება ავტორის ზოგ მცდარ ჰიპოთეზისთა უკუგდებით არ ქრება, არამედ უდიდესი ღვაწლი, რომელიც ინგოროყვამ რუსთველოლოგიისათვის გაიღო, არის „ვ.ტ.“-ის ტექსტის კრიტიკა: ძველ და გვიანდელ ფენათა აღმოჩენა თვით უმოკლეს ვერსიაში ვახტანგისა, ცდა „ვეფხ.ტ.“-ის განწმედისა გვიანდელ ჩანართთაგან, შესწორება ტექსტის გადამწერთაგან წარყენილ ადგილთა, და სხვა. ამით მან, მის წინამორბედთა შემდეგ, მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა პირველმა „ვ.ტ.“-ის ტექსტის კრიტიკას, რაიცა აუცილებლად საჭიროა, რომ ბოლომდის იქმნას მიყვანილი, თუ ქართულ მეცნიერებას მიზნად დაუსახავს ნამდვილი „ვ.ტ.“-ის სახე დაახლოვებით მაინც აღადგინოს. თვარა რას ჰვავს უინი, — „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ეს ყოველად უშნო „შეთავება“, რომელიც თვით ვახტანგის ვერსიაში არ არის, უსათუოდ რუსთველის უნდა იყოსო, ან რალაც უშვერი და უაზრო ჩანართები



თვით ტექსტში, რომლის განდევნას ზოგი კრიმინალობად უთვლის „ვ.ტ“-ის ტექსტის კრიტიკოსს. რასაკვირველია უფრო ძნელია ნიჭიერი „შემკაზმველის“ მიერ რუსთაველურ სტროფთა ჩანართობის დამტკიცება, მაგრამ ბოლოს ეს სიძნელეც უნდა ძლეულ იქმნას კრიტიკის მიერ. — ინგოროყვამ თვის გამოცემაში „ვ.ტ“-ისა (თბილისი, 1953 წ.) ბევრი რამ შესასწორა ტექსტში, უმეტეს ნაწილად ხელთ-ნაწერთა მიხედვით, რომელთა შესწავლას მან დიდი ენერგია შეაღია, და ამით მან შემდეგი დიდი ნაბიჯი გადადგა „ვ.ტ“-ის ტექსტის აღდგენისათვის, ურომლისოდ შეუძლებელია ესთეტიურად განცდა შოთას უკვდავი ნამდვილი ქმნილებისა და მისი ნაყოფიერი მეცნიერული კვლევაც.

შორს წავიყვანდა პ. ინგოროყვას მეცნიერული ღვაწლის სრული განხილვა და დაფასება. არც გვაქვს ამის პრეტენზია, არც ძალ-გვიძს ესე. აღვნიშნავთ აქ მხოლოდ მის უკანასკნელ მონუმენტალურ შრომას: „გიორგი მერჩულე“ (თბილისი, 1954 წ.). წიგნი 1000 გვერდზედ მეტს შეიცავს და შედგება ორი ნაწილისაგან: 1) გიორგი მერჩულე და მის თხზულებასთან „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ დაკავშირებული მთელი ისტორია საქართველოსი ძველი ხანიდან მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე, და 2) ძველ-ქართული პოეზია 5-12 საუკუნეთა.

გიორგი მერჩულეს (მერჩულე ნიშნავს მერჯულეს, სჯულის მოძღვარს, იურისტს) ვინაობის და მოღვაწეობის აღწერის შემდეგ ინგოროყვა მისი თხზულებების (ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა) ირგვლივ მოგვითხრობს მართალ ისტორიას საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმთა, ქართლ-მესხეთისა, კახეთ-ჰერეთისა, აფხაზეთ- დასავლეთ-საქართველოსი, მათ წარმოშობას და განვითარებას განსაზღვრულ საერთაშორისო პირობებში, რაიცა დამთავრდა მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს მტკიცე საფუძვლის ჩაყრით საქართველოს გაერთიანებული და ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის. ინგოროყვა სწორ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა სივრცე ეჭირათ გრიგოლ ხანძთელის დროს და მასზედ წინათ ქართველ ტომთ კავკასიაში და აგვიწერს მათ კულტურას, რომელიც განვითარების უკვე მაღალ ხარისხზედ იდგა, განსაკუთრებით თვისი ხუროთმოძღვრებით და მწერლობით, არა თუ მაშინ იწყებდა განვითარებას პრიმიტიულ ძირთაგან. მართო სამწერლობო ენა ქართული მეათე საუკუნისა, რომლითაც დაწერილია გიორგი მერჩულეს თხზულება, მაჩვენებელია მაშინდელი ქართული კულტურის, — ენა, რომელიც თვისი სისრულით და შევნიერებით თვით კლასიკურ ბერძნულს არ ჩამოუვარდება, და არა ფეხ-აღდგომის დასაწყისში მყოფი, რაგვარაც ეგონა წინათ ფრანგ მეცნიერს ცოტენბერგს, და სხვათაც, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა იყო ძველი ქართული სამწერლობო ენა. — ინგოროყვამ საბოლოოდ განამტკიცა სიმართლე წინათაც გამოთქმული აზრისა, რომ ბაგრატიონთა სამეფო გვარი ქართული შთამომავლობისა იყო, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გამეფებული და შემდეგ სომხეთში. და ყოველსავე ამას ინგოროყვა მოგვითხრობს. ისეთი ცოდნით, ისეთ საბუთთა მოცემით, ისეთი სიყვარულით სიმართლისა და თვისი ქვეყნისა, რომ კითხვა მისი მონუმენტალური შრომის ამ ნაწილისა უდიდეს სიამოვნებას და კმაყოფილებას ანიჭებს სულს. ხოლო იმ მეცნიერთ, რომელნიც ბაგრატიონთა შთამომავლობის საკითხს, ქართველთა მოსახლეო-

Read  
into  
the  
text

ბას და მის კულტურას ამ ეპოქაში არა მართებულად განიხილავენ, ზოგნი უნებურად და საბუთთა უქონელობით, ზოგნი კი ნებსით, საქართველოსადმი არა-მეგობრულად განწყობილნი, ინგოროყვა სასტიკად და სამართლიანად განაქიქებს და ნათელ-ჰყოფს ზოგთა შეცდომათ, და ზოგთა სიმრუდეთ. — რასაკვირველია, აქაც აქვს ინგოროყვას ზოგი რამ ნათქვამი, რასაც შეიძლება კაცი არ დაეთანხმოს, მაგრამ ესე ყოველი წვრილმანია და უმნიშვნელო, ხოლო ერთობ მეცნიერული ქმნილება მისი დიდია, საუკეთესო ნაკვლევი საქართველოს ისტორიის ამ ეპოქისა და მუდამ დარჩებაიგი ასეთ ძველად ჩვენ მეცნიერებისა. — შემდეგ სიმართლის მაძიებელ ნიჭიერ მკვლევართა მიერ მხოლოდ შესწორებული და განთავისუფლებული იმ მცირე ნაკლთაგან, რომელნიც მასაც შეიძლება ჰქონდეს. რაგვარადაც ყველა დიდ ნაწარმოებსაც.

მეორე ნაწილი ამ დიდი შრომისა არის განხილვა ძველ ქართულ საგლობელთა, ორიგინალურ ქართულთა და გადმოქართულებულ ბიზანტიურთა. შეკრებილთ ძველ ქართველ ჰიმნოგრაფთაგან და საეკლესიო მუსიკოსთაგან. თვით გრიგოლ ხანძთელი და გიორგი მერჩულე დიდი სასულიერო პოეტები ყოფილან! ინგოროყვას მიერ ამ წიგნში დაბეჭდილ მრავალ მათგანთა, სხვა და სხვა გვარის ლექსად დაწერილთა, ლექსობრივად შესწავლა. — ეს კი ავტორის საკუთარი ნამოქმედადია და ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი, რომელსაც ვერც ერთი ნაკვლევი ქართული მწერლობის ამ დარგისა ინგოროყვას წინამორბედთა მიერ ვერ შეედრება. აქ ქართული ჰიმნოგრაფიის მკაცრი მეცნიერული შესწავლაა მოცემული, და ამას ისეთი ფორმით ვხედავთ ინგოროყვას წიგნში, რომლითაც მხოლოდ ავტორის დიდ ნიჭს და ინტუიციას შეეძლო მოეცა.

ჰკითხულობ ამ საგლობლებს და ჰგრძნობ. თუ როგორი გავლენა ჰქონებია ქრისტეს სარწმუნოებას ქართველის სულზედ და რაგვარი გულით განიცდიდა იგი მას და ჰმსახურებდა. აღმოვიღებთ ერთ საგლობელს რატი ორბელისა (მეათე საუკ. ბოლო), რომელიც ერის კაცობაში არ იყო წმიდა კაცი. არამედ ამ ქვეყნის ბოროტებას ნახიარები.

**გალობანი სულისანი.**

1. ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის, შევნიერებაჲ და დიდებაჲ დაქნების, ხოლო სიმდიდრე დაღპების და წარწყმდების. რასა ცუდად ვმალლოით, ოდეს ყოველნი მოკვდავნი ვართ და მიწად მიტყვევადნი!
2. მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა: სადა არს შური, საოცრებაჲ და კდომაჲ? სადა არს ძვირის ქსენებაჲ და ზუაობაჲ და კორცთა გულის-თქუმანი? — აჰა ესე-რა მიწა, ნაცარ და თიკა ქმნილ-არს ყოველი...

ამას ამბობდა დიდი ორბელი, კაცხის მამულის მფლობელი და შესანიშნავი მონასტრის აღმაშენებელი, განწმედილი ბოროტებისაგან სულით, ერთად-ერთი სასოების, ქრისტეს სასოების მქონე.

და ეს უღრმესი სარწმუნოებრივი გრძნობით აღსავსე ლექსები გალობით იყო ნათქვამი. ვისაც სმენია განსვენებულთ ანტონ ღუმბაძისა და დიმიტრი ჭალაღანიძის გალობა, რაჟედნ ხუნდაძის ქართულ ძლის-პირთა და მსგავსთა



თქმა, რომელიც ძველთაგან არიან გადმოცემულნი და გადარჩენილნი დროთა უკუღმართობას, მას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რაოდენი იყო ინგოროყვას მიერ აღწერილ ხანაში მრავალ-ხმიანი გალობა და რა შვენიერი. მუსიკა ქართული, სასულიერო თუ საერო, ძველის-ძველია, ძირები მისი უხსოვარ, წარმართულ წარსულში იკარგება. უძველესი წარმართი ქართველები იმავე ხმებით ადიდებდნენ მათ ღმერთებს, რაგვარადაც შემდეგ ქრისტეს და მის დიდ წმიდათ. და ეს მუსიკა არის წმიდა ეროვნული, ხალხური, ინდივიდუალური შემოქმედება ქართველისა. და იგი ერთი უშვენიერესთაგანია სხვა ერთა ხალხურ, ეროვნულ მუსიკათა შორის. ხოლო სირთულითა და სიღრმით მას ვერც ერთი სხვა უცხო ვერ შეედრება, ვერც სასულიერო და ვერც საერო (აქ მე არ ვგულისხმობ ქართულ გიტარის საერო მუსიკას, ან ზოგ საეკლესიო საგალობელს, რომელიც ქართული არ არის, არამედ უცხო, სხვისაგან შეთვისებული). თვით კილო წირვისა ქართული, მიუხედავად ქართული წირვის ბიზანტიურიდან წარმოშობისა, თავისებურია, ქართული, მსგავს კილოს ვერ მოისმენთ ვერც ერთ სხვა ქრისტიანულ ეკლესიაში. და თვით სახარების კითხვის ქართული კილო იყო განსაკვიფრებელი, სულის აღმამაღლებელი ღვთაებამდე და მიმპყრობი მისი წაკითხულის შინაარსზედ. ვისაც განსვენებული იოსებ შარაბიძის, ქუთაისის საეპისკოპოსო ტაძრის ჟოჯორდიაკენის მიერ მოუსმენია კითხვა სახარებისა, მას დიად მოაგონდება ის, რასაც მე აქ ვამბობ.

და მსმენია: პ. ინგოროყვა იმასაც სცდილობს ქართული ჰიმნოგრაფიას სხვა მცოდნეთა და აგრეთვე მუსიკოსთა თანამშრომლობით, რომ ძველ ქართველ სასულიერო კომპოზიტორთა მიერ მოცემული ნიშნებით და მითითებით წარმოდგენა მოგვცეს ძველ ქართულ დიდებულ საეკლესიო მუსიკაზედაც. მრწამს რომ იგი ამას შესძლებს!... ინგოროყვა სწერს: „ჩვენ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ლიტერატურა არის მაღალი რანგის ლიტერატურა, რომელიც, ამავე ხანის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, დგას საშუალო საუკუნეების ევროპიული მსოფლიოს ლიტერატურათა პირველ რიგში. გასაგებია ყოველივე ამის შემდეგ, რომ ქართული ლიტერატურის განვითარება საშუალო საუკუნეებში დაგვირგვინდა ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენით, როგორიც არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 552).

ხოლო ამის ნათელ-ყოფისათვის თვით პ. ინგოროყვას მიუძღვის უდიდესი ღვაწლი.

გუსურვებთ აგრეთვე ამ დიდ ქართველ მეცნიერს დღეთა გრძელობას და ენერგიას, რომ მოხუცს კიდე ეძღვნას ქართველი ერისათვის სხვა მონუმენტალური ძველი მეცნიერებისა. მსგავსი „გიორგი მერჩულესი“.

— „ესე-ლა დაგვრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა!“...

მ. წერეთელი.

## 26 მაისი

გაისმა ზართა რეკვა ხმოვანი  
მამადავითზე და ძველ სიონზე;  
და აფრიალდა სამფეროვანი  
ქართული დროშა კავკასიონზე.

ფრთები შეისხა ფიქრმა ნეტარმა  
ერს რომ დაჰქონდა სათუთად უბით  
და უძლეველმა თეთრმა მხედარმა  
ბილწი ვეშაპი განგმირა შუბით.

შემოელეწა ჯაჭვები რკინის  
ამირანს, ხელფეხს რომ უბანდაკდენ.  
და იყო ყველგან შეება და ლხინი  
ლაზისტანიდან დარუბანდამდე.

გამოდრიოდენ დროშებით ხელში  
სოფლის ბიჭები და გოგონები,  
და დახოცილნი ეყარენ ხევში  
ქაჯები, დევნი და დრაკონები.

თავს დაგვნათოდა ელვა-კრიალით  
შვიდი მნათობის ოქრო მძივები,  
დაჰქროდენ ცაში ფრთების შრიალით  
თავისუფალი მთის არწივები.

და შეიმოსა ნათელით მზისა  
ოდები, ფაცხა და დარბაზები,  
ისევ ყვაოდა თამარის მიწა,  
ისევ ხარობდენ ნინოს ვაზები.

დღეს კი უკუნით შემოგარსულნი  
მოველით ახალ ვარდისფერ აისს.  
კურთხეულ იყოს ერის წარსული,  
დიდება მარად ოცდაექვს მაისს!

დალლასი, 1958 წელი.

გ.გამყრელიძე

## მოგზაურის ოცნება

### I

ამ შარაგზას რომ გავცდები  
ქარიანს და მტვრიანს,  
დავინახავ კოხტა ეზოს  
და სახლს კრამიტიანს.

დავინახავ ჩრდილში ხარებს  
ღვინიას და წაბლას,  
ლობის ყურში, საბძლის ახლო,  
კოპიტების დაბლა.

კრუხი დადის წიწილებით  
და ვარიაც ორი,  
ეზოს ისევ დასტრიალებს  
ძველებურად ქორი.

მკათათვეა, ოქროს ძნები  
ამშვენებენ სოფლებს,  
ჭიანური გაუმართავთ  
ცაცხვზე ჭრიჭინობლებს.

უმღერიან მზეს და გვალვას  
ერთფეროვან ჰანგებს.  
მე კი მინდა ჩვენ ეზოსთან  
ჩაეიარო განგებ.

და ეზოში მოხუცს ვხედავ  
ყავარჯენით ხელში,  
თეთრი თმით და თეთრი წვერით  
და მოღუნულს წელში.

სალამს ვაძლევ, თავდახრილი  
მის წინაშე მდგომი —  
„ყარიბი ვარ, მგზავრი ვინმე  
დასვენების მდომი“.

მაკვირდება... მაგრამ ვერ მცნობს,  
თანაც ამბობს თბილად:  
„აი, აგერ კაკლის ჩერო  
წამოწეჭი, გრილა.“

„მე გოგონებს გადავცახებ  
და არ მოიწყინო,  
მსურს მოგართვან აქ ჩეროში  
სამხარი და ღვინო.“

თავს ვიმაგრებ... არ მსურს მიცნოს...  
მაგრამ როდი მჯერა.  
ცრემლი მახრჩობს, გულს გაუდის  
ბაგაბუვით ძვერა.

სული ყელში მებჯინება,  
თვალებს ცრემლი ნამავს  
და უეცრად აღმომხდება  
ქვითინი და „მამავ“.

მამა მიცნობს: „აი შვილო,  
რომ ვეძებდი ვნახე“.  
და ბამბისფერ წვერულევაში  
დამიფარა სახე.

ყვირის — „მოხდა სასწაული  
ღიადი და ძვირი,  
დამიბრუნდა ეგვიპტეში  
გაყიდული შვილი“.

ზეიმია. ხარი დაჰკლეს,  
თონეს ასდის ალი,  
ლალის ღვინოს ყველა აქებს  
ფხიზელი და მთვრალი.

### II

ღილით, მზის რომ გამოჩნდება  
ოქროქოჩორ თავი,  
მთაში ჰყეფენ არწივები  
ხარ ირემი ბლავის.

მაგრამ ღამით რომ გაეკვრის  
ზეცას მთვარე მკრთალი —  
კოშკში შუქი გაიელვებს  
მზეთუნახავ ქალის.

ჩვენი დიდი წინაპრები  
როს ჩეხავდენ დევებს,  
ხმლის ნაკვესი ელვარება  
ანათებდა ხეებს.

ფუძეს უძევს ნადუღარი  
ფოლადი და კირი,  
ორიათას წელზე გრძელი  
ჩვენი ტომის ძირი.

### III

განა მართლა საწყალი ვარ  
და უჯიშო გვარის,  
მაწანწალა, ემიგრანტი,  
უპატრონო მკედარი?

და თუ მიმცემს უცხოეთის  
მიწას — ბედი ავი,  
თუ ჩემს საფლავს ვერ იტირებს  
ძმა და ნათესავი;

არა, ისევ მდიდარი ვარ  
ძველ ოცნებით ვთბები.  
ვენახიც მაქვს, სახნავებიც,  
ტყეც და სათიბებიც.

ოკვენეს გადმოლახავს  
საქართველოს ქარი  
და ჩამძახებს: „სალამს გითვლის  
რიონი და მტკვარი“.

დალასი, 1957, შემოდგომა.

გიორგი გამყრელიძე.

## „ქართველოლოგიის მიმოხილვა“

„ბედი ქართლისას“ უცხოურ ენებზე გამოცემის საჭიროება ჩვენთვის იმ თავითვე ცხადი იყო, მაგრამ მის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება ელოებოდა წინ. მთავარი სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ ადვილი არ იყო უცხოელ ქართველოლოგების თავმოყრა და მათი დათანხმება თანამშრომლობაზე. მართალია, ჩვენ გვყავს დამსახურებული ქართველი ქართველოლოგები საზღვარ-გარეთ, მაგრამ მხოლოდ მათი მონაწილეობა ვერ იკმარებდა ევროპიულ ენებზე კრებულის გამოსაცემად. წელთა განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით დასახული მიზნის მისაღწევად; უკვე საკმაოდ ცნობილი ჩვენი ჟურნალის საშუალებით ვეცნობოდით და ვუკავშირდებოდით ქართული კულტურის კვლევის სამსახურში მყოფ მეცნიერებს. გვეხმარებოდენ ამ საქმეში ჩვენი თანამშრომლებიც, განსაკუთრებით მ. მ. თარხნიშვილი და მიხ. მუსხელიშვილი. შეგვირიბეთ რა მნიშვნელოვანი რიცხვი თანამშრომელთა. საცდელად დავუთმეთ ორი წლის წინათ დიდი ნაწილი ჩვენი კრებულისა მასალებს დასავლურ ენებზე (№ 21-22). ამ ნომრით მიხწეულმა შედეგებმა მოგვცა საშუალება დაგვეწყო მეტად საპასუხისმგებლო საქმე და დაგვეარსებია Revue de Karthvéologie

„ქართველოლოგიის მიმოხილვის“ გამოსვლამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მეცნიერულ წრეებში. რედაქციამ მიიღო მრავალი მეტად მნიშვნელოვანი წერილი, რომელიც უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება. არა ერთმა ჟურ-

ნალმა აღნიშნა გამამხნეველ ფორმებში მისი დაარსება. დიდ ინტერნაციონალურ ჟურნალ Oriens Christianus -ში თვითონ გამომცემელმა და რედაქტორმა პროფ. ე. მოლიტორმა უძღვნა მას სპეციალური წერილი. ყველა ქართველოლოგები იხსენიებენ ჩვენ ჟურნალს თავიანთ ნარკვევებში და მიუთითებენ მასზე.

ქართველოლოგიის კრებული „ბედი ქართლისა“ მიწვეულ იქმნა მისი ხელმძღვანელების სახით ორიენტალისტების ინტერნაციონალურ კონგრესზე მიუნხენში, 1957 წ., რომელსაც 1500 მეცნიერი დაესწრო და სადაც ჩვენი მოთხოვნილება ქართველოლოგიისათვის ორიენტალისტიკაში დამოუკიდებელი ადგილის განკუთვნიების შესახებ დადებითად იქმნა განხილული კონგრესის სპეციალური კომისიის მიერ (პროფ. ალ. ნიკურაძისა და სხვა გერმანელი მეცნიერების დახმარებით).

„ბედი ქართლისა“ მიიღებს აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე წელში ბიზანტოლოგების ინტერნაციონალურ კონგრესზე თავისი თანამშრომლებით.

რიცხვი უცხოელ ქართველოლოგთა დიდი არ არის. უმთავრესნი არიან: ვ.ე.დ. ალენი, ი. ასფალგი, მ. ბრიერი, გ. დეეტერსი, ე. გარტიტი, დ.მ. ლანგი, რ. ლაფონი, ი. მოლიტორი, კ. თუმანოვი, ჰ. ფოგტი და რ. სტივენსონი. მათ შორის 3 თუ 4 ფლობენ სავსებით ქართულ ენას. ხოლო ვინც ქართული ენის ცოდნით შეიარაღებული არ არის, მისთვის საკმაო მასალა არ მოიპოვება საქართველოს შესახებ დასავლურ ენებზე, გარდა სომხური, ბერძნული და რუსული წყაროებისა. რომლებიც არიან მეტწილ ცალმხრივი და ტენდენციური. ეს ხელს უშლის, რასაკვირველია, ქართული კულტურის საკითხების სწორად გაგებას. მიუხედავად მკვლევართა კეთილსინდისიერი ცდისა და სურვილისა. ამ გარემოებით აიხსნება ხშირად შემცდარი დაფასება ჩვენი კულტურისა და მისი დამცირებაც, როგორც მაგ. ერთმა ევროპელმა მეცნიერმა იკადრა ეთქვა „სიბრძნე ბალავარის“ ირგვლივ ატეხილ დავის გამო: „ქართველ მწიგნობარს (ექვთიმე მთაწმიდელს) არ შეეძლო, მე 10-11 საუკუნეთა მიჯნაზე შეექმნა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი იმ დროინდელი ქართული ლიტერატურის დაბალი დონის გამო“-ო. ასევე ითქმის დღემდე განმეორებულ და გავრცელებულ ლეგენდაზე ქართული ანბანის სომხების მიერ შექმნის შესახებ.

არა საიმედო, ტენდენციურ წყაროთა გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით უდიდესი მეცნიერების, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის მტკიცება მთელი რიგი ძლიერი საბუთებით, რომ ბოლნისის წარწერა მეხუთე საუკუნეს ეკუთვნოდა, მხედველობაში არავინ არ მიიღო, სანამ არ აღმოჩნდებოდა დათარიღებული ნაწილი ამ წარწერისა. თუ მეხუთე საუკუნის ქართული ძეგლი სრულყოფილი ქართული ენით არის დაწერილი, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული დამწერლობა დიდი ხნით ადრე უნდა არსებულიყო და მეხუთე საუკუნემდე მას მრავალი საფეხური განვითარებისა უნდა გაეკლო?

საბედნიეროდ, სიმართლე ნელ-ნელა გზას იკვლევს, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებულ მრავალ დაბრკოლებათა; ქართული კულტურის კვლევის საკითხი სწორ ნიადაგზე დგება. მისი შესწავლის ინტერესი დღითი დღე

იზრდება. დიდი მუშაობა სწარმოებს საქართველოში და საზღვარ-გარეთ ჩვენი ქვეყნის კულტურის შესახებ მეცნიერებაში დამკვიდრებულ ყალბ შეხედულებათა გასაფანტავად. ჩვენ ჟურნალსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში. სახელგანთქმულ მეცნიერთა ნარკვევების გამოქვეყნების გარდა, მან შეაგროვა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა გამოცემებში გაბნეული მეცნიერული შრომები, გამოაქვეყნა მათი სია და მკვლევარს ხელთ მისცა ერთად თავმოყრილი მასალა: რომელმა მეცნიერმა, სად, როდის, რომელ ჟურნალში და რა თემაზე გამოაქვეყნა შრომა საქართველოს შესახებ.

ყოველი მეცნიერი ქართველოლოგი გვაწვდის აგრეთვე ამონაბეჭდს ამა თუ იმ ჟურნალში დაბეჭდილი მისი წერილისა, ან წიგნს მის მიერ გამოცემულს.

ამნიარად „ბედი ქართლისას“ საშუალებით მკითხველს ყოველთვის შეუძლია გაეცნოს საქართველოს კულტურის შესახებ უცხოეთში გამოქვეყნებულ ყველა მასალას.

ამავე დროს ჩვენ ვცდილობთ უცხოელ მეცნიერთ მივაწოდოთ ცნობები საქართველოში გამოსულ წაკვლევთა შესახებ. თბილისის უნივერსიტეტი ძვირფას შრომებს აქვეყნებს ჩვენი ქვეყნის დიადი წარსულის გამოსამზებურებლად. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დიდი ნაწილი ამ შრომებისა არ იბეჭდება ევროპიულ ენებზე, რომ ის მისაწვდომი იყოს მეცნიერთა ფართო წრისათვის.

ქართველოლოგიის კრებულმა „ბედი ქართლისა“-მ საგრძნობ შედეგებს მიახწია მოკლე ხნის განმავლობაში.

ვეცდებით უფრო მეტი გავაკეთოთ ჩვენი თანამშრომლებისა და მეგობრების დახმარებით ქართული კულტურის კვლევისა და დაცვის საქმეში.

კ. ხალია

## ს ს ვ ა ღ ა ს ს ვ ა

ვთქვათ: ერთი ამბობს იმასავე, რასაც ამბობს მეორე. ნათქვამი არაა მანც ძალის მხრით ერთი-და-იგივე: ერთის თქმა უფრო ძლიერია ვიდრე მეორესი. განსხვავება შეაქვს აქ პიროვნების უშუალოდ მომქმედ ძალას. ახლა ავიღოთ უშუალოდ მომქმედი ძალა ხელოვანის პიროვნებისა. დავარქვათ მას „ცეცხლი“. ღვივის თუ არა ეს „ცეცხლი“ ხელოვნურ ნაქმში? უნდა ვიფიქროთ: ღვივის. მეტის თქმა აქ ჩვენ არ შეგვიძლია. „უშუალოსი“ განცდა შეიძლება მხოლოდ: მისი საგნური დადგენა შეუძლებელია. შეიძლება ამ უჩინარ „ცეცხლშია“ მოქცეული ამა თუ იმ ძალის ჯადო ხელოვნური ნაქმისა.

კითხულობ რომელიმე რომანს. კითხულობ გატაცებით: შებოჭვილი ხარ, დაჭიმული ხარ. ათავებ კითხვას — შთაბეჭდილება თავდება. ასეთი რომანი დიდი ღირსების არაა. კითხულობ სხვა რომანს. კითხულობ გატაცებით: შებოჭვილი ხარ, დაჭიმული ხარ. ათავებ კითხვას — შთაბეჭდილება არ თავდება: იგი გრძელდება და თანაც იზრდება, ღრმავდება. ეს ნიშანია იმისა, რომ რომანი მაღალი ღირსებისაა. ესევე ითქმის ყოველ ხელოვნურ ნაქმზე.

არის ქართულში ერთი უცნაური ფორმა. დააკვირდით! „მე უნდა გავაკეთო“. („კეთება“ მაგალითისათვის.) ვის უნდა? „შენ უნდა გავაკეთო“. იგივე კითხვა: ვის უნდა? მესამე პირს? მაგრამ მესამე პირისათვისაც სხვაა ეს უცხო „მდომელი“, როცა ვამბობთ: „მან უნდა გავაკეთოს“. ნათელი: „მის უნდა“ — ხოლო „მან უნდა“?! („უნდა“ აქ რჩება ორივე შემთხვევაში, ოღონდ აზრი ეცვლება იმის მიხედვით, თუ რა ერთის წინ: „მას“ თუ „მან“.) „მან უნდა გავაკეთოს“. იგივე კითხვა: ვის უნდა? და შემდგომ: „ჩვენ უნდა გავაკეთოთ“, „თქვენ უნდა გავაკეთოთ“, „მათ უნდა გავაკეთონ“. ყველგან „უნდა“. თუ როგორ დამკვიდრდა ეს ფორმა, ამის გამორკვევა გრამატიკოსთა საქმეა. მე აღვნიშნავ მხოლოდ, თუ რას ჰგულისხმობს იგი. „მე უნდა“. აქ არის ნაგულეები ხან შინაგანი არსი ჩემი, რომელსაც „უნდა“, რომ მე ასე თუ ისე მოვიქცე, ხან კი განპიროვნებული გარემოება, რომელიც მოითხოვს, რომ მე ესა თუ ის ავასრულო.

რამდენჯერ დავმტკბარ ვარ ამ შაირით აკაკისა! (სათაური: **მუშუარი**.)

ყანაო, ქვეყნის სამოთხე,

გლების დიდებავ, ყანაო!

ცისკრის სხივებმა შევმოსეს

და ნამმა გადავბანაო;

დილის ნიავმა დაგქროლა,

ალერსით გითხრა ნანაო;

ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა,

ზურმუხტად ავამწვანაო.

ყანაო, გულ-ხელ-გაშლილო,  
 ქვეყნის მოკეთევ, ყანაო!  
 მოყვრულად შემოგსევივართ.  
 მტრულად გიმეტებთ ვანაო?  
 გამმარგლავთ ბალახ-ბულახსა  
 გაგთოხნით ყოველგანაო!  
 ყანაო, დაუზარებო,  
 უხვად მომცემო, ყანაო!

ზედ უფლის თვალი დაგყურებს.  
 შენი ბარაქა ბრძანაო.  
 გაშოროს გვალვა და სეტყვა,  
 მოსავლის გამოცანაო...  
 ყანაო ოქრო-ზურმუხტო,  
 ყანაო, ჩვენო ყანაო!  
 მალალმა ღმერთმა აკურთხოს  
 სხვაც ბევრი შენისთანაო!

(მომყავს წიგნაკითვან „აკაკის რჩეული ლექსები“. თბილისი, 1908 ).

აკაკის შაირი საერთოდ მარტივია. მსუბუქი და: გულში მხვედრი. მოყვანილი შაირი განსაკუთრებით მარტივია, განსაკუთრებით მსუბუქია და: განსაკუთრებით გულში მხვედრი. მოვიყვანოთ მხოლოდ სამი თქმა. პირველი: „ყანაო დაუზარებო“. „დაუზარებო“: ეპითეტი სულ უბრალო და თანვე განუზომელ მეტყველი. ნამდვილი ეპითეტის მონახვა ძალიან ძნელი რამაა, ცნობილია ეს. „დაუზარებო“: ეს ეპითეტი, ვიხმაროთ ქართული თქმა: ზეგამოჭრილია.

მეორე თქმა: „ზედ უფლის თვალი დაგყურებს, შენი ბარაქა ბრძანაო“. იდუმალი სიახლოვე უფლისა ყანასთან მოქროლვილია აქ სწორუბოვარი უბრალოებით. არ არის ნათქვამი: უფალი დაგყურებს. ნათქვამია: უფლის თვალი დაგყურებს. ეს რატომღაც უფრო ნაზად ხვდება გულს. შემდეგ. არ არის ნათქვამი: უფალი გაქცევს ბარაქიანად. ეს შეარყევდა ძირეულად თქმას: „ყანაო, დაუზარებო“. ნათქვამია: შენი ბარაქა ბრძანაო (უფალმა). ეს კი სხვაა. აქ — შენი ბარაქა ბრძანა უფალმა და შენ დაუზარები ხარ შენს ბარაქიანად ქცევაში — აქ სრული თანხმობაა, შეუდარებელი. (გადაშლა ამისა ფილოსოფიურად ამ ესკიზში მოუხერხებელია.) „შენი ბარაქა ბრძანაო“ — გასაოცარია ეს თქმა.

მესამე თქმა: „ჩვენო ყანაო“. ამაზე უბრალო თქმა რა იქნება! და აი: თავის ალაგს ჩაწვეთებული. იგი აქ ალერსია თვითონ.

უესანიშნავად არის შაირი გამართული. კითხულობ მას, ხედავ: ყანა იფინება. ამავე დროს ამჩნევ: შაირი ეფინება ყანას. დატყვევებული ხარ ამ ხილვით.

ერთს რამეს უნდა მიექცეს კიდევ აქ ყურადღება. ცნობილია: აკაკის შაირი ხანდახან სიმღერაში გადადის. ოთხი შაირია ამ სახისა ხსენებულ წიგნაკში: **ნათელას სიმღერა**, „ნათელა“-თვან ამოღებული („ჩონგურს სიმები გავუბი...“), **სიმღერა მკის დროს** („გავლესით, ძმებო, ნამგალი...“), **იმერული ნანინა და სულიკო**. მეორე **მუშუარი** („სიმინდსა თოხნა დავუწყით...“) არაა მთლად სიმღერა. შევადაროთ ამ შაირებს ზემოთ მოყვანილი შაირი. სიმღერაა იგი თუ არა? დრამაში „პატარა კახი“, მოვიგონოთ ეს, მუშები მღერიან მას. მაშასადამე, იგიც სიმღერად უნდა ჩაითვალოს. ხოლო ყური დავუგდოთ ჯეროვნად ამ შაირის შინაგან მელოდისას: მყისვე მივხვდებით. რომ აქ „სიმღერა“ „გალობაში“ გადადის. (დაპირისპირება „სიმღერისა“ და „გალობისა“ ერთიმეორის მიმართ ჩვენთვის, ქართველთათვის, თავისთავად ცხადია.)

აქვს თუ არა კიდევ აკაკის ასეთნაირი შაირები? არ ვიცი, არ მახსოვს: ხელთ არა მაქვს სრული კრებული აკაკის ლირიკისა, რომ ეს გამოვიკვლიო.



ხსენებულ წიგნაკში მოქცეულია შაირი „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“. ხოლო ეს „ვედრებაა.“ „ვედრებაა“ აგრეთვე მიმართვა „დედაო ღვთისა“, რომელიც ჩართულია შაირში „ნინო, ქეთევან და თამარი“. (ეს შაირიც მოთავსებულია იმ წიგნაკში.) რასაკვირველია, „ვედრებასაც“ „გალობენ“ ხშირად — გარნა მე აქ მხოლოდ „სიმღერას“ ვეხები, რომელიც „გალობაში“ გადადის. (კარგი იქნებოდა: რომელიმე მკვლევარი განიხილავდეს ამ მხრით ქართულ ლირიკას.)

უნებურ მაგონდება „ნივა მოია, ნივა“: დასაწყისი ცნობილი რუსული შაირისა (სათაური აღარ მახსოვს, აღარც შაირის ავტორი). განხილულ შაირში აკაკისა მიმართვა ყანისადმი სხვაა: „ყანაო, ჩვენო ყანაო“. ამ შაირს „მღერის“: „გალობს“ ავტორთან ერთად მთელი გუნდი. ლირიკა აქ ზეპირ-ოცნულად არის ქცეული. ამით ძალა შაირისა კიდევ უფრო მატულობს.

ერთი ადგილი აკაკის მოკლე ავტობიოგრაფიითგან „ჩემი თავ-გადასავალი“ ესაა, დაბრუნდა შინ ყმაწვილი აკაკი გიმნაზიითგან: სიხარულით ბრუნდაცხეული. გამოცდა იყო გამართული, მეტად თავისებური. აკაკიმ საარაკოდ გაიმარჯვა. დაბრუნდა შინ გახარებული ყმაწვილი. ხედავს: სახლში სტუმრები. მამამ მსწრაფლ მიაძახა შვილს: „რა ქენი ჩემო კაჭუა?“ „მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა“, გვითხრობს აკაკი. „მე კი არ ვიცოდი?!“ წამოიძახა მამამ — კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშობისას, ყველას ვჯობდი; რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდნენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე: ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ლეოლრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა რომ მომეცადა, არისტოტელის კათელორიას და ლოლიკას სულ ბღღვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოვო!“ სტუმრებმაც ამგვარივე დარიგება მისცეს ყმაწვილს.

დედა როგორ შეხვდა შვილის გამარჯვებას? იგი იჯდა თავისთვის: თავ-ჩაღუნული, გაჩუმებული. საღამოს, როცა აკაკი ლოგინში იწვა, მივიდა მასთან დედა. შუბლზე ხელი დამადვაო, გვითხრობს აკაკი, ლოგინზე ჩამოჯდაო. ყმაწვილს გაუკვირდა ეს. „მე ვფიქრე“, ამბობს აკაკი, „ვაი თუ ავად ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი“. დედას ძალიან, ძალიან უძნელდებოდა ჩვენი, ბავშვების მოფერებაო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნაო. „ის (დედა) თურმე იმ აზრისა იყო, როგორც ერთხელ გამოაცხადა ლაპარაკში“ — გვიხსნის აკაკი — „რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარა-მარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო“

(მარტო ამ მოსაზრებით იქცეოდა ასე დედა აკაკისა? არა მგონია. არა იშვიათად გვხვდება ადამიანი, რომელიც სრულიად არაა გულდასმული და მაინც: გულის გადახსნა ეძნელება მას: ეძნელება შინაგანი მორცხეობის გამო. ეს „მორცხეობა“ რთული მოვლენაა, რომლის განხილვას აქ, რასაკვირველია, ვერ შევუძლები. მე ვფიქრობ, დედა აკაკისა ასეთი ადამიანი უნდა ყოფილიყო: შინაგან მორცხვი.)

აკაკი განაგრძობს სიტყვას დედაზე: „იმ საღამოს ავფოფინდი, რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანად მითხრა: ხომ ილოცეო? — როგორ არა-მეთ-

ქი! — დღეს დილას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია? — როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივიდიოდი. — ჰო, კიდევ მისთვის უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერთოდ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას ვააწყობ! მამა შენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა. — რა? — რა და სხვებმა რომ გაჯობოს სირცხვილიაო; აბა, სხვები რომ კარგები იყვენ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა შენ შენდა თავად არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე! შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგვეზე, და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან, თუ კიდევ უკეთესიც, შენ მითი რას დაკარგავ? შენ კიდევ უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე“.

შევიჩერდეთ. განსაკუთრებულ წუთებში — სულ ერთია: არიან ეს წუთები სიხარულისა თუ მწუხარებისა — შინაგან მორცხვ ადამიანს სცილდება ხსენებული სიძნელე. გული მისი იხსნება, იხსნება მთლად: ხოლო „უაფექტაციოთ“. ვხედავთ: ასე გადახსნია დედის გული ყმაწვილ აკაკის. გავავლოთ მსინჯავი თვალი მოთხრობილს.

აკაკი დაბრუნდა შინ გამარჯვებული. ვიცი: როგორ შეეგება მას მამა. ვიცი: რა დარიგება მისცა შვილს: „ვიგინდარები არ გაიტოლოვო“. ვიცი: სტუმრებმაც ასეთი დარიგება მისცეს ყმაწვილს. მხოლოდ დედას აკაკისა არა უთქვამს რა: იგი იჯდა თავისთვის თავჩაღუნული. მოთხრობილის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რატომ არჩია მან ღუმელი: იგი აქ ვერ შეასრულებდა მას, რაც შემდეგ შეასრულა. ქმარისა და სტუმრების წინაშე იგი ინტიმურად ვერ გაეხმაურებოდა შვილს მისი გამარჯვების გამო. ვერც თავის დარიგებას მისცემდა მას ისე, რომ უარყოფით არ შეხებოდა დარიგებას „ვიგინდარები არ გაიტოლოვო“. გადავება ერთგვარ დისონანს შეიტანდა აქ, და, გარდა ამისა, დავაში მისი დარიგება შვილის გულს სრული ძალით ვერ მოხვდებოდა. დედამ სხვა გზა მოისაზრა.

სალამოა. ყმაწვილი აკაკი ჩაწოლილია უკვე ლოგინში. დედა მიდის მასთან. ეს პირველად ხდება: სხვიმის არაოდეს მისულა იგი დასაძინებლად გამზადილ შვილთან. (პირველად მიდის: ფაქტი, რომელიც გვამცნევს, თუ როგორ ნდომებია მას დაუყოვნებლივ გადაეხსნა საყვარელი შვილისათვის თავისი გული.) მივიდა. როგორაცნაურებს იგი თავის გრძნობებს? ხელს ადებს შვილს შუბლზე, მიუჯდება გვერდით ლოგინზე და აღერსიანად ეკითხება: „ხომ ილოცეო?“ ეს არის და ეს. არც ერთი სიტყვა მოფერებისა. გარდა დედა აქ უნაზესი მოფერებაა თვითონ: მოფერება, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება. (გასაგებია აკაკის სიტყვა: ავფოფინდი იმ სალამოსო.) შეკითხვა „ხომ ილოცეო?“ ნათელია ამ უსიტყვო მოფერებისა. როგორ არა, ვილოცეო, ეუბნება შვილი. (შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გაიხარებდა ამ წუთს დედის გული.)

საგულისხმოა ფრიად: როგორ ეხება დედა შვილის გამარჯვებას. იგი ეკითხება შვილს: დღეს დილას, სანამ სასწავლებელში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებიაო? ესმის პასუხი: როგორ დამავიწყდებოდა, მით უფრო, რომ განსაცდელში მივიდიოდიო! დედა — თითქო ამ პასუხს უცდიდა — ეუბნება შვილს: კიდევ მიტომ გაგიმარჯვნია — უღმ-

ერთოდ, რაც უნდა იცოდე, ვერას გააწყობო. (ვხედავთ, თუ რა ღრმად ვილა იგი უზენაესის მიმართ აგზნებული.)

ნიადაგი მზადაა უკვე, რომ დედამ ახლა დარიგება მისცეს შვილს, დარიგება: სულ სხვა, ვიდრე ის დარიგება: „ვიგინდარები არ გაიტოლოვო.“ (საყურადღებოა მისი ტაქტი: იგი არ ჰკიცხავს ქმარს ცხარედ. იგი ლბილ-ლბი ტონით ეუბნება შვილს: რაც ვითხრა დღეს მამა შენმა, მართალი კი ნუ გკონია, იმან ისე იცის ხუმრობაო.) ზედმეტია განმეორება მისი დარიგებისა. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ ამ დარიგებაში ყოველი თქმა ჭეშმარიტად სიბრძნის ცნაურებაა.

ასეთია ეს სცენა. ჩვენ წინ ისახება დედა აკაკისა, შესანიშნავი ქალი: ღმრთისმოსავი, მტკიცე, გულკეთილი, გულმართალი, ნათელგონიერი, ზრდილი. მოზიბლულნი, დატყვევებულნი ვუცქერით მას. (საკვირველია: აკაკი იხსენებს დედას და არ ახსენებს მის სახელს. როგორ გამოჩნა ეს?)

მეორე ადგილი იმავე ავტობიოგრაფიითვან. საჭიროდ ვთვლი მის მოყვანასაც. აკაკი ენება იქ თავისს ბავშობის ხანას და დედას ასე ახასიათებს: „სასახლეში მისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ. მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, რომ დედა ჩემი ცივ-გული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩაეხვდი. მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე. ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული, მაგრამ დიდ-ოჯახში ნამყოფი, დარეჯან-ბატონიშვილის ვაზდელი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირ-ბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავად ვინმე ვახდებოდა, სულ უკანასკნელთაგანიც!... დღე და ღამე მოსვენება აღარ ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი.“

გარეგან: გულცივი და მრისხანე — შინაგან: გულჩვილი და მოყვარული. არა მგონია, ეს „ორმაგობა“ აქ მარტო „პირბადის აფარებით“ აიხსნებოდეს. ხშირად ეს „ორმაგობა“ მახასიათებელია ხასიათით მეტად მტკიცე ადამიანისა: გეჩვენება გულცივად და მრისხანედ, ნამდვილად კი გულჩვილია და მოყვარული. ასე მესახვის აკაკის დედაც. პირბადის აფარება ალბათ ამხვილებდა მხოლოდ მისს ასეთს „ორმაგობას.“

სოფლის მწერალს სოლომანს, ილიას დაუშთავრებელ მოთხრობაში „უცნაური ამბავი“ გამოყვანილს, შემდეგი ნაფიქრი აქვს უბის წიგნში ჩაწერილი: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდან გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშ-ცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალემა, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალემა, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალემა, გეყვარება კიდევ; თუ გებრალემა, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალემა, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალემა, შეიწყნარებ; თუ გებრალემა, შეუენდობ.“

დავტოვოთ განზე საკითხი: მართალია თუ არა აქ წამოყენებული დებულება. ეს ძალიან რთული საკითხია. უდავოა აი რა: გონი ილიასი ღრმად წვდება აქ ფესვებს ყოფისა, ძალიან ღრმად. აქვე სჩანს, ცხადდება უთქმელ-

ად, ილიას ნათელი გული: ეგზომ შემატკივარი. მოყვანილი ადგილი გვიად-ვილებს სრულს გაგებას ილიას რთული მეობისა.

**გრიგოლ რობაქიძე**

## **ქართული ბალავარიანი და მისი ინგლისური**

**თარგმანი პროფ. დ. მ. ლანგის მიერ.**

ქართულად არსებობს ბალავარიანის ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ამ უკანასკნელს ეწოდება ასევე „სიბრძნე ბალაჰვარისა“. მათი პირველი შეერთებული გამოცემა ეკუთვნის პროფ. ი. აბულაძეს, რომელმაც ორივე ძველი გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „ბალავარიანის ქართული რედაქციები“. თბილისი, 1957, 048-216 გვ. ლექსიკონითურთ.

აბულაძემ ორივე რედაქციას საფუძვლად დაუდო იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში შემონახული ნუსხები იმიტომ, რომ ამ ძველთა უძველესი და უსრულესი ნუსხები სწორეთ იერუსალიმს (ეხლა ბერძენთა საპატრიარქო ბიბლიოთეკაში) ინახება.

ვრცელი ნუსხა მხოლოდ ერთი ხელნაწერთაა ცნობილი (№140 იერუსალიმისა), რომელიც უკანასკნელად გადაუწერიათ მე-11-ე საუკუნეში. მისი ტექსტი კი, ენისა და სტილის მიხედვით, შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს მე-8-ე საუკუნის გასულისა ან და მე-9-ე საუკუნის დამდეგისა.

რაც შეეხება მოკლე ბალავარიანს, მისი რამდენიმე ნუსხა მოგვეპოვება. უძველესია, როგორც ითქვა, იერუსალიმისა (№36). ნაწერის ხელი, უფრო კი ბარბაროზმები და ნეოლოგიზმები, რომლებიც ამ ძველის უაღრესად არქაულ სახეს ამახინჯებენ, აშკარად აჩვენებენ, რომ ის საბოლოოდ გაუფორმებიათ ქართული კულტურის დაქვეითების და დაცემის ხანაში, მაშასადამე, არა უადრეს მე-13-14-ე საუკუნისა.

პროფ. დ. მ. ლანგის წიგნი *The Wisdom of Balahvar* (სიბრძნე ბალავარისა), ლონდონი - ნიუ-იორკი 1957, 135 გვ. წარმოადგენს არა ვრცელი ბალავარიანის თარგმანს, არამედ მოკლე ბალავარიანისას, რომელიც იმავე ი. აბულაძემ 1937 წ. თბილისში გამოსცა, საქართველოში დაცულ ხელნაწერთა საფუძველზე. ლანგის წიგნი ორ თანასწორ ნაწილად განიყოფება. პირველი ნაკვეთი, მცირე წინასიტყვაობით დაწყებული, შესდგება ხუთი თავისაგან. ეს ვრცელი, დიდი ნიჭით, მეცნიერული ალლოთი და სათანადო მასალის გამოყენებით დაწერილი შესავალი, მიზნად ისახავს ნათელჰყოფს ის გზა, რომელიც ამ „სულის მარგებელმა“ თხზულებამ გაიარა: დაწყებული ბოდისატვასაგან ე. ი. ბუდასაგან და გათავებული „ნეტარი იოდასაფით“ (გვერდი 1-65).

წიგნის მეორე ნაკვეთი (გვ. 69-122) შეიცავს თვითონ ქართული სიბრძნე ბალავარის ინგლისურ თარგმანს, რასაც მთარგმნელმა დაურთო ვრცელი ნუსხიდან ამოღებული სამი ახალი იგავი, რა თქმა უნდა ინგლისურადვე: 1. იგავი ძაღლებისა და მძოვრისა, 2. იგავი მკურნალისა და სნეულისა, 3. იგავ-

ვი მზისა. (გვ. 123-124). ამ მშვენივრად გაფორმებულ და საუკეთესო ქალაქ-დზე დაბეჭდილ წიგნს ამთავრებს რჩეული ბიბლიოგრაფია და სახელთა საძიებელი.

ბ. ლანგის თარგმანზე უნდა ითქვას, რომ იგი უზადოა. ლანგი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ქართულ ენას, ზუსტად და უნაკლოდ იძლევა ქართული დედნის აზრს და ფერადოვნებას. მისი მარტივი, ნათელი და წყლიანი ინგლისური ადვილად მისახვედრია თვით არა ინგლისელისათვისაც. ასე რომ ლანგის თარგმანი, პირველი დასავლეთ ევროპის ენაზე, ყოველივე ნდობის ღირსია და დარწმუნებული ვარ, დიდ მადლობას დაიმსახურებს ყველა მკითხველისაგან. პროფ. ლანგი გამგრძელებელია და ფრიად ღირსეული გამგრძელებელი და ვადამაჰარბებელიც იმ ქართული კულტურული ღვაწლისა, ერთი საუკუნის წინ რომ წარმოიშვა ინგლისში და რომელსაც ამშვენიებენ ისეთი სახელები, როგორიც არიან: მალანი, მორფილი, ქონიბერი, ალენი, სტევენსონი, უფრო მეტად კი ოლევერ ვუორდროპი და მისი დაუეიწყარი და, საქართველოს მოტრფიალე, **მარჯვარი**.

მისი წიგნის ვრცელ შესავალში ბ. ლანგი არკვევს ამ თქმულების სათავეს. მის წარმოქმნის ეპოქას და გეოგრაფიულ არეს, მის გავრცელების სფეროს და მოგზაურობას აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. ამ საერთო პრობლემის გადასაწყვეტად წამოყენებული თეორია ლანგისა, მოკლედ რომ მოგხაზოთ, შემდეგი სახით გვევლინება: ინდოეთიდან მოდენილი ლეგენდები და ამბები ბუდას პიროვნებასა და ცხოვრებაზე თანდათანობით გავრცელდენ შუა-აზიის მიდამოებში. აქ მათ ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოეს განსაკუთრებით მანიქველთა შორის, რომელთაც ეს ცნობები შეკრიბეს, მათი მოძღვრების თანახმად გადაიშუშავეს და ირანის საზღვრებში ფალაურად აღწერეს კიდევ. ფალაურიდან ეს ლეგენდა ითარგმნა არაბულად, მიახლოებით მე-8-ე საუკუნის მეორე ნახევარში. არაბულად იმ თავითვე არსებობდა ამ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი. ერთ-ერთი ამ ვარიანტთაგანი, რომელიც არ შენახულა, გადაკეთდა ქართულად, და ეს ქართული ტექსტია ახლად მონახული ვრცელი ბალავარიანი. ბ. ლანგის დაკვირვებით იგი არაბულიდან ითარგმნა ასე „800-900 წლებს შორის ქრისტეს შემდეგ“ (გვ. 49).

სათავიდან წარმართული, მერე მანიქურად და შემდეგ არაბების მიერ ცოტათი მუსულმანურად გადახალისებული რომანი პირველად ქრისტიანულ სამოსში გამოეწყო, რასაკვირველია, ქართულად გადმოღების დროს, და აი ეს ქართველი მწერლის მიერ ქრისტეს მოძღვრების ბრძმედში გატარებული მოთხრობაა, რომელიც საფუძვლად დაედო ბერძნული ბარლაამისა და იოზაფის გრძელ ისტორიას მეთათე-მეთერთმეტე საუკუნის მიჯნაზე.

ლანგის მიერ მომარჯვებული საბუთები ისე მკვიდრი და საფუძვლიანია, რომ კაცს არ შეუძლია თანხმობა არ გამოუცხადოს მისი დებულების მთავარ ხაზებს მაინც, როგორცაა რომანის მანიქური საწყისი, ვრცელი ბალავარიანის გადამუშავება არაბულის მიხედვით, ბერძნულის დამოკიდებულება ქართულზე.

რაც შეეხება მოკლე და ვრცელი ბალავარიანის ურთიერთობას, ეს საკითხიც უკვე გახდა კვლევა-ძიების საგანი. თუ არ ვცდები, მას პირველად გამოეხმაურა პროფ. შ. ნუცუბიძესთან ერთად, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. „მნათობი“, 8, 1956, გ. 176-178). ბ. ყაუხჩიშვილს ერთმანეთისათვის შეუდარებია ბა-

ლავარიანის ვრცელი და მოკლე დედანი და შედარებიდან ის სამართლიანად დასკვნა გამოუტანია, რომ „პირველადი უნდა იყოს მოკლე ვარიანტი“ (მნათობი გ. 178). ხოლო ცხადად არა სჩანს, როგორ ესმის მას მოკლეს „პირველადობა“ ვრცელის მიმართ. მაგრამ ამ აზრის გასამტკიცებლად ჩატარებული მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ახლად მოპოვებული ვრცელი ნუსხა მარტივი გავრცობა და გაფართოვება იყო არსებული მოკლე რედაქციისა. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია. ამიტომ იქმნა ის ი. აბულაძისგან უკუგდებული.

თავის მხრივ ი. აბულაძეს სურს დაგვაჯეროს, რომ მისი „კვლევა-ძიების თანახმად“ ვრცელი წინ უსწრებს მოკლეს და „ეს უკანასკნელი ძირითადად პირველის შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს, რომლის შექმნა მე-11-ე ს-ის გასულიდან არის მხოლოდ შესაძლებელი, მისი წყარო კი „ვრცელი ბალავარიანი“... ენობრივი ნიშნების მიხედვით, ... მე-9-10 ს.ს-ს ეკუთვნის“ (გვ. 08). ამ თეზის საყრდენად მთელი რიგი და ნაირ-ნაირი საბუთები მოჰყავს ბ. აბულაძეს, მაგრამ ყველა ამ საბუთებს ბერძნების ლეტეს თუ ქართველების ჩაილულის წყალს ალევინებს მისი შესავლის მე-035 გვერდზე, სადაც პირნათლად აღიარებს: ჯერ კიდევ აკად. ნიკო მარს ჰქონდა მართებულად შენიშნული, რომ შინაარსობლივ „სიბრძნე ბალავარიის“ ტექსტი შეიძლება მე-7-8 ს-ად მიჩნეულიყო, ამას რომ ხელს არ უშლიდეს ახალი სპარსული ენის ლექსიკური მასალა, რომელსაც მასში ვხვდებით, რაც მე-9-10 საუკუნეებისათვის არის მხოლოდ შესაძლებელი. და აბულაძე იქვე უჩვენებს 63 გვერდს რუსული ჟურნალისას: **ზაპისკი ვოსტოჩნ. ოტდელენ. იმპ. არქეოლ. ობშჩესტვა 11, 1899.** სადაც დაიბეჭდა მარის გამოკვლევა ამ რომანის თაობაზე. „შესაძლებელია“ — სწერს აბულაძე. ასეთი რამ არ უნდა ეთქვა პატივცემულ პროფესორს, რადგან მარის აზრი ამას არ ამართლებს. ნამდვილად მაინც რასა სწერს იქ ნიკო მარი?

მარის გამოკვლევის ერთერთი აზრი ის არის, რომ მოკლე ბალავარიანი ნათარგმნია სირიულიდან (რა თქმა უნდა არა უგვიანეს მე-7-8-ე საუკუნისა). ჟურნალის 62 გვერდზე ცხადად არის აღნიშნული, რომ სიბრძნე ბალავარიის სირიულიდან უთარგმნიათ მე-7-ე საუკუნეში. ხოლო იმავე ჟურნალის მე-63 გვერდზე, რომელსაც აბულაძე იმოწმებს, მარი მხოლოდ ეკითხება თავის თავს: განა შესაძლებელია, რომ მე-7-8-ე საუკუნის ქართულ ტექსტს გააჩნდეს ის ახალი სპარსული სიტყვები, რომლებიც ჩვენ ზემოდ (გვ. 58, შენ. 3) ჩამოვთვალეთ? აი ნამდვილი აზრი მარისა. ჟურნ. მე-58 გვ. შენ. 3 მარი მართლა ჩამოსთვლის ექვს „ახალი სპარსულის“ სიტყვას, რომლებიც მისი ფიქრით არიან: **ჰაბუკი, სუსტი, ფლასი, ჩანგი, პასუხი, ლალი.** ბ. აბულაძეს მოჰყავს ყველა ეს სიტყვები (გვ. 033), მაგრამ რატომღაც ივიწყებს სიტყვას „ჰაბუკი“, ალბად როგორც არა სანდო მოწამეს! მაშ „ჰაბუკი“ თუ არ არის ახალი სპარსულის ნაშიერი, სხვებზე ჯირითს რალა აზრი აქვს იმავე ნაშიერობის გასასაღებლად?!

იმის გარდა, რაც ბ. ქ. №18, 1954, გვ. 25-26 ითქვა, ჩვენ აქ დავუმატებთ: სიტყვა „პასუხი“ იკითხება „ნეტარისა მამისა არსენისა“ ეპისტოლეში, რომელიც კეკელიძის ჩვენებით უძველეს ქართულ თარგმანთა რიგს ეკუთვნის (იხ. გ. გარბიტის გამოცემა მუზეუმში, 68, 1955, გ. 268, № 35). ამას დაუპირდაპირეთ სომხური „პატასხანი“ იმავე მნიშვნელობით, რაც ისე ძველია, როგორც

თვითონ სომხური ლიტერატურა. სიტყვა „ფლასი“ მხოლოდ ერთხელ იპოვეთ მოკლე ბალავარიანში და ესეც იმ ადგილს, რაც საერთოა ორივე რედაქციისათვის (გ. 119). ვრცელ ბალავარიანს კი ეს სიტყვა სულ არ გააჩნია, მაშასადამე არც მოკლე ნუსხას ექნებოდა ის მე-9-ე საუკუნემდის მაინც. იგივე ითქმის სიტყვაზე „ჩანგი“. ერთხელ აბენეს მეფე თავის შვილს იოდასაფს მშვენიერ ქალებს მიუჩენს, რათა იგი შეაცდინონ და ქრისტეზე ხელი ააღებინონ (გვ. 124). ამ ადგილს ვრცელში დასახელებულია საკრავი იარაღები, რომლებსაც ქალები ხმარობენ იოდასაფის დასაცემად, ესენია: **ქნარი, ნესტი, წინწილა** (და თითო-პირი სახიობაჲ), ყველა ფრიად ძველი და თვით ბიბლიური სახელწოდება. მოკლეში კი ერთ ამ სიტყვასაც ვერ მონახავთ. სამაგიეროდ იქ მოცემულია მთლად ახალი, ხალხური ან დამახინჯებული ძველი ქართულიდან ამოღებული ტერმინები: „მემგოსნენი და მეჩანგანი“ ანუ „მემგოსნე - მეჩანგენი“, „ჩანგი“, „ჩალანა“ და მწყემსი ბიჭების „სტერი“. „ჩალანა“ ხომ ხალხური, მდაბიური სახელია, „მემგოსნე“ კი პირწმინდა ბარბარისში, რაც ი. აბულაძეს გულდინჯად შეუტანია თავის ლექსიკონში, ალბად როგორც ქართული სიტყვა. ქართულია მხოლოდ მგოსანი. ხოლო მემგოსნე ისეთი ქართულია, როგორც **მემწერლე**, მწერლის მაგიერ. რასაკვირველია, ყველა ეს უმსგავსეობა შესულია მოკლე ბალავარიანში ქართული კულტურის დაცემის დროს, მონგოლთა ეპოქაში.

ამიტომ უკეთესია სრულიად ხელი ავიღოთ ამ ცრუ „ახალი სპარსული ენის“ სიტყვებზე და ნ. მართან ერთად აღვიაროთ, რომ მოკლე ბალავარიანში შინაარსობრივ მიეკუთვნება მე-7-8-ე საუკუნეს მაინც, უფრო ადრინდელ ხანას თუ არა. განა თვითონ აბულაძევე იძულებული არ ხდება თავის ნათქვამს საბოლოოდ შემდეგი საწინააღმდეგო დასკვნა გაუკეთოს? „რასაკვირველია, გამორიცხული არაა ისიც, რომ ჩვენამდის მოღწეული ვრცელი ნუსხის გარდა სხვაც არსებულიყო ზოგიერთი განსხვავებული ადგილებითა და წაკითხვებით, ანუ ვარიანტებით, და მისგან მომდინარეობდეს არსებული მოკლე ბალავარიანი“ ო (გვ. 046).

აბულაძის მსგავსად დ. ლანგიც იმ აზრისაა, რომ მოკლე ბალავარიანი წარმოადგენს ვრცელის შემოკლებას, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვრცელი შეუმოკლებიათ არა მე-11-ე საუკუნეში, როგორც ფიქრობს აბულაძე, არამედ უკვე მე-9-ე საუკუნეში. ამის მიზეზია შემდეგი ვითარება. აბულაძისგან განსხვავებით ლანგი გულწრფელად ანგარიშს უწევს მოკლეში შერჩენილ მთელ რიგ არქაიზმებს, რომლებიც ბ. აბულაძეს, სამწუხაროდ, ფიქრადაც არ მოსდის. ბ. ლანგი ჩვენსავით, და არა მარტო ჩვენსავით, დარწმუნებულია, რომ მოკლე ბალავარიანის ენა, ნაწილობრივ მაინც, ფრიად არქაულია და მჭიდრო ნათესაობას ამჟღავნებს ადიშის ოთხთავის სიტყვიერებასთან. ლანგი დასძენს: ადიშის სახარება გადაწერილია 897 წელს და მისი ენის სიძველეც ამავე საუკუნის ქართულ ენას უნდა ახასიათებდესო. ბ. ლანგის უკანასკნელ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ჩვენ მთლად ვერ გავიზიარებთ: ადიშის ოთხთავის ენა დიახ, ძველია, მგრამ ეს სიძველე მისი მოდის, არა მე-9-ე საუკუნეიდან, არამედ იმ დროიდან, როცა ის პირველად დაიწერა, ან ითარგმნა, ე. ი. მე-5-ე საუკუნეში.

რაც არ უნდა იყოს, ბ. ლანგმა აქ მაინც პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა რომანის უძველეს სათავისაკენ. ჩვენც მის კვალს გავყვებით და ცო-

ტა წინ წაწევით ვიტყვი: ვრცელსა და მოკლე ბალავარიანს შორის არ არსებობს არავითარი უშუალო და პირდაპირი ურთიერთობა, ერთიც და მეორეც წარმოშობილია ერთი სხვა, უფრო ძველი საერთო წყაროსაგან, და რაც მათ საერთო აქვთ, სწორედ ამ საერთო არქექტივით არის ასახსნელი და არა ერთი მეორის გავრცობით, ან შემოკლებით.

ამ დებულების საბუთად ჩვენ მივუთითებთ ტექსტების შემდეგ თავისებურებათა წყებაზე: იქ სადაც ორივე ნუსხა სიტყვა-სიტყვით ერთმანეთს არ ემთხვევა საერთო წყაროს საშუალებით, სტილი, ენა, მხატვრული ქსოვილი თხრობისა, ამბავთა გადმოცემის ნაირობა და ფერადოვნება სულ სხვა რიგად გამოიყურება ორივე ნუსხაში. აბა რა საერთო აქვს ქალთა მიერ ცდუნების ამბავს მოკლესა და ვრცელში (გვ. 124), ანუ შემდეგ ადგილს (გვ. 122): „და ვითარ განიზრახვიდა (აბანეს) გულსა შინა თვისსა **ადმოხდა შინაგანით სული სიყუარულისა ამის სოფლისა** და მოახსენებდა მრავალფერთა გემოთა და საშუებელთა... დ იღლია ჩუეულებისაგან“ (ვრცელი).

„და ამას რა იგონებდა, **გამოხდა სული მყარალი პირისაგან მისისა** და მოხსენნეს გემონი ამის სოფლისანი და იღლია ჩუეულებისაგან“ (მოკლე).

ამის გარდა უკვე პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა სამართლიანად, რომ მოკლეში მოიპოვება ადგილები, რომლებსაც ვრცელი არ იცნობს; კვლავ ტექსტი არაა ორივეში თანასწორად და იმავე თანამიმდევრობით განლაგებული; **ორივე ხარვეზიანია**, ეჭვი არ უნდა, მაგრამ ეს ხარვეზები არ უდგება ერთმანეთს; ამის გამო, ერთში გახსენებულია ისეთი ამბავი, რომელიც ახსნას პოულობს მხოლოდ მეორეში. ყველა ეს ცხად ჰყოფს, რომ ვრცელი და მოკლე ერთმანეთისაგან არ გამოდიან. ბ. აბულაძის მიერ წამოყენებული „მოკლე რედაქციის ვრცელზე დამოკიდებულების ნიშნები“ (გვ. 020) სწორედ **სულ წინააღმდეგს დალაღებენ**: მოკლე ნუსხის შემწყობს რომ ვრცელი ბალავარიანი ხელთ ჰქონოდა, იმდენი გაუგებრობანი და შეცდომები არ მოუვიდოდა. იგი სრულიად არ მოსჩანს ისე უეცრად და უნიათო ავტორად, რომ ვრცელიდან, თუ ეს მას წინ ედო, **რიგიანი გადაწერის უნარიც არ ჰქონოდა**. მოკლემ ძალიან გრძელი და ზოგან ეკლიანი გზა გაიარა, სანამ ჩვენამდის მოაღწევდა. და თითქმის ყველა მისი ნაკლი ამით არის ასახსნელი.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს, ყოველი ეჭვის გარეშე, კვლავ ორივე ნუსხის შინაარსობრივი სხვაობა, რომელიც შემდეგში გამოიხატება:

პირველად მიუთითებთ მასზე თუ ორივე დედანში რა ადგილი უკავია ქრისტიანულ **სამებას** და **ღვთის-მშობელს**.

მოკლეში, სიტყვა „სამება“ მთლად ორგზის თუ არის ნახმარი და ისიც ისეთ ადგილს, რომელიც ნაგვიანევის და მერმინდელი დამატების შთაბეჭდილებას სტოვებს (გვ. 55 და 60). მოკლე ერთობ კმაყოფილდება წ. სამების სამ გვამთა გახსენებით (მამა, ძე და სული წმიდა, როგორც ფორმულა ნათლობისა); ვრცელის ავტორს კი, მოკლის საწინააღმდეგოდ, სიტყვა „სამება“ თითქოს პირზე აკერია (გვერდი: 18, 27, 52, 59, 60, 71, 111, 132, 136, 139, 165, 169). ამ მხრივ, აბულაძის გამოცემიდან ერთმანეთს დაუპირდაპირობ რამდენიმე ადგილი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ მოკლე არაა გამოკრებილი ვრცელისაგან.

1-გვ. 52: „რქუა მეფემან: და რაა არს გზაჲ იგი? ჰრქუა თანამზრახულა-



მან: **მსახურება სამებისა წმიდისაჲ, რომელმან დაჰბადნა ყოველი დაბადებულინი**“ (ვრცელი).

გვ. 52: „ჰრქუა მეფემან: რაჲ არს გზაჲ იგი მითხარ! და ჰრქუა: **მსახურება ღმრთისა მხოლოჲსაჲ, რომელმან დაჰბადნა ყოველი დაბადებულინი**“ (მოკლე ვარიანტი).

მოკლე თუ გადმოღებულია ვრცელისაგან, რამ აიძულა მისი ავტორი შეეცვალა „სამებისა წმიდისაჲ“ „ღმრთისა მხოლოჲსაჲ“? აქ ხომ შესამოკლებელი არა ჰქონდა რა, ან თვითონ ხომ მაჰმადიანი არ იყო? ვინც წ. სამების თაყვანისმცემელს საშუალო საუკუნოების საქართველოს იცნობს, და მის ბრძოლას სწორეთ ერთი ალახის მაღიარებელ სამაჰმადიანოსთან, მას ვერა-ვინ დააჯერებს, რომ ასეთი ცვლილება შეიტანა მოკლე ნუსხის ავტორმა პირიქით, აქ უფრო წინააღმდეგია საფიქრებელი: **ცვლილების შეტანა ვრცელის მხარეზეა მოსაძებნი.**

2. გვ. 71: „კურთხეულ არს და დიდებულ **სახელი სამებისა წმიდისა უკუნისამდე**“ (ვრც.) „კურთხეულ არს **სახელი მისი** (ღმრთისა) უკუნისამდე“ (მოკლე ვარიანტი).

3. გვ. 111: „რომელთა ჰრწამს **წმიდაჲ სამებაჲ** (ვრცელი). „რომელთა ჰრწამს **უფალი ჩუენი იესო ქრისტე**“ (მოკლე).

ეს მაგალითები აშკარად ადასტურებენ, რომ მოკლე არაა გადმოღებული ვრცელიდან. პირიქით, **ერთი ღმერთის** წინ წამოყენებით, მოკლე ნათლად გვიჩვენებს, რომ ის ბევრით უფრო ახლოა მის პირველ, მონოთეისტურ. არა ქრისტიანულ წყაროსთან, ვიდრე ვრცელი, რომელიც ცხადად სამებას აძლევს უპირატესობას და ამით გარკვეულად უთითებს მის წარმოშობის უფრო მოგვიანო დროსკენ.

ორივე ნუსხაში იგივე მოვლენას აქვს ადგილი ღვთისმშობლის შესახებაც. მოკლე სულ არ იცნობს, მაშინ როცა ვრცელი ოთხჯერ მანც ასახელებს „ქალწულ მარიამს“ (გვ. 63, 89, 140, 160). მარიამის კულტი ფრიად დიდი იყო საქართველოში. ამიტომ მის სახელს ერთი ქართველიც არ ამოშლიდა თავისი თხზულებიდან; ეს ისე ნათელია, რომ მასზე ლაპარაკის გაგრძელება აქ ზედმეტად მიგვაჩნია. ამ რიგად მარიამის (ისე როგორც სამების) არ გახსენება მოკლეში მკაფიოდ ასახავს მის სიახლოვეს რომანის წარმართულ დასაბამთან.

ამის გარდა, გასაშუქებელია ერთი საკითხი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არამც თუ ვრცელისა და მოკლეს ურთიერთობისათვის, არამედ ქართული ბალავარიანის ბერძნულთან მიმართებითაც. **ეს არის თვითონ ბალავარის პიროვნება, მისი ვინაობა და სადაურობა.**

აი საქმე რაშია: რომანის ვრცელი ნუსხით ბალავარი, კაცი „წესითა მონაზონთაჲთა“, შთამომავლობით არის **სარნადიბიდან** ანუ **სარანდბიდან**, ე. ი. კუნძულ **ცილონიდან**, მაშასადამე, უცხო და არა ქვეშევრდომი **ბოლაიტის** თუ **შოლაიტის** მბრძანებელის — აბენეს მეფისა. იგი მოდის სამეფოდ. მოაქცევს აბენეს მეფის ძეს იოდასაფს და ისე ჰქრება, როგორც მოვიდა. შოლაიტში მისი მნახველია მხოლოდ იოდასაფის აღმზრდელი ზანდან და სხვა არავინ იოდასაფის გარდა. სამეფო კარისათვის იგი სრულიად უცხოა. პირადად თუ გავონებით მას არ იცნობს არც მეფე და არც მისი კარის კაცები. სულ სხვა ვინმეა მოკლე ნუსხის ბალავარი. მკითხველმა იცის, რომ იგი წი-

ნათ აბენეს მეფის ამაღლას ეკუთვნოდა „და უწარჩინებულეს ყოველთა იყო წინაშე მეფისა„ (გვ.11). მას ყველა იცნობდა, უფრო კი მეფის კარის-კაცნი, რომელთა წრეს თვითონ ბალავარიც ეკუთვნოდა. მაგრამ ქრისტიანობის გამო იგი მეფემ განაძევა სასახლიდან. ძველი დიდებისაგან დამხობილი ბალავარი მთებს შეეხიზნა და „მძოვართა თანა“ იწყო ცხოვრება (გვ. 16). აქ ყოფნისას მან „ცნა სულითა წმიდითა, ვითარმედ ძესა მეფისასა სწადის ნახვაჲ კაცთა ღმრთის მსახურთაჲ“. მაშინვე დაუტევა სამძოვრო და შოვიდა სამეფოდ; პირველი ბალავარის მსგავსად, ვაჭრულად შემოსილი, დაუახლოვდა იოდასაფს, მოაქცია იგი და ისევ მთებში დაბრუნდა, სადაც წინეთ ეცხოვრა.

ამ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული გადმოცემის მიხედვით სარანდობელ ბალავარს, სახელის გარდა, საერთო არაფერი აქვს შოლაიტელ ბალავართან ე. ი. მეფის ადრინდელ თანამზრახველთან. ნამდვილად კი ორივე ნუსხის ბალავარი ერთი და იგივე პირია, ერთი და იგივე ბალავარი. სახელდობრ, აბენეს მეფის ხელქვეითი და ქვეშევრდომი, მისი ნამდვილი თანამზრახველი. აი საბუთები:

გვ. 57: იოდასაფი ეუბნება ბალავარს: *შენ თუ ქრისტიანობის გარეშე ცხოვრება „არა შეგირაცხია ცხოვრებად, თანა გაც, რაჲთა სიკვდილიცა იგი მომავალი არა შერაცხო სიკუდილად“-ო. ბალავარი უპასუხებს: „ანუ არა გაუწყებსა განწირვაჲ თავისა ჩემისაჲ შემოსლვად შენდა? რამეთუ მე უწყი სიბოროტე მამისა შენისაჲ ჩემდა მომართ“ (ვრცელი). „ანუ არა გაუწყებსა განწირვაჲ თავისა ჩემისაჲ შემოსლვითა შენდა? რამეთუ (მე) უწყი სიბოროტე მამისა შენისაჲ ჩემდა მომართ“ (მოკლე).*

ცხადზე ცხადია, რომ მოკლეში ნათქვამი გულისხმობს იმ სიბოროტეს. რომლის მსხვერპლიც ბალავარი გახდა აბენეს მეფის კარზე. რადგან ვრცელშიც იგივეა ნათქვამი. იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ სერნაღიბელი ბალავარი იგივე ბალავარ თანამზრახველია, ე. ი. ორივე ბალავარი ერთი და იგივე პირია — შოლაიტელი ბალავარი.

გვ. 43. ბალავარი ეუბნება იოდასაფს: *„ხოლო ჩუენ განშორებულ ვართ გარე უდაბნოთა, მათათა... ხოლო პირველ ვიყვენით სამეფოდასაგან მამისა შენისა... და რომელნი იგი იზიარნა შუებასა და დიდებასა მისსა... მათ აზრახეს განსხმაჲ ჩუენი, მოკლვაჲ და დაწვაჲ კეცხლითა“-ო.*

ამ ადგილის მიხედვით, რომელიც მარტო ვრცელმა ნუსხამ შემოგვინახა, ბალავარი იყო მეფის ქვეშევრდომი და ეკუთვნოდა მის სამფლობელოს, რაც არას გზით არ ითქმის სერნაღიბელ ბალავარზე, რომელსაც აბენეს მეფესთან არავითარი ყმური დამოკიდებულება არ ჰქონია, არც წინეთ და არც მერმე.

ამასთან ერთად, ორივე ნუსხის მოთხრობას თუ ღრმად ჩავუკვირდებით. ენახავთ, რომ ბალავარი ფრიად ცნობილი კაცია სამეფო კარზე. კმარა მისი სახელის გახსენება, რომ ყველამ გაიგოს იგი ვინ არის: ზანდანი, მეფის მრჩეველი რაქის, თვითონ მეფე — ყველანი თავს ისე იჭერენ. თითქოს ბალავარი მათი ძველი და კარგი ნაცნობი ყოფილიყოს. ეს კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მათ ნაცნობად მარტო შოლაიტელი ბალავარი ჩავთვალებთ. მაგ.: როდესაც ზანდანი აუწყებს მეფეს, რომ იოდასაფი გაქრისტიანდაო, შემდეგ ცნობას აძლევს თავის მბრძანებელს

გვ. 91: „უთხრა რაჲ იგი იხილა ბალაჰვარ მოღუაწისაგან“ (ვრცელი) მოკლეში იგივე ამბავი კითხვა-პასუხით ვითარდება: „ხოლო მან (მეფემ) ჰრქუა: და ვინ ყო ესე? ხოლო მან (ზანდანი) ჰრქუა: ბალაჰვარ, რომელი შენ განუტევე, მომეპარა, ვერა ვცან და მან აცდუნა იგი“ (იოდასაფი).

მოკლე ნუსხის მონაცემი განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ მეფე აბენესისათვის იმდენადვე ნათელია ვრცელის ლაკონიური შენიშვნა: მარტო გახსენება ბალავარ მოძღვრისა. ამით ირკვევა, რომ მეფისათვის ბალავარ მოძღვარი და მისგანვე განტევებული (გაძევებული) ბალავარი ერთმანეთს ენაცვლებიან. ბერძნული ბალავარიანის ავტორმა იგრძნო მეფის ამგვარი, მისთვის გაუგებარი ქცევა, და რათა მკითხველისათვის აეხსნა თუ აბენესი სეილონელ ბალავარს საიდან იცნობდა, მიჰმართა ცნობილ ლიტერატურულ ხერხს; თავის ნაწარმოებში შეიტანა შემდეგი გლოსა: „ვინაითგან უკვე წინეთ ბევრი რამ სმენოდა მეფეს ბარლაამსა და მის უმძაფრეს მოღვაწეობაზე“-ო (ბერძნული პატროლოგია 95, სვეტი 1057 D).

ეს გამოგონილი დანართი ორ რამეს ცხლად მეტყველებს: ბერძენი, რასაკვირველია, არ იცნობს ორივე ბალავარის იგივეობას და ამასთან ერთად იგი აშკარად განიცდის ქართული ვრცელი ბალავარიანის გავლენას, წინააღმდეგ პირობებში ეს დანართი ქართულშიაც იქნებოდა შეტანილი.

ერთხელ, მეფის ბრძანებით, რაქისმა დევნა უყო წასულ ბალავარს: „და იყო მწუხრი და იხილა გრონი (გროვა) მძოვართანი (მეუღდაბნოელთა) მავალნი.... ხოლო ბალაჰვარ არა იყო მათთანა, რამეთუ რაქის იცოდა იგი. (ვრცელი, გვერდი 94).

რაქის თუ რომელიმე ბალავარს იცნობდა, სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა მეფის ძველი თანამზრახველი, ვისაც რაქისთან ერთად, გაძევებამდის, სამეფო კარზე ეცხოვრა? სეილონელი ბალავარი კი რაქისთვის სრულიად უცნობი იყო, რაკი მათ ერთმანეთი არას დროს არ ენახათ. აქაც ბერძენი სთარგმნის ქართულის ფრაზას: „რამეთუ იცოდა იგი“ (სვეტი, 1061 C). აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ბერძენი ერთგან კიდევ იმეორებს ქართულის ნათქვამს: სახელდობრ იქ, სადაც ბალავარი იოდასაფს ეჩვენება სრულიად შიშველი: „და იყო ყოველი ტყავი მისი ძუალთა მისთა ზედა, ვითარცა ტყავი მკუდრისაჲ გარდართხმული ლერწამთა ზედა წულილთა“ (ვრცელი, გვ. 85).

ამ სიტყვების ბერძნული შესატყვისია: „და ტყავი... გარდართხმული იყო ძუალთა ზედა ვითარცა ვის ტყავი გარდაერთხა წულილთა ზედა ლერწამთა“ (სვეტი 1021). ყველა ეს ადასტურებს ქართულ გადმოცემას, რომ ბერძნული რომანის ავტორს მართლა ხელთ ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი.

სწორედ ამ ორი ბალავარის იგივეობაზეა აგებული მეფისა და მისი მრჩეველის, რაქის მცდელობა, იოდასაფი მოატყუონ როგორმე ნიქორ ასკეტის, ამ ბალავარის ორეულის სახით. გვ. 93: რაქის ეუბნება მეფეს: „მე მოგგუარო მეფე, კაცი ერთი, რომელი არავინ იცის ქვეყანასა ამას, წესისა (სჯულისა) ჩუენისაჲ. რომლისა გამოჩრჩევაჲ ვერ ეგების ბალაჰვარისაგან ხატითა და ფერთა და ჰასაკითა და ხმითა და სიტყვითა, რომელი იქცევის გარე უდაბნოსა, რომლისა სახელი ნაქორ“ (ვრცელი, თითქმის იგივეა მოკლეშიც). მეფის სურველისამებრ ნიქორი ბალავარის სახით და სახელით უნ-



და წარდგეს იოდასაფის წინაშე და განუცხადოს, რომ მან, ბალავარიანსა და იოდასაფი მოატყუა და რაც ქრისტიანობაზე უთხრა, ისიც ტყვილად მოჩმანა.

ესლა ისმება საკითხი: რით აიხსნება ამ რიგად ჰიბრიდული და ორჭოფული მდგომარეობა სეილონელი და შოლოატიელი ბალავარისა ქართულ რედაქციებში? ეჭვი არ უნდა, დასაწყისში ქართული გადმოცემა იცნობდა მარტო ერთ ბალავარს, ე. ი. აბენეს მეფის თანამზრახველს. მაგრამ, ალბათ არაბულის წყალობით, ვრცელი ნუსხის ავტორმა ოდნავ შესცვალა ის ადგილები, სადაც ბალავარის სადაურობასა და ვინაობაზე იყო საუბარი, უმთავრესად რომანის დამდევს და მის დასასრულს, მაშინ როცა ტექსტის დანარჩენი, შინაგანი ნაწილი, ისე უცვლელად დაიტოვა, როგორც მას იძლეოდა ძველი ქართული ტრადიცია, შემონახული მოკლე ბალავარიანში. აი ეს, ნაწილობრივ წარყვნილი და გაორებული ბალავარის სურათია, რომელიც ვრცელი ქართული ნუსხიდან გადავიდა ბერძნულში და ამით ყოველი ეჭვის გარეშე ცხად ჰყო მისი დამოკიდებულება ქართულისაგან.

დასასრულ საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ მოკლე ბალავარიანმა პირველად როდის იჩინა თავი ქართულ ენაზე. ამ მიზნის მისაღწევად უნდა მოვიშველიოთ უპირატესად ტექსტის ენობრივი თვისებანი, მისი არქაული თქმანი და სახეები. ამ მხრივ მოკლე ბალავარიანი საკმაოდ უხვია ისეთი ფორმებით, რომლებსაც ჩვენ ერთგან ატრაქციო ინვერსა (Atractio inversa) ვუწოდებთ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1. გვ. 9. „გარნა ღმერთსა (დღეს და მე-7-ე საუკ. აქეთ: ღმერთმან) რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავეს ცხორებაჲ... მიანიჭა მას შვილი“.

2. გვ. 10: „დიდებასა (დიდებაჲ) რომელსა მიიწევის ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისაჲ“ (ხელნაწერი DE აბულაძით).

3. გვ. 12: „კაცისა მის (კაცი იგი), რომლისა მიმართ დაგიც სასოებაჲ, არა არს შჯულისა შენისაჲ“ (ხელნაწერები საქართველოში).

4. გვ. 165: ხოლო ყოველთა (ყოველნი) რომელთა ესმა ამბავი მისი, განკვირდესა“.

ორ მათგანს ვნახულობთ ასევე ვრცელ ბალავარიანში, ალბათ არქეტიპიდან შემორჩენილს: გვ. 22: „აკრძალბდენ ყოველი (ყოველსა) რომელი უშუერ არს წინაშე თუალთა კაცთასა“.

გვ. 10: „რამათა ყოველსა (ყოველი), რომელსა საღმობაჲ რამე შეემთხვიოს მათგანსა, განიყვანონ მიერ“.

ზემოდ წარმოდგენილი ტიპის ფორმები ახასიათებს მხოლოდ უძველეს ბიბლიურ ტექსტებს და ბიბლიის გარეშე მსგავს მოვლენას ადგილი აქვს მარტო წმიდა საბას ცხოვრების ქართულ თარგმანში, რომელიც შესრულებული უნდა იყოს არა უგვიანეს მე-7-ე საუკუნისა.

ამ არქაიზმებს მხარს უჭერს მოკლე ნუსხის ერთი სხვა ტერმინი, რომლის უგულვებელყოფა, მიუხედავად აბულაძის დუმილისა, არას გზით არ შეიძლება. ზანდანი ეუბნება იოდასაფს: გვ. 77-78: „არა უარ ვჰყოფ სიდიდესა ამის საქმისასა“ (ვრცელი).

გვ. 78: „არა უვარ ვჰყოფ სიმდიდრესა მაგის საქმისასა“ (მოკლე). „სიმდიდრე“ სიდიდის, აღმატებულის, დიადის მნიშვნელობით, არაა იშვიათი მოვლენა ბიბლიურ ტექსტებში: მაგ.: ფსალმუნი 9,38; 54,12; 144,6; 150,2; მათე, 20,25; მარკ. 6,21 (ადიშის ოთხთავი), ეპისტოლე იუდა მოცი-

ქულისა: 1,25. „სიმდიდრე“ იმავე შინაარსით გვხვდება ასევე აბო თბილელის წამებაში, სადაც ნათქვამია: „ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწულომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა“ (იხ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართულის ქრესტომატია, 1, თბილისი 1946, გვ. 58), თუ აქ „სიმდიდრე“ დღევანდელი მნიშვნელობით არ იხმარება, რაც მე საეჭვოთ მიმაჩნია.

ამ არქაიზმებს ზედ ერთვის სხვა უძველესი ტერმინები, რითაც აჭრელე-ბულია მთელი რომანი: მაგ. კოლტი (ჯოგი), კოტიორი (ნაჭერი), მპოხელი (ძუძეული - ძიძა), მკოდავი (გლახაკი), ფას ყოფა (შეფასება). წუთ - ერთ, წული (ვაყი), ზოგი, ზოგადი (ნახევარი), განზოგება (განახევრება).

იმავე მიზნით საყურადღებოა ასევე ჩვენს რომანში ძალიან ხშირად ხმარებული ზმნა „წინა-ყოფა“, მეტწილად პატივთან და კეთილთან დაკავშირებით (წინა-ყოფა პატივისა, კეთილისა). სრულიად იგივე თვისებით ხასიათდება აგრეთვე მარტვირი მონაზონის, თქმული სინანულისათვის და სიმდაბლისა“. რაც მე-6-7 საუკუნის ნაწარმოებად არის მიჩნეული (იხ. გამოცემა გ. გარიტისა, მუზეუმი, 69, 1956, გვ. 267, 274-275).

ამ სახის ენობრივი დამთხვევა რომანისა მე-6-7 საუკუნის ტექსტთან, ზემოდ აღნიშნული არქაიზმები, რომელთა ნაწილი მარტო ბიბლიურ ძეგლებს ახასიათებს, ნაწილი კი (მაგ. სიმდიდრე) მე-8-ე საუკუნის აქეთ აღარ არის მოსალოდნელი, ყველა ეს უყოყმანოდ ნებას გვაძლევს მოკლე ნუსხის პირველი წარმოქმნა განვსაზღვროთ მე-8-ე საუკუნით მაინც.

ხოლო, ჩვენი დაკვირვებით, ეს ნუსხა უფრო ძველია. იგი უნდა გაჩენილიყო ქართულ ენაზე არაბების შემოსევამდე. აი რა მიზეზით:

ვრცელთან მიმართებით მოკლე ბალავარიანი დიდი პატივით და თავაზით ექცევა აბენეს მეფეს. ვრცელი ნუსხის წინააღმდეგ, მოკლე რედაქციის ავტორი გადაჭრით აღიარებს, რომ აბენეს მეფე, იყო მშვიდი და მდაბალი და ფრიად მოწყალე გლახაკთა“ (გვ. 1). ამასვე ადასტურებს შემდეგი ეპიზოდიც. ერთხელ მეფეს შემოიყურება ორი ქრისტიანე, რომლებიც აგვიანებენ მის ქვეყნის დატოვებას. მოკლე ბალავარიანის თანახმად, დიდ-სულოვანი მეფე მათ განუტევებს, ვრცელი ნუსხის ჩვენებით კი, „მაშინ აღივსო მეფე იგი გულისწყრომითა დიდითა და ბრძანა დაწუჟა მათი ცეცხლითა“ (გვ. 17). საერთოდ აბენეს მეფე უფრო ლმობიერი და ჰუმანიური ხასიათის ადამიანად მოსჩანს მოკლე ბალავარიანში ვიდრე ვრცელში.

რით აიხსნება ასეთი თვალსაჩინო სხვაობა? არის ეს უმნიშვნელო შედეგი მოკლე ნუსხის ავტორის თვითნებობისა, თუ ასეთ მძიმე ცვლილების შეტანას აქვს, და უცილოდ უნდა ჰქონდეს, მისი მართებული და შესატყვისი, ღრმა ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზები? ჩვენის ფიქრით, ეს უკანასკნელი შეხედულებაა წინ წამოსაყენებელი და გასათვალისწინებელი. ამის ცხად საყოფად კმარა გავიხსნოთ, თუ სად და როდის ჩამოყალიბდა ეს რომანი ფალაურ ენაზე მანიჭეველთა მეშვეობით. ამას ადგილი ჰქონდა სასაენლოთა სახელმწიფოში და მათი ბატონობის ეპოქაში, რამაც გასტანა არაბების შემოსევამდის სპარსეთში. ამ დროს ხომ აღმოსავლეთი საქართველოც განიცდიდა სპარსეთის ხელისუფლებას და მის კულტურულ ზეგავლენას.

რასაკვირველია, როგორც ამ რომანის შემწყობს ფალაურ ენაზე, ისე მის გადამკეთებელს ქართულად, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია წარმართ მეფის პიროვნებისა და მისი ავკარგიანობისათვის. სწორედ ამის გამოძახილად უნდა

მივიჩნით მოკლე ბალავარიანში წარმოდგენილი სახე კეთილი და ლომბიერი მეფისა. ხოლო მე-8-ე საუკუნეში, როცა არაბი მწერალი სთარგმნიდა ამ რომანს ფალაურიდან, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი პირობები მთლად შეცვლილი იყო. ბაღდადის ტახტზე ისხდნენ მაჰმადის მოსავი ხალიფები და მის ჩრდილში მოღვაწე არაბ მწერალს არ ესაჭიროებოდა წარმართი მეფე სასახიერების შარავანდელით შეემოსა: იგი რაც უფრო ბოროტი იქნებოდა, მით უკეთესი, როგორც მაჰმადიანისათვის, ისე ქრისტიანე ქართველისათვის.

მაშასადამე, ქართული სიბრძნე ბალავარისა ნათარგმნია პირდაპირ ფალაურიდან?! დაუჯერებელი აქ არაფერია. კმარა გავიხსენოთ სპარსეთიდან შემოსული „ფრომი“ (რომაელი), ფალაურიდან მომდინარე სიტყვათა მარაგი ქართულში, ირანული საგმირო ამბების გავრცელება საქართველოს საზღვრებში და მათი შეჭრა თვით ქართულ ისტორიულ ძეგლებში (ლენტი მროველი), რომ ასეთი მოვლენა არამც თუ შესაძლებლად, არამედ მისაღებადაც გვეჩვენოს.

მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ბუდასაფის, ანუ ბოდასაფის გარდაქმნა იოდასაფად, რაც არაბული ანბანის გარეშე ზოგს ვერც კი წარმოუდგენია. გერმანელი მკვლევარი ე. კუჰნი (Kuhn) სულაც არ იზიარებს ასეთი ცვლილების გასაგებად არაბული ენის მოშველების საჭიროებას. იგი პირდაპირ უარყოფს ამ შემთხვევაში არაბულის აუცილებლობას. მისი რწმენით, ბუდასაფის გარდაქცევა იოდასაფად უნდა მომხდარიყო ფალაური ანბანის ნიადაგზე, რაკი ამ ანბანში ბ და ი ფალაური ასოებით ამოჭრილ ფულებზე ერთმანეთს ემსგავსებიან და თვითონ ფალაურ დამწერლობაშიც ეს ორი ასო ერთი მეორეშია არეული (იხ. *Abhandlungen der Bayer. Akad. der Wissenschaften, philos.-philolog. Klasse, 20, 1894. S. 35-36*).

ზემოდ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ვრცელი და მოკლე ბალავარიანი მომდინარეობენ პარალელურად უძველესი საერთო ქართული არექტიბიდან. მე-8-9-ე ს-ში ვრცელი გადაუკეთებიათ არაბულის თანახმად. ამ არაბულის გავლენის შედეგია ბალავარის ორმაგი სახე ვრცელში, რომელზედაც აგებული უნდა იყოს თვითონ ბერძნული დედანი ამ რომანისა.

საბოლოოდ აღსანიშნავია, რომ ეს სულის მარგებელი ქართული თხზულება უნდა გამოცხადდეს მსოფლიო მნიშვნელობის და ღირებულობის ნაწარმოებად მთელ საქრისტიანოში.

რომი.

მ. თარხნიშვილი

## როგორ უხვდა ქართველი ერი ილიას სიკვდილს?

(სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებაზე პარიზში)

იუდა ქართლის ამომგდებელი,  
 მთაში გარბოდა ილიას მკვლელი.  
 სისხლში შესვრილი კენესოდა ველი,  
 შორს ჩადიოდა მზე მეწამული  
 და დაგვრჩა მარად საგოდებელი,  
 ქართლის გოლგოთა — მთა წიწამური...

ალ. ქუთათელი

მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ტყვიებით გაუგმირეს მას შუბლი და გული. სცემეს და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე....

ეს საშინელი უბედურება თავს დაატყდა ქართველ ერს 50 წლის წინათ, 1907 წელს, 30 აგვისტოს. თავზარდამცემი ამბავი სწრაფლ მოედო თბილისს და მთელ საქართველოს. უსაზღვრო გლოვამ შეიპყრო ქართველი ერი. აღშფოთდა, შეირხა და განრისხდა იგი.

როგორ თუ გაბედეს და სიცოცხლე მოუსპეს იმ ადამიანს, ვინც 50 წელიწადი კალთით ატარა საქართველოს ბედი, განუწყვეტლივ აფრქვია ეროვნული შეგნების და მამულიშვილობის საღმრთო ცეცხლი. ქირისუფლობდა ერს და პირველი აგებებდა საკუთარ მკერდს მტრის მახვილს!

„დედავ ქართველისა! ზიზლით დაჰგმე იუდის კერძები, რომლებმაც ბინძური ფეხით გასთელეს მრავალ-ტანჯულ საქართველოს თავმოყვარეობა და რკინის შანთებით დაგვისერეს სული და გული“. „გაიხარენით უგუნურებო! მოჰკლეს ილია საქართველოს მალმერთებელი, შეაგინეს და წაბილწეს ჩვენი წმიდათა - წმიდა“... გაისმოდა მთელ საქართველოში და მთელი ერიც თავზარდამცემული, მწარე ცრემლებით უხვდა მოწამებრივ სიკვდილს მისი სახელოვანი შვილისა.

სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში ცოტა დროა, რომ შევეძლოთ სრული სურათის გადმოშლა იმ გრანდიოზული ეროვნული დემონსტრაციისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ილიას მოკლვის გამო. უნდა დავკმაყოფილდეთ მოკლე აღწერით.

ვინაიდან საქართველოს ყოველი კუთხე, ყოველი ქალაქი, თითქმის ყოველი სოფელი მოსურნე იყო დასაფლავებაზე მონაწილეობა მიეღო და ღირსეულად ყოფილიყო წარმოდგენილი, დამკრძალავმა კომისიამ საჭიროდ სცნო დასაფლავების დღე გადაეწია და იგი მეთერთმეტე დღეს, 9 სექტემბერს დანიშნა. ხოლო საგურამოდან თბილისში ჩამოსვენება 7 სექტემბერს.

ამ ხნის განმავლობაში იმართებოდა მთელ საქართველოში საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდები. საქართველოს გლოვაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სხვა ერები: სომხები, ბერძენები, თათრები, ებრაელები და სხვები. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი საზღვარგარეთ მყოფი, რომ არ გაეგზავნოს სამძიმრის წერილი და დეპეშა საქართველოში. „სამშობლოს გლოვას ჩვენი ცრემლიც მიუმატეთ,“ „ნუ თუ ილია და ამისთანა საზიზღრობა?“ — სწერდნენ ისინი. — თვით ციხეებიდანაც კი მოახერხეს პატიმრებმა შეერთებოდნენ საერთო გლოვას. „არსებული უსამართლობით რკინის ჩარჩიან კარ-ჩაკეტილ საკნებში მომწყვედულნი, ილიას სიკვდილით გულდაკოდილნი, ვუძღვნით მას ცოცხალი ყვავილებით შემკულ გვირგვინს და თან ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს“. იუწყებოდნენ მეტეხის პატიმრები.

როგორც ზემოთ ვთქვით, საგურამოდან თბილისში ჩამოსვენება დაინიშნა 7 სექტემბერს. ამ დღისათვის საგურამოში ჩავიდნენ წარმომადგენელნი: წერა-კითხვის საზოგადოებისა, დრამატიული საზოგადოებისა, ქართველი ქალების, გიმნაზიების, თავად-აზნაურობის, სოც-ფედერალისტთა პარტიისა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებიდან, თბილისის დეპოს მუშათა და სხვა მრავალ ორგანიზაციათა, რომელთა ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა.

გამოსვენებას დაესწრო აგრეთვე მთელი საგურამოს და წიწამურის გლეხობა. პანაშვიდის შესრულების შემდეგ ილიას კუბო გამოასვენეს კარში არტურ ლაისტმა, ივანე რატიშვილმა, ვასო აბაშიძემ, ალექსანდრე მდივანმა, იაკობ ფანცხავამ და გიორგი ზდანევიჩმა. სიტყვები წარმოსთქვეს ეკატერინე გაბაშვილმა და ივანე რატიშვილმა. როდესაც პროცესია დაიძრა, ილიას სახლზე საგურამოს გლეხებმა ააფრიალეს უშველებელი შავი დროშა. კილომეტრზე მეტი გაჭიმული პროცესია წიწამურში გაჩერდა. შუა გზაზე, ორ ადგილას, შავად მოსჩანდა ილიას სისხლი. გლეხებს ეს ადგილი ქვებით შემოეკირწყლათ. აქ პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. მის კითხვაზე — რა უნდა ეწოდოს მკვლელებს, ყველამ ერთხმად დაიგრიალა: იუდა! იუდა! შეჩვენდეს, დაიწყევლოს!

მთელ გზაზე თბილისამდე, მცხეთაში, ზემო ავჭალაში, დილოში ილიას კუბოს ხედებოდნენ გვირგვინებით და შავი დროშებით. დილომის მინდორზე გლეხები იდგნენ პურის თავთავების გვირგვინით, რომელზედაც ეწერა: „კაკო ყაჩაღის დამწერს — დილომის გლეხებისაგან.“

თბილისი უკვე დილიდან ემზადებოდა ილიას დასახვედრად. მთელი ქალაქი ვერისკენ მიეშურებოდა, სადაც 12 საათს უკვე ტევა არ იყო; სამარისებური სიჩუმით მოცული ზღვა ხალხი სამხედრო გზისაკენ იყურებოდა. სამ საათზე პროცესიაც გამოჩნდა. წინ, შავ ჩოხებში გამოწყობილი 30 ცხენოსანი მიუძღოდა, კუბოს 50 საგურამოელი გლეხი მისდევდა. ასამდე ეტლი იყო. ვერაზე ოთხი ეპისკოპოსი დახვდა დიდძალი სამღვდელოებით. მცირე ლოცვის შემდეგ აქ სიტყვები წარმოსთქვეს: დიდუბის მოძღვარმა ნ. თალაქვაძემ, ვლადიმერ მიქელაძემ, ილია ზურაბიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ და მიხეილ წერეთელმა.

ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ნაწყვეტებს ზოგიერთთა სიტყვებიდან. მღვდელი ნ. თალაქვაძე: „ეს რა ზარ-ზეიმით გეგებება მარად და ყველგან შენი საქართველო? იქნებ ორმოცდაათი წლის სწორუპოვარი უმწიკვლო მოღვაწე-



ობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს შენი, ჩვენთვის სათაყვანებელი თავი? არა, ეს ჩვენ ვერ მოვახერხებთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ. ივერიის ეკლესიის დიდებულთა, ჭეშმარიტო-ღვინო-ღვინო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდლოებაც, თაყვანს სცემს შენს ზეგარდმო-მადლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში მარავენდელით გასხივონებული შენი ხატება, რომ შენი მოძღვრება, შენი ანდერძი აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს.“

„საქართველოს ჭირისუფალო ილიავ, მიმართავს ილია ზურაბიშვილი, შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ხვდა თავის მხნე მკერდზედ დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშთს... სულმნათო მგოსანო! საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გეგებარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუღუნე, ბედის მოჩვიარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელ ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუბასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარა?! მამ მართალია?! თუ აგრეა — იგლოვეთ, იგლოვეთ მდულარეთ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ ყვარელის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები, ეს იქნება თქვენნი ძაძა. შენ, ობოლო ვაზო, აფრქევი მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბლავილი! აღარა გყავს ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გყავს გრძნობათა მოენე!.. შენ კი, საქართველოვ! ახლა მაინც მიხვდი რა ბედ-შავია შენი ხვედრი. დეე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა...“

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მიხეილ წერეთელმა. ცნობილია, რომ მისმა გაბედულმა პოლიტიკურ-საპროგრამო სიტყვამ, უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ დასაწყისს და ბოლოს ამ გრძელი და მნიშვნელოვანი სიტყვისა: „მამულიშვილნო! „ვინა სთქვა საქართველოზედ — რა დიდი ლომი კვდებაო?“ — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ. ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარდამცემნი სიტყვანი — საქართველოს დიდი ლომი კვდება — სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჭვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდო! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დაჰკარგა რა თავისი თავისუფლება. დამუკიდებლობა და შემდეგ მთელი ასი წლის განმავლობაში მთელი მისი არსება მომაკვდავ სულს დაფავდა! მაგრამ ამ შავ დროზედ უფრო მჭერმეტყველურად, უფრო კანდიერად ილია ჭავჭავაძის მეკვლელებმა ჩაგვძახეს ყურში მთელ საქართველოს — საქართველო ეს დიდი ლომი მართლაც მოკვდა, — მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლაში გამოიხატა.“

შემდეგ მიხეილ წერეთელი გადაშლის რა ქართველი ერის თავგადასავალს, მის დიდებას, მის ტრალედიას, ილიას როლს და ღვაწლს — ასე ამთავრებს თავის სიტყვას: „შენ კი, დიდებული ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ. გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს. რომ სწორედ ამ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულ ამოკ-

ვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“. გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვი ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად; გვაპატიე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამელოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატიე, — ეს შეეფერება შენს დიდსულოვანებას! იქ ზევით, პოეტთა მიერ შემკულ მთაწმინდაზედ განგასვენებთ, ჩვენ მცხოვან ტანჯულ დედა-ქალაქს თბილისს რომ ბატონობს იღუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან ველარ გადმოხედავ შენს სამშობლო მხარეს და „ტკბილი ჭიკჭიკით ველარ დაატკობ მის არე-მარეს“. ველარ იხილავ მომავალში შენს ერსა, „ფენიქსებრ განახლებულს“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა. მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რათვან ველარ იხილავ იმ სიწითლეს სირცხვილისა, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა სჭამა შენი წამებით და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს.“

მიხეილ წერეთლის სიტყვის შემდეგ პროცესია დაიძრა სიონის ტაძრისაკენ. სურათი იყო აუწერელი და დაუფიქსარი. უამრავი დელეგაციები... უთვლავი გვირგვინები... დაკეტილი მალაზიები და სახლები მთლად შავებში... ყველგან ილიას სურათები ყვავილებში... ვალობდა მორიგეობით 12 გუნდი დამსწრეთა რიცხვი 80 ათას აღწევდა.

სიონის ტაძარში ილიას ცხედარს მიეგება ეპისკოპოს ლეონიდე შემდეგი სიტყვებით: „ამბობენ, ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველგვარ ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებისაა სწორეთ ჩვენი ილიაც; ამ შავი და ბნელი კუბოდანაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მღალი სული, ამ კუბოდანაც ყველას გვარწმუნებს: — რომ ვაცოცხლდებოდე, ჩემი სათხოვარი და სავედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

„მწყურს მე გამინათლდეს ცით ჩემი სული,

შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,

რომ მტერთათვისცა, რომელთა თუნდ გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: „შეუხნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან!“

მაშ ამაოა და უსარგებლო ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა; ილიას დიდებული სულის შეურაცყოფა იქნებოდა მისი მკვლელებისაგან ჩვენი მხრით რაიმე ანგარიშის მოთხოვნა. უცხო ყოველი მტრობა-შურისძიებისაგან ილია გეთხოვს გონება მოკრეფით ჩავიხედოთ ყველამ თავ-თავის გულში და ყურადღებით გამოვიკვლიოთ, ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლელობაში. ჩვენ რომ თავის დროზე ილია გვეცნო, ჩვენ რომ ილიას **ნამცნები მოძღვრება ურთი-ერთის სიბრალულ - სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა, მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვეოდა.** მაგრამ, დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მღალაო!

გლოვით შებყრობილნო საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვსთ: თუ ვისმე მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებისითი თუ უნ-

ებლიე დანაშაულისა, და მივსცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარო ალექსანდრეს, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ საესებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.“

ორი დღე ესვენა ილიას გვამი სიონის ტაძარში. ამ ხნის განმავლობაში ათასობით მოდიოდა ხალხი გვირგვინებით და თაიგულებით დიდი ქართველის ცხედრის წინაშე მუხლის მოსაყრელად... იმართებოდა პანაშვიდები, წარმოითქვა სიტყვები: მღვდელი კარბელაშვილის, არქიმანდრიტი ამბროსის და გიორგი გვაზავას მიერ.

დაკრძალვის დღეს, 9 საქტემბერს, ილიას სათაყვანო კუბოს ირგვლივ **შემოკრბა სრულიად საქართველო** „შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის მთებამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული ოსმალეთის საზღვრამდე“. აქ იყვნენ: გლეხი, მუშა, აზნაური, თავადი, მღვდელი, ვაჭარი, დიდი და პატარა და ყველანი ერთნაირად დასტიროდენ და გლოვობდენ ერის წინამძღოლის დაკარგვას.

ოთხი ეპისკოპოსისა და დიდძალი სამღვდელოების მიერ წესის აგების შემდეგ, 11 საათზე ილიას კუბო გამოასვენეს სიონის ტაძრიდან და პროცესია დაიძრა მამა-დავითისაკენ, რომელსაც მხოლოდ საღამოს ექვს საათზე მი-აღწია. წინ მიუძღოდა შავი დროშები, ჯვრები და ხატები. შემდეგ ამქრები თავიანთი დროშებით. მათ უკან — ორმოცი საგურამოელი გლეხი. შემდეგ 190 დელეგაცია საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებლების, რედაქციების და სხვათა, — გვირგვინებით ცოცხალი ყვავილებისაგან, რომელთა რიცხვი უთვალავი იყო. ბევრი იყო აგრეთვე ვერცხლის ხატები და გვირგვინები სხვა და სხვა წარწერით. ყურადღებას იქცევდა ვერცხლის გული, რომელიც მოჰქონდათ გვირგვინის ნაცვლად სამეგრელოდან ჩამოსულ ორ ბავშვს 5 და 6 წლისა; გულს შუაში ტყვია ეკიდა. გულზე ეწერა: „ვის არ რგებია უკვდავთა შორის, რომ შენ არ გრგებოდეს ბნელ ძალებისგან.“ გვირგვინების შემდეგ მოდიოდნენ მგალობელთა და მემუსიკეთა ოცამდე გუნდი; სამღვდელოება, სამგლოვიარო ეტლი ცხედრით, რომლის გარშემო იდგნენ მთელი საქართველოს ცნობილი მოღვაწენი. მათ მისდევდნენ წარმომადგენლები ყველა დაბა-ქალაქებისა. 100 ათასს აღემატებოდა პროცესიაში მონაწილეთა რიცხვი.

სასახლის ქუჩაზე პროცესია შეჩერდა. შავებში შემოსილ წერა-კითხვის საზოგადოების სადგომიდან გადმოდგა რამდენიმე კაცის დახმარებით იმ დროს შეუძლოთ მყოფი აკაკი წერეთელი და ილიას მიმართა: „მშვიდობით ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთს. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა მე მარტოდ დამტოვე, დავრჩი ობოლი. შენ კი, შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ და სურთ, მაშინ ნეტავი შენ, რომ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოდრავებისა, და აჰა საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს...“

ცრემლმორეულმა პოეტმა ძლივს დაამთავრა თავისი სიტყვა.

პროცესიამ გაიარა გოლოვინის გამზირი და ჭავჭავაძის ქუჩით მთა-წმიდი-



საკენ გაემართა. მამადავითის მოედანზე, საიდანაც უკვე ეტლით სვლა არ შეიძლებოდა, პროცესია შეჩერდა. აქ სიტყვები წარმოსთქვეს: ქ. თბილისის მოურავმა ვ. ჩერქეზიშვილმა, სიმონ მდივანმა, ვლასა მგელაძემ, ქართველ ქალთა მონღოლობით ნინო ნაკაშიძემ, მელიტონ გობეჩიამ, ვაჟა-ფშაველამ და ქუთაისის გიმნაზიის მოწაფემ სერგო ჟორჟოლიანმა. ვ-ფშაველამ თხოვნით მიმართა ილიას და სთქვა: „დალილო დაქანცული ილია მიებარა ცივ სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავისი ქვეყნისა. გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით — ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველნი და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ მათ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ისინი“...

მწარედ აატირა საზოგადოება სერგო ჟორჟოლიანმა. მან დაიწყო იმით, თუ რა დიდი სურვილი ჰქონდა ცოცხალი ენახა ილია ჭავჭავაძე. „მე მსურდა საკუთარი თვალით დამეინახა ის პოეტი. ის მასწავლებელი, სხივებით ბრწყინვალე და ჩირაღდანივით მოელვარე იმ ადამიანის სახე, რომელიც მზიბლავდა და მიზიდავდა. მე მსურდა ამგვარი კაცის ხელს თუ არა, ტანისამოსს მაინც მივკარებოდი, მაგრამ სხვა და სხვა პირობებმა ხელი არ შემიწყეს და ეს ჩემი მიზანი განუხორციელებელი დარჩა. ვერც თბილისი ვნახე და ვერც შენ, — ძვირფასო მეოსანო! ხოლო რა სურათს შევესწარი მე აქ, ამ ქალაქში პირველად ჩამოსული ყმაწვილი: სამგლოვიაროდ შემოსილა მთელი ქართველი ხალხი, სუნთქვა ჩავარდნია დიდ ქალაქს, დიდი, პატარა, აღშფოთებულ-შეწუხებულია და სასოწარკვეთილებას მისცემია; ნეტავ რატომ? ყველა ეს მოხდა, ღირსეულო ქვეყნის შეილო. იმიტომ, რომ შენ ისე ვერ დამხვდი, როგორაც მე მოველოდი. მე მოველოდი შენი ბრწყინვალე სახის დანახვას, — შენ კი უკმაყოფილოდ, მრისხანედ გამოიყურები. მე ვფიქრობდი იმ ბაგეთ ვიხილავდი, რომელნიც ჩვენთვის არა ერთხელ ამოძრავებულა, მე კი რას ვხედავ: ჩამავებულა ეგ ტუჩები და ერთი მეორეს მიკვრია, დაგდუმებია შენი მოჭიკჭიკე ენა, უმოქმედოდ. გაუძრევლად დაგიკრეფია ის მადლიანი ხელები, რომელთაც უმუშევრობა არ შეშვენის და უწინ ჩვენთვის არა ერთხელ დაღალულა. მე მოველოდი შენი გულის, სათნოიანი გულის ცემას, მაგრამ... გაქცე-დარა იმ ტკბილხმიანი ჩანვის სიმები, რომელიც მელოდიურის ხმებით ჩვენთვის ჟღერდა. მე მეგონა შენი სათნოიანი სულის მოძრაობას შევესწრებოდი, მაგრამ მოვტყუედი, შენი, ჩვენს ხელში ისეც დატანჯული, არა ერთხელ შეწუხებული სული, სადღაც გამქრალა; გაყვითლებულა, ჩამავებულა ის მიმზიდველი თვალები, რომელნიც მტერს გულსაკლავად, ფართოდ გაშლილი შეყურებდა; ვერ გიხილე პოეტო, ვერა, ისე როგორც მე მსურდა“...

ჟორჟოლიანის სიტყვის შემდეგ ილიას გვაში მუშებმა, გლეხებმა და მწერლებმა ხელით აასვენეს აღმართზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში. აქ სიტყვები წარმოსთქვეს: მღვდლებმა მაჭარაშვილმა და კელენჯერიძემ, ნიკო ცხვედაძემ, იონა მეუნარგიამ, კარლო ჩხეიძემ, გიგო რცხილაძემ, ბეგლარ მამალაძემ. გიორგი მეზვრიშვილმა და სიმონ ქვარიაშვილმა. უკანასკნელმა თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაამთავრა: „დიდო სულმნათო, მღელვარე გულისით მოვიდრეკე მუხლს შენს წინაშე და გვევდრები შეუდლო უმეცარო მათი სამარცხვინო საქციელი. შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა აღძრა ქართველი“



კიდით კიდემდე ეროვნული გრძნობა; აუხილა ბრძემბს თვალები; დაანახა მკვლელ ავაზაკებს თავიანთი საზიზღარი სახე, და აქ შეკრებით, საერთო გლოვით ამცნო ქვეყანას, რომ კვლავ არსებობს ქართველი ერი, თუმც უბედური, მაგრამ სულით ძლიერი. შენ მოგკლეს ვერაგებმა, დიდო მგოსანო! მაგრამ ქართველი ერის გული გარდაიქცა შენთვის სამარადისო აკლდამად, სადაც შეიმკე უკვდავების გვირგვინით...

სამშობლოს მიწავ! აჰა გაბარებთ ჩვენს ქება-დიდებას! მიუალერსე მას და ჩაიხუტე გულში შენი უპირველესი შვილი, შენი ტანჯული ილია!“

ასე მიაცილა დამონებულმა და უცხო უღლის ქვეშ მგმინავმა საქართველომ სამარემდე თავისი საყვარელი შვილი და მიაბარა იგი მის სანეტარო ქვეყნის მიწას, ისეთი ღრმა და გულწრფელი საყოველთაო გლოვით, ისეთი ცრემლის ფრქვევით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვია, უტტრია და დაუშარხია თავის დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს მისინი სახელოვანი და დიდნი მეფენი.

კ. სალია

## თბილისის დატოვება

( კოტე იმნაძის რეჟულითგან \*)

(მასალა ისტორიისათვის)

მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე შედიოდა რამოდენიმეჯერ მთავარ შტაბში, სადაც ეცნობოდა ფრონტის მდგომარეობას. იმ საბედისწერო დღეს, 1921 წ. 24 თებერვალს, რვა საათი სრულდებოდა შტაბში რომ დაებრუნდით. აქ დაგვხვდა შემდეგი პირები: მთავარსარდალი ლენ. კვინიტაძე, ლენ. ოდიშელიძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკ გედევანიშვილი. შესვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარე მიუჯდა შტაბის უფროსის მაგიდას, რომელზედაც ფრონტის რუქა იყო გაშლილი და მოსთხოვა პოლკ. გედევანიშვილს ფრონტის მდგომარეობის გაშუქება.

ლენ. ოდიშელიძე ოთახის ერთ-ერთ კუთხეში იჯდა ჩაფიქრებული. მიესალმა რა ფეხზე ადგომით მთავრობის თავმჯდომარეს, ლენ. ოდიშელიძე ისევ დაჯდა იმავე კუთხეში. მთავარსარდალი მისჩერებოდა კედელზე გაკიდულ რუქებს და ნერვიულათ გლარჯის მილს გლარჯის მილზე ეტანებოდა. ამ მისმა ნერვიულობამ უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ამ ოთახში მყოფთა შორის უფრო ობსერვატორი ვიყავი. ვინემ რაიმე აქტიური როლის მქონე.

პოლკ. გედევანიშვილი შეუდგა რუკაზე ქინძისთავებით აღნიშნულ ფრონტის მდგომარეობის გაშუქებას. ჩვენს არ ყოფნის დროს ლენ. ჯიჯიხიას ეცნობებია შტაბისთვის მის სანგრებში (ვაზიანში), რომელიც გვარდიელებს ეჭ-

\*) განსვენებული კ. იმნაძე იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ადიუტანტი.

ირათ, მტრის ტანკების შემოჭრა, რასაც ხაზში არევ-დარევა შეეტანა და გვარდიელთ მიერ სანგრების მიტოვება, თანაც დაერთო რომ ლებულობს ზომებს ფრონტის აღსადგენად...

რამდენიმე ხნის შემდეგ მე გავედი დერეფნით მეზობელ ოთახში, სადაც შტაბის ტელეგრაფის აპარატურა იყო მოწყობილი (საკავშირო განყოფილება). აპარატებზე რამოდენიმე მხედრები მუშაობდნენ, თუ არ ვცდები მაიორ ებანოიძის მეთაურობით. აქ წინა დღეებში ხშირად შევსულვარ, განსაკუთრებით, როდესაც მოლაპარაკება სწარმოებდა ყარსის (ყარსში თურქების მთავარსარდალი კარა ბექირი ბატონობდა) საშუალებით ანგორასთან (ჩვენ ელჩ ს. მდივანთან). ხშირად შევხვედრივარ სასტუმრო „ორიანტიში“ თურქების ელჩს კიაზიმ ბეის, რომელიც ანგორასთან მოლაპარაკებას ესწრებოდა, რომ ჩვენთვის აეცილებინა ყარსის ჩვეულებრივი საბოტაჟი. ყარსი თბილისის ანგორასთან შეერთებას და მოლაპარაკების წარმოებას ხელს უშლიდა. ლაპარაკი ეხებოდა საკითხს, თუ რას ნიშნავდა თურქების ჯარის მიერ ჩვენი საზღვრების გადმოლახვა. რუსეთის თბილისთან მოახლოებასთან ერთად უკვე შემჩნეულ იქმნა თურქების ჯარების საქართველოსკენ მოძრაობაც (ახალციხისაკენ). სხვათა შორის იმ დამეს, დაახლოებით მესამე თუ მეოთხე საათი იქნებოდა, როდესაც სოლანლულთან და საერთოდ მთელ ფრონტზე სამკვდრო საციცოცხლო ომი იყო გაჩაღებული, როდესაც გაშმაგებულ მტერს იერიში იერიშზე მოჰქონდა და გათენებამდის ხელჩართულ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი, სადაც ღენ. მაზნიაშვილის მიერ პირადი საოცარი სიმამაცის მაგალითით წახალისებულმა ცენტრში მყოფმა ჩვენმა ჯარმა ასე სასტიკად დაამარცხა მტერი — მე და კიაზიმ ბეი ავტომობილით შტაბში მივექანებოდით სადაც ის ანგორის მიერ იყო გამოძახებული. ამ ცეცხლის და გულშემზარავ ქექა-ქუხილის შემყურე კიაზიმ ბეი თურქული აქცენტით მეუბნება რუსულად: „იცი, ბატონო მაიორო, თქვენი მთავარსარდალი, მგონი, თბილისთან ბოლშევიკებს იმასვე უმზადებს, რაც მათ ვარშავასთან ივემეს“...

დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა საკავშირო საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. აქ აპარატები განუწყვეტლივ მუშაობაში იყო. სწორედ იმ დროს მომიხდა აპარატურაში შესვლა, როდესაც გენ. ჯიჯიჩიას (ვახაგანის ფრონტი) დასრულებული ჰქონდა მთავარსარდლისათვის პატაკის გადმოცემა. ეს პატაკი — რომ ბოლშევიკების ტანკები იძულებული გავხადეთ ჩვენი სანგრები მიეტოვებინათ, გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება მტკიცე, — როგორც ფრიად სასიხარულო ამბავი, მინდოდა რა თვითონ შემეტანა მთავრობის თავმჯდომარისა და მთავარსარდლისათვის. გამოვართვი მიმღებ მხედარს, თუ არ ვცდები იმავე მაიორ ებანოიძეს და შევუტანე აღნიშნულ პირთ. გაცენო რა ღენ. ჯიჯიჩიას პატაკს. ღენ. კვინიტაძე კვლავ თამბაქოს თამბაქოზე წვეით მიუბრუნდა ისევ კედლის რუქას და ჩაილაპარაკა: „ესიო რავნო“... რამოდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა, თითქოს კედლის მოწყდაო, გაექანა მთავრობის თავმჯდომარისაკენ და განუცხადა: — „იო ოტტუპაიუ!“ ეს ორი სიტყვა იქ მყოფთ მეხივით დაატყდა თავზე. მთავრობის თავმჯდომარემ და მის გვერდით მდგომ პოლკ. გედევანიშვილმა რუქაზე ჩაქინდრული თავი მალა ასწიეს და გაუსწორეს მთავარსარდალს. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და გაცემალი გამომეტყველებით შეეკითხა მთავარსარდალს: — როგორ, რა მოხდა...

უკან დახევა აუცილებელია?! — დიახ!... — გესმით ასეთი ნაბიჯის პასუხისმგებლობა და ლებულობა ამ პასუხისმგებლობას თავზე? — დიახ!.. და შეუდგა ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების დასაბუთებას შემდეგი სახით: — კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესავსებად — პირიქით, მთელი რივი „პუსტიე პროსტრანსტვა“... ამავე დროს მტრის ცხენოსანი ჯარი დაეშვა დილომით და გამოჩნდა ზურგში. კოჯორით საბურთალოსკენ მიემართება. ამავე დროს ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დაიკავოს და უკან დასახევი გზაც მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს, რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა... — ათი საათი სრულდებოდა — და დაუმატა: თქვენ განკარგულებაშია, ბატონო თავმჯდომარე, ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე. ისარგებლეთ ამ დროთი როგორც საჭიროთ მიიჩნევთ... და მიუბრუნდა პოლკ. გედევანიშვილს: — სწერეთ უკან დახევის გეგმა! და დაუწყო გედევანიშვილს კარნახი თუ რომელი ნაწილი რა გზით და რა წესით ივლის და რომელი პოზიცია უნდა დაიკავოს მცხეთის მიდამოებში... ამ დროს კუთხეში მჯდომი ღენ. ოდიშელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვით: — ნება მიბოძეთ, ბატონებო, გამოვსთქვა ჩემი აზრი. ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია მთავარსარდალმა, რომელიც განაგრძობდა უკან დახევის გეგმის კარნახს. მიუხედავად ამისა, ღენ. ოდიშელიძემ მაინც წარმოსთქვა თავისი აზრი.

საომარ სტრატეგიული მოსაზრებით ასე ურყევი გადაწყვეტილების აუცილებლობა მთავარსარდალმა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე. სათანადო დასაბუთა და ამ დასაბუთებას ლოლიკაც არ აკლდა. მიუხედავად ყოველივე ამისა თვით აზრი უკან დახევისა და მისი აუცილებლობა ისეთ საშინელებათ მიმაჩნდა, რომ ინსტიქტიურათ ხსნას ღენ. ოდიშელიძის სიტყვაში ველოდი და ამიტომ ჩემი გულისყური მის მერ გამოთქმულმა აზრებმა მიიპყრო. მან დაახლოებით შემდეგი სთქვა: — ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა, რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულს ჯარში. მე ვფიქრობ. მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევე იქ არის, იმ პოზიციებზე. რომელიც დღეს ჩვენს ჯარს უკავია... (თითქოს მთავარსარდალის თავმოყვარეობაზე უნდა გაითამაშოსო:) — როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება, რომელიც მთავარსარდალმა იგემა თბილისთან, უკან დახევით სასწორზე დაიდოს. პირიქით მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე... და შეტევაზე არა საერთო ხაზით, არამედ ერთგვარი პარტიზანული წესით, განაგრძობდა ოდიშელიძე, პარტიზანული შეტევით რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს... მანამ, სანამ დაუძლურებული და საკმაოდ შელახული მტერი სავსებით არ მოტყდება, ამავე დროს მოგვისწრობს მოხალისეთა ის ორი ათასეული, რომელიც იმერეთიდან დაძრულა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველებისა. დაბოლოს შეტევაზე გადას-



ვლა საერთო ხაზით მტრის სახეებით განადგურებისათვის.. თუ სხვა რამ არ გვიწერია, მე ვფიქრობ, უმჯობესია თბილისის წინ სასახლოდ დავიხოცოთო, — დაასრულა ამით.

ლენ. კვინიტაძემაც დაასრულა თავის უკან დახევის გეგმის კარნახი შემდეგი სიტყვებით: — ზურგში უკან დახევის დასაცავად, ვნიშნავ გენ. მანუნიანის თავისი ნაწილებით. — მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა ლენ. ოდიშელიძეს: — აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი? — მთავარსარდალის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა, მიუგო ლენ. ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დასტოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ. აქ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის მოზდილ ოთახში თავი მოეყარათ დეპუტატთა უმრავლესობას. მისვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა აიღო. მან გააცნო დამფუძნებელ კრების წევრთ ჩვენი ჯარის უკან დახევის და თბილისის დატოვების აუცილებლობა იმ სახით, როგორც ეს მთავარსარდალმა გადასწყვიტა და დასძინა, რომ უკან დახევა დაიწყება ღამის 12 საათზე...

ამ ამბავმა საერთო ჩოჩქალი გამოიწვია დამსწრეთა შორის. პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა და გაცემული შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს — თუ ვინ გაბედა, ვისი აზრია დედა ქალაქის დატოვება.

— ასეთია მთავარსარდალის ურყევი გადაწყვეტილება. თუ ეს არ მოგწონთ. მას გადავყენებ და თქვენ დაგნიშნავთ, ან სხვა ვინმეს ვისაც ინებებთ — მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ.

გახურებულ თავთ თითქოს ცივი წყალი გადაევლო... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი. ვეშაპელიც ჩაჯდა... ცოტა სიჩუმის შემდეგ ნოე ჟორდანიამ სთქვა: — თქვენს განკარგულებაში ცოტა დროა დარჩენილი, ვისაც არ გინდათ დარჩენა, ისარგებლეთ ამ დროთი.

მთავრობის თავმჯდომარე მივაცილე სახლში, სადაც თბილისის მოქალაქეთათვის სახელდახელო მოწოდება დასწერა დედა ქალაქის დატოვების აუცილებლობაზე და პირდებოდა მოკლე ხანში ჩვენი ჯარის მიერ თბილისის ისევ დაკავებას. გადმომცა ეს მოწოდება და მიბრძანა სასწრაფოდ გაზეთ „ერთობის“ სტამბაში შევსულიყავი მის დასაბეჭდათ და გასავერცელებლად. სტამბაში მოწოდება გადავეცი ასოთ-ამწყობს (გვარი არ მახსოვს), რომელთანაც წინასწარ ტელეფონით ვიყავი შეთანხმებული. წაკითხვა ვერ დაასრულა, რომ ასოთ-ამწყობს თვალები ცრემლით ავესო. ამ სურათმა ჩემზედაც იმოქმედა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ყელში მობჯენილ ბოლმას გზა არ მივეცი...

ღამის პირველი საათი სრულდებოდა, რომ გავეშურე ავტომობილით სახლისაკენ. მისვლისთანავე რაც ხელში მომხვდა ჩავაწყე ჩემოდანში და გავეჩანე სადგურისაკენ... ქალაქი ძილს მისცემოდა, ირგვლივ სრული სიწყინარე — წესრიგი სუფევდა, პოსტზე მდგომი მილიცია ჩვეულებრივ თავის მოვალეობას ასრულებდა. არც ფრონტიდან მოისმოდა ზარბაზნების ჩვეულებრივი გრგვინვა თუ ტყვიამფრქვევთა რაკეტაკი. ვინ წარმოიდგენდა თუ ამ დროს ჩვენი ჯარი უკან იხევდა, თბილისს სტოვებდა...



## საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი პარიზში

ტრიალებს ქართული ბალეტის ფირფიტა... მაგონდება: ღეთაებრივი სილამაზით გაიშალენ 50 ახალგაზრდა თეატრ ალამბრას სცენაზე და წარმოადგინეს 20 საუკუნოვანი კულტურა ქართველი ერისა სრულყოფილი სიმშვენიერით და სიძლიერით.

გაუტეხავი ეროვნული სული, რაინდობა, უმაღლესი ზნეობა და სისპეტაკე, უაღრესი თაყვანისცემა ქალისა, ყველა თვისებები, რაც კი ქართველ ერს ახასიათებს და გამოუხატავს თავის ცეკვებში, გადაშლილი იყო პარიზის სცენაზე ნორჩი ქართველი ახალგაზრდების მიერ, რომელნიც იშვიათი მოხდენილობით იფერებდნენ მაღალი გემოვნებით შესრულებულ ეროვნულ ტანსაცმელს, და ხან ჯეირანის სისწრაფით, ხან პეპელას სინაზით დანავარდობდნენ სცენაზე დ აოცებდნენ მაყურებელთ.

კოხტად გაშლილი მეტყველი ხელებით, უჩინრად კეკლუცი ქალები, გედევით დასკურავდნენ და ისე ირხეოდნენ, როგორც ჯეჯილს აღლევებს ოდნავ მონაქროლი სიო. გასაოცარი ხელოვნებით ეხმატკბილებოდა მათ თამაშს ნაზი და მჭერმეტყველი მუსიკა.

პარიზის გაკვირვება ძნელია. რა არ უნახავს მსოფლიო ხელოვნების ცენტრს? მაგრამ ქართველმა მოცეკვავეებმა ისეთი ოსტატობით წარმოადგინეს საქართველოს მდიდარი ხელოვნება, რომ პარიზიც მოხიბლული და მოჯადოვებული დარჩა. მთელი პრესა, გამოუკლებლივ, აღფრთოვანებით და გოაცებით შეჰხვდა მათ. შორს წაგვიყვანდა ამ მდიდარი და მრავალფეროვანი მიმოხილვის მოყვანა. მე მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავ: გამოჩენილი რეცენზენტი ემილ ვილერმოზი „პარი პრესს“-ში სწერს: „თუ ცეკვა ერების ან რასის ზნე-ჩვეულებათა ერთგული ასახვაა. როგორც ამას ეთნოლოგები ამტკიცებენ, მაშინ საქართველოს დახელოვნებული, სიცოცხლით მჩქეფარე წარმომადგენლები პარიზის ქორეოგრაფებს საკმაოდ მკაცრ გაკვეთილს აძლევენ. უან მარეს მიერ დადგმული სპექტაკლის ნახვის შემდეგ რაც კავკასიელმა მოცეკვავეებმა წარმოადგინეს, შეუძლია მისცეს ფილოსოფოსებს და მორალისტებს სერიოზული საგანი მედიტაციისა. ეს ფოლკლორი არის იშვიათად შერჩეული და კეთილშობილური. მხედართა კლასიკური ტანსაცმელი თვით მეტყველებს ცეკვის შინაარსს და აძლევს მას ამაყ და არისტოკრატიულ სახეს. ქართულ ცეკვებს ახასიათებს სულიერი სიცხოველე და ბრძოლებს გამაბრუებელი სიმშაგე. მათი ვირტუოზობა არის სრულიად დაუჯერებელი. აქ არის — უაღრესად ვაჟკაცურ გმირულ ცეკვასთან ერთად უკიდურესად ფაქიზი, ცერებზედ მოხდენილი მოძრაობაც. ღინამიში ამ სპექტაკლისა არის გამაგიჟებელი.“

მაგრამ, რაც ჩვენ ყველაზე უფრო გვაოცებს ამ ცეკვებში, ეს არის მათი



თავაზიანი და რაინდული ხასიათი, პატივით და თავყვანისცემით მოპყრობა ქალების მიმართ, რაც ჩვენი საშუალო საუკუნოების სატრფიალო კულტურა მოგვაგონებს. ქალიშვილები, ჩაცმულნი ისეთი ტანსაცმელით, რომელიც მათ საოცნებო ყვავილებად აქცევს, ისე მისცურავენ ჰაერში, რომ მიწას ცერებითაც კი არ ეხებიან. შეხმატკბილებულ ფერხულში, ისინი სიზმრის დედოფლებად გვევლინებიან და მათი პაწია ხელის ერთი გაქნევაც კი კმარა, რომ შეწყდეს გაათორებული შეჯახება. თუ ჩვენ შევედარებთ მოშლილ და ძვალტყავა მარიონეტს, როგორც არის ჩვენი თანამედროვე ევა, ამ ფრთოვან და ლამაზ ქმნილებებს, რომლებიც ანსახიერებენ ქალის სხეულის სრულ სინაზეს და კეთილშობილებას, მაშინ ეჭვი გვებადება, რომ ჩვენი საუკუნის დიდ მიღწევად ჩაითვალოს უკანასკნელი მონაპოვარი „ჩა-ჩა-ჩა“.

გაზეთ „ლობერასიონ“-ში გი დორნანი სწერს: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხურ ცეკვათა სანახაობით აღძრულ ალტაცებათა ნაკადი დამთავრდა. პოლონური, ჩეხური, უნგრული, რუმინული და მოსიევის ანსამბლების შემდეგ, რისი მოლოდინი შეიძლებოდა გვექონოდა? ვცდებოდით; თურმე შეიძლებოდა. ეს ცეკვები, რომლებიც მსახიობებმა რუსეთის და მცირე აზიის მიჯნაზე მდებარე ქვეყნიდან ჩამოიტანეს, წარმოადგენენ სრულყოფილ ქმნილებას, რომელიც შეიძლებოდა ჩვენ მრავალ მხრივ გაკვეთილად გამოგვედგომოდა. ანსამბლის გამოსვლამ ერთნაირი ალტაცება გამოიწვია, როგორც პარტერის სტუმრებში (ოფიციალურ პირებში, თეატრების და კინოს გამოჩენილ მსახიობებში, კრიტიკოსებში), ისე იარუსებზეა და ქანდარებზე მსხდარ მაყურებლებში; ეს იმას ნიშნავს, რომ ფარდის ახდიდან მის საბოლოო დაშვებამდე, ყველა მოხიბლული აღმოჩნდა სიჯანსაღით, ძალღონით, არაჩვეულობრივი ვირტუოზობით, და ამავე დროს, სიმსუბუქით, სისწრაფით და სინაზით. ყველა ეს თვისება მოწმობს უშიშარი ხალხის სულის კეთილშობილებას, ხალხის, რომლის წარმომადგენლები მუხლს იდრეკენ მხოლოდ მარად ქალური სინაზის მომღიმარი ბრძანების წინაშე.“

მეცამეტე საუკუნის მხედრული ცეკვა, ხორუმი, ყაზბეგის მთის მწყემსების ცეკვა, ქართველ მებაღურეთა ცეკვა, კინტოთა ჭიდაობა, ძველებური თბილისური ცეკვა, საღამოს პროგრამაში შესული თავბრუდამხვევი დუელეები, რომლის დროს გადაჯვარედინებულ ხმლებს ნაპერწკლები სცივია. შეხამებულია ხელოსანთა და ხილის გამყიდველთა ცეკვებთან და, ბოლოს, საჩორწილო ცეკვასთან, რომლითაც თავდება მსახიობთა გამოსვლა. ეს ცეკვა რითმების, აკრობატიკის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს. აქ შესანიშნავად გამოიყურებიან შავ ჩოხებში, კრაველის ქუდებში და მაღალ ყელიან მესტებში გამოწყობილი, ფეხის ცერებზე მოცეკვავე, ზვიადი რაინდები. ეს მოყვანილი ვაჟკაცები ერთმანეთს ეძვრებიან მამლებივით, მაგრამ ამასთან მათი სახეები მეტყველებენ გულითადობას და გულკეთილობას. ყველა ისინი ელვისებური სისწრაფით ხტიან და ტრიალებენ მუხლებზე; ამასთან ეს მოძრაობანი ისე კარგად აქვთ ნავარაუდები და მოწესრიგებული, რომ ყველაზე ფიცხ შეჯახებაში, ცალკეული სოლო-ნომრების უსწრაფეს კალეიდოსკოპში კაცს უჭირს თვალი მიადევნოს გასაოცარ ხელოვნების მექანიზმს. სხვა არაფერს შეუძლია შექმნას მოწესრიგებული გრიგალის ისეთი კონტრასტი, როგორსაც ქმნის ნელი და ნარნარი მოძრაობა მოცეკვავე ქალებისა, რომელიც ფერხულში ცოცავენ, როგორც ფერიები, როგორც ქალწული ამორძა-

ლები, ზღაპრული დედოფლები, როგორც შუა საუკუნეების რაინდთა გულ-ის მპყრობელი მანდილოსნები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიკარებია აღმოსავლური მოთენთილობა.

მართლაც, შესანიშნავი სანახაობაა, გულწარმტაცი და ამაღლებელი. რომლის ფონზედაც ჩვენ უწნოდ, უზადრუტად და დამამცირებლადაც კი გვეჩვენება თეძობის უწნო რხევა და ჩვენი სულ უკანასკნელი ქორეოგრაფიული მიღწევების ისტერიული, არაჯანსაღი მახინჯი ხასიათი.“

Le Figaro littéraire, Arts, Combat, L'Aurore, L'Humanité, France-Soir... და სხვა დანარჩენმა ჟურნალ-გაზეთებმაც უძღვნეს ქართულ ცეკვებს აღფრთოვანებული წერილები ასეთი სათაურებით: „ძნელია წარმოიდგინოთ უფრო გასაოცარი, უფრო სრულქმნილი რამ, ვიდრე არის კავკასიური ცეკვის ანსამბლი“, „მჩქევარე და პოეტური ხალხის მგზნებარება“. „თუ გსურთ გაიგოთ როგორია ნამდვილი საცეკვაო ხელოვნება, უნდა ნახოთ კავკასიური ცეკვის ანსამბლი“, „დამატკობელი ცეკვები“ და სხვა...

ერთმა ჩემმა მეგობარმა, წარმოდგენის შემდეგ გამიზიარა თავისი განცდა და აზრი. მან სხვათა შორის სთქვა: — ფოლკლორის თვალსაზრისით შეიძლება ცეკვების შევსება ფოლკლორის სხვა ელემენტებით. ამ ელემენტებს შეადგენს ის „გარემო“, რომელშიც ქართველები ცეკვას სინამდვილეში ასრულებენ. ეს გარემოც ფოლკლორს ეკუთვნის: მთები, მთებზე ქართული ტაძრები, ციხე-კოშკები და სხვა ამგვარი სურათები. მუნჯი ცეკვები იშვიათია. მას სიმღერა თან დაყვება. საინტერესო იქნებოდა ქართულ პეიზაჟთან შეზავება გუნდის სიმღერებისა და ცეკვისა. დუდუკი და დოლი კარგი იყო. მაგრამ ჩონგური, სახანდარი და ბუკი მუსიკის მეტი ვარიაციის საშუალებას იძლევიან...

ქართული საშუალო საუკუნეების არქიტექტურა რომანულ სტილს ეკუთვნის. დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების არქიტექტურაც იმავე სტილისაა. ქართული ტაძრებისა და ციხე-კოშკების სურათების ჩვენება და ამ გარემოში შესრულებული ქართული ცეკვა-თამაში და მუსიკა-სიმღერა, საქართველოს და ქართულ არსს უშუალოდ დაუახლოებდა დასავლეთელ დამსწრეს და შეუქმნიდა მას საშუალებას განეცადა, თუ რას წარმოადგენს ქართველობა თვისი შინაყოფით და შეემცნო, შეეგნო ქართული სულიერი კულტურის კუთვნილება და ნათესაობა დასავლეთთან.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე მხედრულმა ცეკვამ. დიდებულად დაამწვინებდა ამ ცეკვას მხედრული სიმღერები! რა დიდებული და ძლიერი შთაბეჭდილების სურათი იქნებოდა ქართული ციხე-კოშკებით და ტაძრებით შემკულ მთებს შორის მდებარე ხეობებიდან მოჰფენოდა დარბაზს შორეული სიმღერა ქართველთა ლაშქრობისა, რომლის თანდათან მოახლოებით სიმღერის ტონიც იმატებდა და ლაშქართა სცენაზე გამოჩენით მომღერალთა ხმები მთელ დარბაზს აავსებდა და დაიპყრობდა. მე ასე წარმომიდგა მხედრული ცეკვა. ამ „დამატებით“ განვიცადე ის. — დაამთავრა ჩემმა მეგობარმა.

ქართული ხალხური ცეკვების ვრცელი მიმოხილვა გაკეთებული იქნება ქართველოლოგიის კრებულის მომავალ ნომერში. ქართველ მკითხველს ახალს მე ვერაფერს ვეტყვი. აქ ვაგიმეორებ მხოლოდ ერთი ქართველი მსახიობის აზრს: მეტად შორეულ წარსულშია ჩაკარგული ფესვები ქართული ცეკვებისა. ეს ხელოვნება უფრო ძველია, ვიდრე რომელიმე სხვა დარ-

გი შემოქმედებისა. ქართველ ხალხს არა მარტო ლიტერატურაში, არა მარტო ხუროთმოძღვრებაში, არამედ ცეკვაშიც გამოუხატავს თავისი ყველა გრძობა: პატრიოტიზმიც და ჰუმანიზმიც, სიყვარულიც და სიძულვილიც, სიმამაცეც და გულისხმიერებაც, მოძმისათვის თავდადებაც და სამშობლოსათვის თავის განწირვაც, ყველაფერი, რაც კი შეიძლება შეგხვდეთ ადამიანის ცხოვრებაში, რაც შეადგენდა ჩვენი წინაპრების ისტორიას და რაც ჩვენი მათი შვილების ისტორიაც არის.

ყველა ეს გრძობები და თვისებები ქართველი ერისა გამოხატეს ასე ბრწყინვალედ პარიზში ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის მოცეკვავეებმა და უჩვენეს უცხოელთ მაღალი ხარისხი და ღირებულება ძველი ქართული კულტურისა.

იმ ხნის განმავლობაში, სანამ საქართველოს სული თეატრ ალამბრაში ტრიალებდა, პარიზის ქართველობა იქ იყო და ეს გასაგებიც არის. ყოველ ჩვენთაგანს სურდა ჩამოსული ახალგაზრდების საშუალებით შეხებოდა ჩვენ შორეულ სამშობლოს.

მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ აქ დაბადებულნი და აღზრდილნი ჩვენი ახალგაზრდები, რომელთა შორის ბევრმა ქართულიც არ იცის, ისე მძაფრად გრძობდენ და განიცდიდენ თეატრში წარმოდგენილ ცოცხალ საქართველოს, რომ გეგონებოდა — ჰიპნოზის ძალით ყოფილიყვნენ შეპყრობილნი; გარს ეხვეოდენ მოცეკვავეებს და არ შორდებოდენ მათ...

**ნინო სალია**

## ევროპიელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი

ა. წ. 23-27 აპრილს შესდგა ბრუსელში ევროპიელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი, რომელსაც დაესწრენ დელეგატები ევროპის სხვა და სხვა უნივერსიტეტებიდან და სტუმრები.



Notre éminent collaborateur le Prof. M. Mouskhély réélu récemment Secrétaire Général de l'Association des Universitaires d'Europe.

კონგრესი შესდგა ბრუსელის მსოფლიო გამოფენის C.E.C.A. -ს პავილიონში. დღის წესრიგში იყო: საერთო ბაზარი, საერთო დაწესებულებანი.

მოხსენებები ეხებოდა უმთავრესად ევროპის ეკონომიურ მთლიანობის იური-  
დიულ ბუნებას, მის საერთო ასპექტებს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს.

როგორც ბ. ქ. № 21-22-ში იყო ნათქვამი, ევროპის პროფესორთა ასოცი-  
აცია დაარსდა 1955 წ. ქ. ტრიესტში ორი ქართველი მეცნიერის აქტიური მო-  
ნაწილეობით, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ბრუსელის კონგრესის მო-  
სამზადებლად. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივენი იყვნენ წარმო-  
დგენილნი ბრუსელის კონგრესის პრეზიდიუმში.

ასოციაციის გენერალურ მდივნად არჩეულ იქმნა ერთხმად ისევ მ. მუსხე-  
ლიშვილი, ხოლო პროფესორთა საბჭოს წევრად ალ. ნიკურაძე.

დამსწრე

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა უ შ ი ა

„უკანასკნელი წელნი ქართული მონარქიისა“, 1658-1832.

დავით მარშალ ლანგი. — 1957 წ. გვ. 16-338, 4 სურათით და ქართით.  
New York, Columbia University Press; Oxford University Press.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ინგლისურად მეტყველ მსოფლი-  
ოს შეეძინა მრავალი საუკეთესო შრომა საქართველოს ისტორიის დარგისა.  
— შრომები ახალგაზრდა ისტორიკოსის დ-რ დავით მარშალ ლანგისა. ისარ-  
გებლა რა აქამდე უცნობი წყაროებით, დ-რ ლანგმა, რომელმაც კარგად იცის  
ქართული და რუსული, შესძლო მიეცა მკითხველისათვის სრულიად ახალი  
ასპექტები ამიერ კავკასიის სამეფოთა ისტორიის რთული და ხშირად ცუდად  
გაგებული ნაკვეთებისა. (იხ. Revue de Karthvélogie, janvier 1957, p. 63)  
წიგნი „უკანასკნელი წელნი ქართული მონარქიისა“ არის უეჭველად პირ-  
ველი დაწვრილებითი შესწავლა საქართველოს (ქართლის) სამეფოსი, 1658  
წლითგან თითქმის შუამდე მეცხრამეტე საუკუნისა, — იმ საუკუნის, როდ-  
ესაც ძველმა სახელმწიფოებმა დაჰკარგეს მათი დამოუკიდებლობა. ავტორი  
იძლევა მოკლე ისტორიულ ფონდს საქართველოს სხვა და სხვა სამეფოთა და  
პროვინციათა და აღწერს მმართველობას მუხრანელ „მეფის მოადგილეთა“  
(ბაგრატიონთა დინასტიის ახალი შტოსა) 1658-1723 წლამდე. შემდეგ თა-  
ვებში აღწერილია სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურუ-  
ლი მდგომარეობა ამ ხანისა.

დ-რ. ლანგი შემოხაზავს „სტრატეგიულ“ მდგომარეობას საქართველოსა, —  
ქრისტიანული ქვეყნისა, რომელიც სრულიად გარშემორტყმულია მუსულმან-  
ური ქვეყნებით: ოსმალეთით, სპარსეთით და მთიელთა ნახევრად დამოუკიდ-  
ებელი ტომებით ჩრდილოეთისა. ავტორი ცხად-ჰყოფს, რომ პირობები რომე-  
ლიც შექმნა ორი დიდი იმპერიის, ოსმალეთის და სპარსეთის, მეტოქეობამ და  
ამავე დროს მუდმივმა ზრდამ იმპერიალური რუსეთის უპირატესობისა და ინ-  
ტერესებისა სამხრეთისაკენ ექსპანსიით, სხვა არჩევანს არ უტოვებდა პატარა  
საქართველოს სამეფოებს თუ არ ძებნას შველისა ძლიერი ქრისტიანული მე-  
ზობლისაგან. — რასაკვირველია ბუნებრივი იყო, როგორც ავტორი ხშირად

აღნიშნავს, რომ ამ პროცესში „არა-შორსმჭვრეტელობა“ სხვა და სხვა ქართულ მეტოქეთა თავდებოდა მათი დამდაბლებით და ხშირად დამარცხებით. ანდაზა: «Gouverner, c'est prévoir.» ადვილად შეიძლება შეეფეროს შესანიშნავი მმართველის შეერთებულ სამეფოთა, ქართლისა და კახეთისა, მეფე ერეკლე მეორის (1762-1798) პოლიტიკას. რომ მისი რჩევა ყველა ქართულ სახელმწიფოთა მჭიდრო კავშირისა მიეღოთ ამიერ კავკასიის სხვა მმართველთ (განსაკუთრებით სოლომონ პირველს და მეორეს იმერეთისა, ორთავე ნათესავთ ირაკლისა), ისტორია ამ უბედურ ქვეყანათა შეიძლება სხვა მიმართულებისა ყოფილიყო. ამიტომ სრულიად აუცილებელი და ბუნებრივი გახდა, რომ ირაკლი მეორის. მთელი ამიერკავკასიის ამ უძლიერესი და უშორსმჭვრეტელესი მმართველის გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებელი სამეფო საქართველოსი აღარ არსებობდა.

დ-რ ლანგის უკანასკნელი შრომა „უკანასკნელი წელნი ქართული მონარქიისა“ არის დიდად მნიშვნელოვანი და მიუდგომელი გამოკვლევა საქართველოს ტრაგედიათა გასაგებად. ის არის საუკეთესო განგრძობა ინგლისური საისტორიო მწერლობის ძეგლის, — ვ. ე. დ. ალენის „ქართველი ერის ისტორიისა“ (1932).

ა. ტარსაიძე

### კ. ჩხენკელის დიდი შრომა.

წლეულს (1958) გამოვიდა ბ. კ. ჩხენკელის დიდი შრომა:  
«Einführung in die Georgische Sprache»

გამოცემული ციურისში „ამირანის“ გამომცემლობის მიერ.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: 1) ნაწილი თეორიული (64+628 გვ.) და 2) ნაწილი პრაქტიკული (10+614 გვ.).

პირველ ნაწილში მოცემულია მოკლე აღწერა საქართველოს ქვეყნისა და მოკლე ისტორია მისი, და ამასთანავე განხილულია სხვა და სხვა ცნობილი თეორიები ქართული ენის ნათესაობისა სხვა ენებთან, მისი ადგილი ქვეყნის უამრავ ენათა და ენათა ჯგუფთა შორის.

შემდეგ 48 ლექციაში ვრცლად და ყოველი წვრილმანის განხილვით მოცემულია მორფოლოგია ქართულისა: სახელი და მისი წარმოება და ბრუნვა, ნაცვალ-სახელები და მათი ბრუნვა, ზმნები და მისი კატეგორიები, ფორმები მოქმედებითისა, ვნებითისა და საშუალოსი და მათი უღვლილება, ნაწილაკები, და სხვა, მრავალი განმარტებით, მათი ხმარება საუბარში ისეთი მაგალითებით, რომ მკითხველი მორფოლოგიასთან ერთად ახალი ქართულის სინტაქსაც სწავლობს, და ავტორს სპეციალური ტომის დაწერა ქართული სინტაქსისათვისა აღარ დასჭირვებია.

მეორე ნაწილში ავტორი აგრეთვე 48 ლექციას ანდომებს ვარჯიშობას იმის შესასწავლად, რაც მან პირველ ნაწილში თეორიულად განიხილა. და აქ მრავალ ვარჯიშობას ემატება დიდი ქრესტომათია (გვ. 317-614). - ტექსტები ქართველ საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებთაგან, რომლებსაც წინ უძღვის მკირე ლექსიკონი და რომლებიც ნათარგმნია გერმანულად.

აქამდე ფრანგულ ენაზედ არსებობდა ორი წიგნი უცხოელთათვის ქართულის შესასწავლად: Marr et Brière, «La Langue Géorgienne»

Hans Vogt, « Esquisse d'une Grammaire du Géorgien moderne »,

— პირველი უფრო ძველი ქართულისა და მეორე უფრო ახალი ქართულის შესასწავლად. ბ. კ. ჩხენკელის შრომა მესამე საუკეთესო საშუალებაა გერმანელთა და გერმანული ენის მკოდნეთათვისაც, რომ ქართული ენა საფუძვლიანად შეისწავლონ, ვისაც იგი ეინტერესება, და ამიტომ ყველა დაინტერესებულს ვურჩევთ ამ წიგნითაც ისწავლონ არა ადვილად შესასწაველი ქართული ენა.

### მ. წერეთელი.

**რედაქციამ მიიღო:** „ქართული ეროვნული ძიებები და რუსული ბოლშევიზმი“ — შრომა დავით ვაჩნაძისა. მიუნხენი, 1957 წ.

„ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთ მეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება“ — ვიქტორ ნოზაძისა, გამოცემული სანტიაგო დე ჩილეში ა. მერაბაშვილის მიერ.

Камо грядеши, Уратадзе? რევაზ გაბაშვილისა (რუსულად)  
პარიზი, 1957 წ.

## ქ რ ი ს დ ი დ ე ბ ა

ალ. მანველიშვილმა გამოსცა ხელოვნების, მეცნიერების და პოლიტიკის ორგანო „ქრის დიდება“, № 5, 80 გვ., რომელიც უმთავრესად მიძღვნილია ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი.

მეტად საყურადღებოა ჟურნალის ბიბლიოგრაფიული ნაწილი.

## კ რ ე ბ უ ლ ი

ექ. გივი კობახიძემ გამოსცა ქ. ნიუ-იორკში ქართული ლიტერატურის, ისტორიის და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო — **ქრებული** — № 1, 224. გვ.. ჟურნალი კარგად არის გამოცემული და შეიცავს ბევრ საინტერესო მასალას.

## რედაქციისაბან

„ქართველოლოგიის მიმოხილვის“ მორიგი ნომერი გამოვა სექტემბერში. ნინო სალიას წერილის „ლოცვის“ გაგრძელება დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

## მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირში

მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეთ საფრანგეთში არჩეულ იქმნა ბ. მიხეილ გრიგოლია, მოადგილეთ — ბ. ვახტანგ ციციშვილი, მდივნად — ვ. ლაბაძე.

## მადლოზის გამოცხადება

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა მათ, ვინც ჩვენი მწუხარება გაიზიარა ჩვენი ძვირფასი დედის გარდაცვალების გამო.

ანეტა ნიკოლოზის ასული ამირაჯიბი ყიფიანისა.

რ. ყიფიანი და ი. ოთხმეზური ოჯახებით.



BEDI KARTHLISA (LE DESTIN DE LA GEORGIE)

ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა

№ 29

ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი

დავით აღმაშენებლის თანამედროვე უცნობი ისტორიკოსის  
თ ხ ზ უ ლ ე ბ ა .

ტექსტი აღდგენილი მ. წერეთლის მიერ

ანა დედოფლისეულ (ა) და მარიამ დედოფლისეულ (მ)  
„ქ. ც.“-ის კელთ-ნაწერთა მიხედვით (ა) გამოცემა ს. ყაუხ-  
ჩიშვილისა, თბილისი 1942, გვ. 200-235; მ გამოცემა ე.  
თაყაიშვილისა, თბილისი 1906, გვ. 281-335).

შეად. „ქართლის ცხოვრება“, კრიტიკული გამოცემა  
ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი 1955, ტომი I, გვ. 318-363 (ყ).

## წინა-სიტყვა.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ დატულია „ქართლის ცხოვრების“ სხვა და სხვა ვარიანტებში. მეცნიერთაგან გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ კელთ-ნაწერთა ამ ვარიანტების მიხედვით არის დაბეჭდილი.

ხოლო მე მაინტერესებდა აღდგენა ტექსტისა, რომელიც დაუახლოვდებოდა ორიგინალს, შეთხზულს დავით მეფის უცნობი ისტორიკოსის მიერ. ანუ პროფ. კ. კეკელიძის აზრით არსენ საღირისძის მიერ. არა-მქონეს შემდეგ დამატებათა, შევსებათა და შეკაზმვათა.

კელთ-ნაწერი, რომელიც უნდა შეიცავდეს დავითის ისტორიკოსის დაახლოებით ნამდვილ ტექსტს, არის ჩვენი აზრით მარიამ დედოფლის ვარიანტი (მ), გადაწერილი მეჩვიდმეტე საუკუნეში, და არა ანა დედოფლის ვარიანტი (ა), გადაწერილი მეხუთმეტე საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი პირველზედ ორი საუკუნით უფრო ძველია, ტექსტს პირველისა უფრო ეტყობა უძველეს კელთ-ნაწერთაგან გარდმოცემულობა ვიდრე ტექსტს უკანასკნელისა. ამაში დარწმუნდება ყოველი მკვლევარი, რომელიც ამ ორი ვარიანტის ტექსტებს შეადარებს. ამიტომ ჩვენი ტექსტი აღდგენილია „ქ. ც.-ის“ მარიამ დედოფლის ვარიანტის გადამწერლისაგან დამახინჯებული ტექსტისა. „ქ. ც“-ის ანა დედოფლის ვარიანტით ვსარგებლობდით მარიამ დედოფლის ვარიანტთან შესამოწმებლად, რათა ზოგიერთი სიტყვა ან ადგილი, უკეთ შენახული ანა დედოფლის ვარიანტში, ტექსტის აღსადგენად გამოგვეყენებია. — ამავე მიზნით ვსარგებლობდით ს. ყაუხჩიშვილის ახალი კრიტიკული გამოცემით „ქართლის ცხოვრებისა“ (ყ), რომელიც აღდგენილია მის მიერ „ქ. ც“-ის ყველა ვარიანტთა და გამოცემათა მიხედვით, — ბროსესი (ბ) და სხვათა.

ჩვენი ტექსტის ბევრი ადგილი განსხვავდება ყ-ს ტექსტის შესატყვის ადგილთაგან. ეს იმიტომ რომ ჩვენი მიზანი მხოლოდ მარიამ დედოფლის ვარიანტის ტექსტის აღდგენა იყო. მაშინ როდესაც უფრო დიდი და ფართო მიზანი ყ-სა იყო „ქ. ც“-ის ტექსტის დადგენა მის ყველა ვარიანტთა მიხედვით.

ამიტომ კრიტიკული აპარატი ჩვენი ტექსტისათვის დიდად უფრო მცირეა ვიდრე დიდი აპარატი ყ-ს ტექსტისათვის. და კიდევ რომ განგვეზრახა ქ-ს მსგავსი კრიტიკული აპარატი, ჩვენთვის, ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში, ამ განზრახვის აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა.

დავითის ისტორიკოსის თხზულების დაფასებას, — დაფასებას მის მიერ აღწერისა გენოსი მეფის დიდი პიროვნებისა და დიდ საქმეთა, — ჩვენ აქ არ შევუდგებით. იგი უკვე ქმნილ არს, — განსაკუთრებით და საუკეთესოდ ჩვენი დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მიერ, — და ცნობილია.

ზოგიერთი სიტყვა ტექსტისა ახალი მართლ-წერით დავწერეთ. რათა

ტექსტის გაგება გაგვეადვილებინა ძველ-ქართულ ტექსტთა კითხვას არა-ჩვეული მკითხველისათვის.

თვით ძველი ქართულის გაგება რომ გაგვეადვილებინა მკითხველისათვის, შეუძლებელი იყო, ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა. შევნიშნავეთ მხოლოდ ერთს მის ყურად-საღებად: „და“ ძველ ქართულში ყოველთვის არ ნიშნავენ კავშირს „და“-ს, არამედ ზმნის-ზედასაც: „მაშინ“ ფრ. alors, გერმ. da, რომლითაც იწყება დამოუკიდებელი წინადადება დამოკიდებულის შემდეგ. ტექსტის კითხვის დროს ამას თვით მიხვდება მკითხველი, თუ თხრობას ჩაუკვირდება.

**მ. წერეთელი.**

**მიუნხენი, 1958**

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ. ალ. მანველიშვილს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ ტექსტის გამოცემას.

**რედაქცია**

## ცხორება მეფეთ მეფისა (დავითისი)

(1089 - 1125)

...ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შაჰ, მოადგა სამშვილდესა და წარილო, და ივანე, ძე ლიპარიტისი. ტყვე-ყო, და მოაოკრა სომხითი, და წარვიდა. მასვე<sup>1</sup> წელსა<sup>2</sup> მოვიდა სარანგი ძალითა სულტნისათა, ჩამოდგა სამშვილდის ბარსა.<sup>3</sup> მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი და შეიბნეს ფარცხისს. სძლიეს სპათა გიორგისათა<sup>4</sup> და აოტნეს სპარსნი,<sup>5</sup> რამეთუ<sup>6</sup> დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის.<sup>7</sup>

წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს და მივიდა ბანას. მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი და კარი. დიდად იამხანაგეს<sup>8</sup> და განისვენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა, და<sup>9</sup> განიყარნეს.<sup>9</sup> ხოლო მეფემან დაუტევნა კარსა აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა.

ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქვეყანანი მათნი. ციხენი და ქალაქნი. რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და<sup>10</sup> წარვიდეს.<sup>10</sup> რომელნიცა აღიხვნეს თურქთა და დაემკვიდრნეს მას შინა.

ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩვენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათი ჩვენ-ზედა. რამეთუ იწყეს მიერიოგან რბევად და მოოკრებად და წვად, და სრვად და ტყვევად ქრისტიანეთა. რამეთუ მათ ჟამთა გიორგი მეფესა ყველს გარე-დგომასა დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი. რომელთა თავადი იყო აჰმად ამირა, [კაცი] ძლიერი და მაგრად მოისარი,<sup>11</sup> რომელსა მას ოდენ ჟამსა აღელო კარი. მოვიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვი. ხოლო საჭურჭლენი დიდნი, და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი ოქროსა და ვეცხლისანი გარატეულნი,<sup>12</sup> სასმურნი და სამწდენი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აღიხვნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად.

მათ უკვე ლაშქართა, ესე-ვითართა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა-დაემთხვივნეს ამირანი დიდნი, იასი ვინმე და ბუჟლოშ,<sup>13</sup> და მათთანა სიმრავლე ურიცხვი თურქთა, საბერძენთს მიმავალნი, რომელთა. იხილეს რა ესე-ოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა, რომელი აქვნდა, და ცნეს მეოტება გიორგისი და ესმაცა მათგან, ვითარმედ: „რად წარხვალთ საბერძენთს?“

1. ა ხოლო მასვე. 2. 1073. 3. ა სამშვილდეს. 4. ა; მ-. 5. ა; მ-. 6. ა; მ და 7. მ-. 8. ა გაიხარეს. 9. ა; მ-. 10. 1074 11 ა; მ-. 12. ა და სხვ. ბაგრატიულნი; მ “გარატეულნი“ სწორია: ნაწარმოებია ბერძნულითგან: keration (=4 გრანის სიმძიმე). აქეთგან არის სიტყვა „კარატი“. გარატეული — კარატიანი, კარატის მქონე. 13. ა; მ ბუჟლოშ; ზ ბუჟლოზ.

აპა ქვეყანა საქართუელო, უკაცური და საესე ესე-ვითარითა სიმდიდრითა და<sup>1</sup> მათ მყის მოიქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს<sup>2</sup> პირსა ყოვლისა ქვეყანისასა ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობასა<sup>3</sup> ასისფორი, კლარჯეთი ზღვის პირამდე, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა, ტყვე იქმნა ამათ ქვეყანათა მკვიდრი ყოველი. მასვე ერთსა<sup>4</sup> დღესა დაწვეს ქუთათისი, არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა. მოჰამეს ქვეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადამე ვინ დარჩომილ იყვნეს ტყეთა, კლდეთა, ქვაბთა და კვრელთა ქვეყანისათა. და ესე იყო პირველი დიდი თურქობა (ქორონიკონი იყო ტ.<sup>5</sup>). ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადა-ლა ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და სიმშლითა ეგრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესე-ვითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა. რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდინ და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა. მოოკრდა ქვეყანა და ტყედ<sup>6</sup> გარდაიქცა. ნაცვლად კაცთა მკეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა<sup>7</sup> და შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა სმენილთა<sup>8</sup> გარდასრულთა<sup>9</sup> ოკრებათა. <sup>10</sup> რამეთუ<sup>11</sup> წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადვილად არა-წმიდებისა მათისა, და მღვდელნი რომელნიმე თვით შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხვერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი აღრივნეს<sup>12</sup> თვისნი მეუფისათა თანა, და რომელნიმე მწარესა ტყვეობასა მიცემულ იქმნეს. მოხუცებულნი არა შეწყნარებულ იქმნეს, ხოლო ქალ-წულნი გინებულ ჭაბუკნი დაკვეთებულ, ხოლო<sup>13</sup> ჩვილნი<sup>13</sup> მიმოტაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწვა შენებული ყოველი! მდინარენი სისხლთანნი. ნაცვლად წყლისა ნაკადულთა. მრწყველნი ქუეყანისანი! და რათა [არა<sup>14</sup> განეავგრძო<sup>14</sup> სიტყვა], თვით მათ იერემიასათა ვიტყოდე, რამეთუ მან ოდენ<sup>15</sup> კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: „ძენი სიონისანი, პატიოსანნი და ბორიტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყვეობისათა მოგზაურობენ, ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა ყოფისათვის მათ ზედა მედღესასწაულეთასა; და კელნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თვისსა ჰყოფენ თვით თვისთა მათ საყვარელთა.“<sup>16</sup> და ესენი ესრეთ, და ფრიალდა უძვირეს!

ამათ რა საქმეთა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი და რამეთუ არა სადადთ იყო ღონე კსნისა და შეწევნისა, არცა რა დამკუნელი ამათ ძვირთა, რომელთა მოეცვა პირი ყოვლისა ქვეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემეცირებულ იყო და რომელნი ქვეყანანი ამათ ჰქონდეს აღმოსავლეთს ზღვასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა, ყო განზრახვა დიდებულთა თვისთა თანა, და დაამ-

1. ა ხოლო. 2. ა მოგზივნეს. 3. ა ივანობისასა. 4. მ—. 5. ა სამასი: 780+300=1080. 6. ა; მ ტყუედ. 7. ა; მ ქართლისათა. 8. მ+და. 9. მ გარდამოსრულთა. 10. ა ოკრებათასა. 11. ა; მ ხოლო. 12. ა არინეს; მ აღირინეს. 13. ა—. 14. ა, მ და სხვ. —. 15. ა ოდესმე. 16. გოდებანი 1.



ტიციეს წარსლვა მალალსა სულტანსა მალიქ-შაჰს წინაშე. და ესრეთ დადგა  
 თავი თვისი და სისხლნი ქრისტიანეთა კსნისათვის, და მინდობითა ღმრთისათა  
 და წარძღვანებითა ძელისა ცხორებისათა წარვიდა ასპანს. ნახა სულტანი და  
 შეწყყნარებულ იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყვარელი. და რამეთუ იყო<sup>1</sup>  
 კაცი იგი<sup>1</sup> ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ  
 ეგრეთვე სახისა სიტკბოებითა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთა,<sup>2</sup>  
 რომლისგან მრავალ არიან სხვანიცა ურიცხვნი საცნაურებანი: მართლ-შა-  
 ჯულეზანი, მოწყალეზანი ქრისტიანეთა [და] სიყვარულნი, და რათა არა  
 განეგარძო სიტყვა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოველით კერძო აქვნდა,  
 ამისთვისცა ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა  
 სასოებისა, და სამეფო მისი თავისუფალ ყო ზედა-მარბიელთაგან. და მოსცა  
 კახეთიცა და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აღი-  
 ლებდეს ყამთა მრავალთა. და ესრეთ [განდიდებითა და]<sup>3</sup> დიდებითა<sup>3</sup> ღმრთი-  
 სათა<sup>4</sup> გამოგზავნა სამეფოდ თვისად და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა  
 წარვლონ გზა მშვიდობითა და რათა აართვან<sup>5</sup> [აღსართანს] კახეთი. და ყამთა  
 სთელისასა მოვიდეს კახეთს და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. ვიდრე ჰბრძო-  
 დეს-და, მოვიდა თოვლი. ხოლო მეფესა გიორგის მოეცენა ნადირობა აჯა-  
 მეთისა. არღარას ზრუნვიდა სხვასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კა-  
 ხეთისა. არამედ ლაშქართა თურქთა, რომელნი ჰყვეს, მისცა ნიჰად სუჯეთი  
 და ყოველი ქვეყანა იორის პირისა, კუხეთი, რომელი მოოკრდა მუნ<sup>6</sup> დღეინ-  
 დელად დღედმდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხა-  
 ზეთად.

მთ ყამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქ-შაჰს წინაშე. დაუტე-  
 ვა ქრისტიანობა და შეეძინა სრკინოზთა სჯულსა და ამით ღონითა აღილო  
 სულტნისაგან კახეთი.

ამათ ესე-ვითართა ყამთა არავე დამშვიდნა ქვეყანა, არცა-ღა იქმნა ლხი-  
 ნება კაცთა უკეთურებისათვის მკვიდრთა მისთას: რამეთუ ყოველმან ჰასაკმან  
 და ყოველმან პატვიმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზა-  
 თაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა. და ბუნებით მოწყალე და  
 სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხნეს, ვიდრემდე თვისით მოიკადეს განჩი-  
 ნება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათვის ესაიას მიერ<sup>7</sup> მეტყველისა ესრეთ:  
 „ვაა ნათესავსა ცოდვილსა! ერი, რომელი სავეე არს უსჯულოებითა კვალ-  
 ითგან ფერკთათ ვიდრე თვადმდე! არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა ბრძვი-  
 ლი, არცა შესახვეველ“, და შემდგომნი ამისა:<sup>8</sup> „ქუეყანა თქვენნი ოკერ, ქალ-  
 აქნი ცეცხლითა მომწვარ, სოფელთა თქვენთა უცხო თელნი მოსჭამენ, მო-  
 ოკრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთასა!“<sup>9</sup>

ესე ყოველი მოიწია და თვალთა ჩვენთა ვიხილეთ, და ფრიად უფრო-  
 ეს ამათ წარმოთქმულთასა. რამეთუ ვითარმცა ვინ მისცა<sup>10</sup> თხრობასა<sup>10</sup>  
 ყოველი,<sup>10</sup> რომელი იქმნა დღეთა ჩვენთა!<sup>10</sup>

ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩვენ ზედა,  
 რამეთუ არა შევიანნეთ, არცა გულის-კმა ვყავით, არცა ჯეროვნად

1. ა იყოცა მალიქ-შა. 2. ა მ კაცთასა. 3. ა დიდითა. 4. ა—. 5. ა აართ-  
 უან; მ წართუან. 6. მ-. 7. ა მიმართ. 8. ა, მ და სხვ. ამისთვის. 9. ესაია, 1,4-8.  
 10. ა გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუნთა მოიწია ჭირი.

მოვაქციეთ<sup>1</sup> გზათა მიმართ უფლისა<sup>2</sup> ბრძანებათსა.<sup>2</sup> ამისთვისცა ქვეყნის<sup>3</sup> მომავალთა<sup>3</sup> ბოროტთა ზედა სხვანიცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთივ<sup>4</sup> მოვლინებულნი გვემანი მოიწივნეს ქვეყანასა ჩვენსა ზედა. რათა არა თქვან მცოდველთა, ვითარმედ: „ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩვენთათვის იქმნეს, არცა ღმრთისა მიერ,<sup>5</sup> არამედ შეცავლებითა რათამე ჟამთათა და დამთხვევითა<sup>6</sup> საქმეთათა.“ ამისთვისცა დღესა აღესებასა, თვით მის<sup>7</sup> აღდგომისა<sup>7</sup> მეუფისასა<sup>7</sup>, რომელსა შინა სიხარული და განსვენება საგონებელ<sup>8</sup> იყო, მოხედნა რისხვით უფალმან ქვეყანასა და შეძრა საფუძვლითურთ ესე-ოდენ სასტიკად, ვიდრემდე მთანი მალაღნი და კლდენი<sup>9</sup> მყარნი სახედ მტვერისა დაიგაღნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღვეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქნეს და დაიზველეს<sup>10</sup> და იქმნეს საფლავ მათ შინა მკვიდრთა. — რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და იპყრა ქვეშე კახაბერი, ძე ნიანისი, ცოლითურთ. — და განგრძელდა ესე-ვითარი იგი რყევა<sup>11</sup> ქვეყანისა საშინელი<sup>12</sup> განსრულებადმდე წელიწადისა,<sup>13</sup> რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი.

მაშინ რისხვასა შინა მოიკსენა წყალობა მან, რომელი სწავლის ყოველსა შეიღსა, რომელი უყვარს, — მოაკედინებს და აცხოვნებს, — რომელი მზა არს უფრომს მამისა მოწყალისა წყალობად, რამეთუ, წერილისაებრ: „არა თუმცა უფალმან დამიტევა ჩვენ თესლი, ვითარცა სოდომნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით.“<sup>14</sup> რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხორებისათა<sup>15</sup> მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჰვირობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვითო-სახეთა ჰირთა განგრძობითა<sup>16</sup> ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა, უდიდესმან საქმითა,<sup>17</sup> სახელ-მდგომამან<sup>18</sup> დავით ღმრთისა მამისამან და თვით სამეოცდამეათრვამეტემან შვილმან ამის დავითისამან. დავით.

მას ჟამსა იყო ჰასაკით ივ<sup>19</sup> წლისა, ხოლო<sup>19</sup> ქორონიკონი ტ. <sup>20</sup>

ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თვით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა უჭეშმარიტესი, — თქვიან, თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას. და რამეთუ კელი მისი წმიდა შეეწია და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი, წყალობა და ჭეშმარიტება შეემოსა, და უაღრეს ყო უფრომს ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა, ვიდრემდე დასდვა ზღვათა ზედა კელი მისი და მდინარესა ზედა მარჯვენე მისი. გარნა შრომითა ფრიადითა და ღვაწლითა ძლიერითა და მრავალთა დღეთა შემდგომადცა იქმნა ესე. ვითარცა წინამდებარემან სიტყვამან ცხად ყოს.

რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოკრებულ იყო ქართლი, და თვინიერ ციხეთა სადამე არა-სადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცა-რა შენებულობა. მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი ქვეყანა მათი ლიპარიტს, და მეფესა დავითს წინაშე იყვის რეცა ერთგულად, ეგრეთ-

1. ა მოვიქციეთ. 2. ა უფლისათა. 3. ა მავალთა. 4. ა ღმრთისა მიერ. 5. ა+მოიწივნეს. 6. მ+აღძრვისა. 7. ა მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა. 8. ა ჯერ. 9. მ+სასტიკნი. 10. ა დაზულეს; მ დაირღუნეს. 11. ა ძრვა. 12. ა —. 13. ა წელიწადმდის. 14. ისაია 1,9. 15. ა—. 16. ა და განგრძობილსა ჰირსა. 17. ა; მ—. 18. მ; ა მოდგამან. 19. ა—; ივ=16. 20. ა სამას და ცხრა; 780 + 309 = 1089.

ვე ნიანია კახაბერის ძეცა. და სხვანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოიკრიბნა<sup>1</sup> სადამე დაშთომილნი. და სოფლებთაცა იწყეს შთამოსლვად და დასხდომად. და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა<sup>2</sup> მცირე ღიხთა და სადგომი სამეფო წაღვლის-თავსა. და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა<sup>3</sup> ანუ ნაჭარმაგევს, რომელი აღსავსე იყო ირემთა და ეშვთა მიერ, არა პირველ შთავიდიან, ვიდრემდე ცხენ-კეთილთა მკედართა მიერ მოინახიან,<sup>4</sup> და მაშინ-ლა<sup>5</sup> შთამოვიდიან<sup>6</sup> ვაკესა.

ამას<sup>7</sup> შინა გარდაკდა წელიწადი ოთხი. მოკვდა სულტანი მალაქ-შაჰ.<sup>8</sup> და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კვალთა სლვა: რამეთუ ზაკვიდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა. დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულებითა. და სიძულილი პატრონთა გვარისაგან მოაქვნდა გონებითა და ვინათგან გულის-კმის ყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არა-კეთილსა. ამას<sup>9</sup> რა<sup>9</sup> ხედვიდა მეფე დავით, ინება გაწურთვა მისი. ამისთვისცა პყრობილ ყო იგი ჟამ<sup>10</sup> რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისსამე. და ესრეთ მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულობისათვის<sup>11</sup> ღმრთისა შუა-შემომღებელი<sup>12</sup> განუტევა იგი. და მითვე დიდებითა აღიდა და არა შეუტეველა, რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭველ.<sup>13</sup> ხოლო იგი ვითარცა ძალლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი იწუნბა საგორელსა მწვირისასა. განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა. იხილა რა მშვიდმან და ღმრთივ განბრძნობილმან მეფემან,<sup>14</sup> რამეთუ<sup>15</sup> კული ძაღლისა არა განემართების,<sup>16</sup> არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო და საბრძნეთს გაგზავნა. მუნ განექუა ცხოვრებასა.

ამას<sup>17</sup> ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქი.<sup>18</sup> შეწვევითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლი. განძლიერდა დავით, და განიმრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა. და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლსა: რამეთუ მოაქამომდე<sup>19</sup> ზამთრისავე თანა<sup>20</sup> მოწვევისა ფალანგებითა მათითა ჩამოდვიან ავჭალას,<sup>21</sup> დიღვამს,<sup>22</sup> და ჩაღმართ მტკვრისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი.

კახეთს მეფობდა კვირიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფე ქმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს, წარულო კვირიკეს ციხე ზედა-ზადენი (იყო ქორონიკონი ტკა).<sup>23</sup> და წარემატებოდა დიდებითა და გამარჯვებულობითა, რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკვდა რატი. ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნამდვილვე ნაშობი იქედ-

1. ა შემოკრიბნან; მ შემოკრიბნა. 2. მ —. 3. მ და სხვ. ჭალაკთა. 4. ა ხოლო ცხენ-კეთილნი ჩამოგზავნიან და გაინახიან. 5. ეგრეთღა. 6. ა; მ მოვიდიან. 7. ა ხოლო ამა ვითარობასა. 8. 1093. 9. ა და მას ესე ვითარებასა. 10. ა; მ ჟამსა. 11. მ ერთობისათვის. 12. ა შუამდგომელად მომცემი. 13. ა+იყო. 14. ა+დავით. 15. ა კულად. 16. ა გაემართების. 17. ა კულად ამას. 18. 1097. 19. ა ვიდრე აქამომდე. 20. აზამთრისა მოწვევისა. 21. მ შავჭალასა. 22. მ+და; ა დიღვამს. 23. 780+321=1107; ა ქორონიკონი იყო სამას ოცდასამი.



ნესი. და ესრეთ დასრულდა სახლი<sup>1</sup> ბაღევიანთა,<sup>1</sup> სახლი განმამწარებელთა;<sup>2</sup> რამეთუ სვა უკანასკნელი თხლე<sup>2</sup> რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქვეყანისათა. და აღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი. რამეთუ აღიკსენა უსჯულ-ლოება მამათა მათთა წინაშე უფლისა. და მამული მათი აღილო მეფემან.

შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცივალა კვირიკე მეფე და დასვეს კახთა მეფედ ძმისწული კვირიკესი აღსართან, არა რათა მქონებელი ნიშთა მეფობისათა.<sup>3</sup> არამედ ცუნდრუკი რამე და<sup>4</sup> ყოვლად წინა-უკმო მამის-ძმისა მისისა.<sup>4</sup>

მას ჟამსა განიცადა მეფემან გონების თვალითა და კეთილად<sup>5</sup> გულის-კმა ყო საქმე, რომლითა მოიმაღლებოდა ღმერთი და სარგებელი დიდი იქმნებოდა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნულ იყვნეს და უღირსებით, მამულობითა უფროდს ვიდრე ღირსებით და-ეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი არა კარით მწყემსებრ, არამედ<sup>6</sup> ერდოთ ავაზაკებრ<sup>7</sup> შესრულთა. და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსონი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა ღმრთისათა პყრობისა უსჯულო-ებასა აწურთიდეს მათ ქვეშეთა, და თვით სახლით<sup>8</sup> უფლისათ<sup>8</sup> და მღვდელ-თაგან გამოვიდოდა უსჯულოება, რომლითა თვალი ღმრთისა, მხედველი ყო-ველთა, ესე-ოდენ აღძრულ იყო რისხვად, ვითარცა ზემორე სიტყვამან გამო-აცხადა. და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღვდელისა და მკედრისა, არცა ერისა და მღვდელთ-მთავრისა. არცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარცა წერ-ილ არს: „მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა განემ-ზადოს<sup>9</sup> ნებისაებრ<sup>10</sup> მისისა,<sup>10</sup> იგვემოს ფრიად.“<sup>11</sup> ამათ უკვე<sup>12</sup> დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრიბა კრება, ერი მრავალი: რამეთუ სამეფო-სა თვისისა კათოლიკოზნი, მღვდელთ-მთავარნი, მეუღაბნოენი, მოძღვარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა ჟამსა და ადვილსა ჯეროვანსა. და მრავალ დღე გამოწულიღვითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილი განმართეს და კეთილ-წესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს. უღ-ირსად გამოჩინებულნი<sup>13</sup> გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ არა ად-ვილ იყო ესე ნათესავთა<sup>14</sup> მათთა ძლიერებითა<sup>14</sup> და მათ წილ ჭეშმარიტ-ნი<sup>15</sup> მწყემსნი დაადგინნეს, და ძეგლი შვენიერი<sup>16</sup> აღწერეს, მიმდგომი და მო-წაშე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჭითა სამეფოთა წარგზავნეს თვითთოეული სახიდ თვისად<sup>17</sup>. და ესეცა მიმსგავსებულად დი-დისა კონსტანტინესსა აღასრულა მეფემან დავით, რომლისა სანაცვლოდ იხილეთ თუ რა განავო უძილომან<sup>18</sup> მცველმან ისრაელისამან.

რამეთუ ესე აღსართან კახთა მეფედ კსენებული შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა: არიშიანმან და ბარამ და დედის ძმამან მისმან<sup>19</sup> ქავთარ ბარამის-ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხვნა მეფემან ჰერთი და კახეთი. — და

1. მ.— 2. მ.— 3. ა რომელსა არა რა ქონდეს ნიშანნი მეფობისანი. 4. ა უსჯულო და ყოვლად უმეცრად უსამართლო. 5. მ კუალად. 6. მ.— 7. მ.— 8. ა სახელითა უფლისათა. 9. მ განეკრძალოს. 10. მ.— 11. მ დიდად; ლუკა, 12,47. 12. ა+ესევეითართა და. 13. ა+განკუეთნეს და შეაჩუენნეს. 14. ა რამეთუ იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწყს-ოდ დაეპყრა საყდრები. 15. ა+სათონი ღმრთისანი. 16. ა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა. 17. 1103. 18. ა ღმერთმან გულ-მეცნიერმან. 19. მ მათმან.

ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და კმა-გასმენილი იგი<sup>1</sup> დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერთთა დაკოცნა სულტნისა იგი სპანი ურიცხვნი. ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და [მის] ქვეყნისა ერთი მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩვენდა<sup>2</sup> ესეოდენ ადვილად და მოსწრაფედ კელთ უსხნა ღმერთმან საკვირველებათამან.<sup>3</sup> რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ<sup>4</sup> იპყრობდა, და ორთა არა თუ წარეკცივნეს ბევრნი, არამედ სანგრითა<sup>5</sup> თვით მათითავე<sup>6</sup> ტყეთათ<sup>7</sup> და მთხრებლთათ ტყვედ მოჰყვანდეს<sup>8</sup> იგინი.<sup>8</sup> ხოლო თვით მეფე არა თუ<sup>9</sup> ვითარცა სხვა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზრახებდა ვითარცა ერთი მრავალთაგანი,<sup>10</sup> არამედ უპირატეს ყოველთა თვით წინა-უვიდოდა<sup>11</sup>, თვით გოლიათებრ მიმართებდა, თვით მკლავითა მტეციკითა<sup>12</sup> დაამკობდა ახოვანთა. სრვიდა და დასცემდა წინა-დამთხვეულთა<sup>13</sup>, ვიდრემდე ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძველისა დავითისა ელიაზარს<sup>14</sup> კელი<sup>14</sup> კრმლისა ვადასა ოდენ დაეწება.<sup>14</sup> არამედ კრმლითა უკ-მომდინარითა სისხლითა წიაღნი<sup>15</sup> აღსავსედ ეტვირთნეს,<sup>15</sup> რომელი<sup>16</sup> შემდგომად სამუცლისა<sup>16</sup> და სარტყლისა განქსნისა საცნაურ იქმნა, ქვეყანად რა დაითხია<sup>17</sup> ესეოდენი [სიმრავლე] მტკნარისა<sup>17</sup> სისხლისა შეყენებულისა, რომელსა პირველ განხილვასა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად.<sup>17</sup> და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხეს-ლა ზედა მჯდომმან<sup>18</sup> სრულ ყო მის დღისა ომი.<sup>19</sup> — და ესე მრავლისაგან ყოვლად<sup>20</sup> მცირედი და კინი<sup>21</sup> წარმოვთქვით.

ესრეთ რა მპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხვნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰვინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა. და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისათა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა და მოსცემდა ჟამითი-ჟამად ძლევათა საკვირველთა და უძლოდა ძალითი-ძალად, არცა იგი უდებობდა განმრავლებად ტალანტთა.<sup>22</sup> არამედ სრულითა გულითა ჰმსახურებდა და მათ იქმოდა, რომელნი<sup>23</sup> ნებისა ღმრთისად დაამტეიციენს და სათნო-ყოფილად მისდა აღუჩნდის,<sup>23</sup> ვითარცა აწ ითქვას.<sup>24</sup>

რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა, და დაამტეიციე რომელიცა გამოარჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა,<sup>25</sup> რომელსა შინა მეორე ცად გარდაართხა<sup>26</sup> ტაძარი ყოვლად წმიდისა<sup>27</sup> ღმრთის-მშობელისა,<sup>27</sup> რაბამ რამე აღმატებული ყოველთა<sup>28</sup> წინანდელთა ქმნულობათა,<sup>29</sup> რომელი ზესთა ჰმატს შვენიერებასა<sup>30</sup>

1. ა—. 2. ა; მ ჩუენთანა. 3. ა საკვირველმან. 4. ა+კელითა 5. ა, მ და სხვ.სანთლითა. 6. ა მათვე. 7. ა ტყუეთა. 8. ა მოიყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი.9. მ—. 10. ა მთავართაგანი ვინმე. 11. ა+ და ვითა ლომი შეუზახებდა კმითა მადლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა. 12. ა ძლიერთა. 13. ა + ყოველთა. 14. ა ელიაზარის კმლისა; მეფეთა,2, 23, 10. 15. ა წელნი აღსავსე ესხნეს. 16. ა რაჟამს შემდგომად ომისა გარდაჯდისა. 17. ა დამტკნარებული სისხლი და რამეთუ ჩუენთუის მისგან გამოდენასა ვაყენებდით. 18. ა—. 19. 1104-5. 20. ა—. 21. ა—. 22. ა საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა. 23. ა რომელნი მას სათნო ეყოფვოდიან. 24. ა ითქუმის. 25. გელათს. 26. ა გარდააკარვა. 27. ა + და უფროსად კურთხეულისა; ა დე-ღისა ღმრთისა. 28. ა—. 29. ა ქმნულთა. 30. ა შუენიერებია.



ყოველთასა<sup>1</sup> სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმედობისა შეუსწორებლობითა,<sup>2</sup> რომელსა<sup>3</sup> თანა-მოწამედ<sup>4</sup> ჰქონან თვალნი მხედველთანი<sup>4</sup>, და აღავსო სიწმიდეთა მიერ: პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, წმიდათა ხატთა<sup>5</sup> და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოველად დიდებულთა და სხვათა ნივთთა ძვირად<sup>6</sup> საპოვნელთა. ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხვასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლები და საკიდელნი ფერად-ფერადნი, იავარად მოხმულნი თვისნი, და კვალად გვირგვინნი, მანიაკნი და ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხვნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თვით ივინიცა ტყვედ მოიყვანნა, და მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა საკენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა. და მუნვე შემოკრებნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა არა თვისთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნისნი, არამედ ქვეყანისა კიდეთათ,<sup>7</sup> სადათცა<sup>8</sup> ესმის<sup>9</sup> ვიეთმე<sup>10</sup> სიკეთე და სისრულე, სულიერითა და კორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა, კეთილად<sup>11</sup> გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკუიდრნა მას შინა. მამული ღიპარიტეთი, უმკვიდროდ დაშთომილი სრულიად, სხვათა მრავალთა და სამართლიანთა, უსარჩილელ-მიუხვეჭელთა სოფლებთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებელად წინაშე<sup>12</sup> მისსა<sup>13</sup> მდგომთათვის<sup>13</sup> და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა. რომელიცა აწ წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესად [და] კანონად ყოვლისა საეკლესიოსა შევნიერებისად.

და კვალად სხვა მოიგონა საქმე შემსგავსებულად მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა კაცთ-მოყვარეობისა თვისისა: აღაშენა ქსენონნი ადგილსა შემსგავსებულსა და შევნიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითო-სახითა სენითა განცდილნი, და მოუშადა ყოველი საკმარი მათი უნაკლულოდ. და უხვებით განუჩინნა შესავალნი და საღვაწენი მათნი. და ყოველადვე თვით მივიდის, მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითთულსა, აფუფუნებდის,<sup>14</sup> მამებრ სწყალობდის და ჰნატრიდის, განამკვნის<sup>15</sup> მოთმინებისა მიმართ, მონახის თვისითა კელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი. პინაკი და ყოველი საკმარი მათი, მისცის თვითთულსა ოქრო კმა, განკრძალვის ზედა-მდგომელნი მათნი, და განავის ყოველი საქმე მათი დიდად შევნიერად და ღმრთის მსახურებითა.

ამად ჟამადმდე<sup>16</sup> ქალაქი ტვილისი, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს.[ხოლო თრიალეთი და კლდე-ქარნი ჰქონდეს] თევდორეს, ჰყონდიდელისა<sup>17</sup> დის-წულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ მეფე რა გარდავიდის [აფხაზეთად], უმცრორე<sup>18</sup> ეშინოდის<sup>18</sup> თურქთა და მათთა ციხოვანთა, მას ჟამსა მეფე გარდავიდა<sup>19</sup> იმერ-

1. ა ყოველითა. 2. ა და მ შესწორებულობითა. 3. ა + აწ. 4. ა თანა-მოწამობით ხედვენ თვალნი ყოველთანი. 5. ა + მიერ. 6. ა ძნიად. 7. ა; მ კიდეთა. 8. ა სადაცა. 9. ა; მ ესმა. 10. ა ვიეთმე. 11. ა კუალად. 12. მ—. 13. ა მდგომელთა მისათთვის. 14. ა—. 15. ა განამკვნობდის. 16. ა ხოლო ვიდრე ამა ჟამადმდე. 17. გიორგი ჰყონდიდლისა. 18. მ უმცროვანი. 19. მ გარდამოვიდეს.

ეთს.<sup>1</sup> შეკრბეს გიორგის ჭყონდიდეღსა მწიგნობართ-უხუცესსა წინაშე თვე-დორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე.<sup>2</sup> მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევენს და ღამე ივლტოდეს,<sup>3</sup> ხოლო ჩვენთანა მოითვალ-ნეს ივინი.

ხოლო<sup>4</sup> მოაქამომდე სთველთა<sup>5</sup> ჩამოიარიან თურქთა სომხითი ყოვლითა ფალანგებითა მათითა, ჩამოდვიან გაჩიანთა, პირსა მტკერისასა ტვილისით-გან<sup>6</sup> ბარდავადმდე. და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შეენიერთა ადგილ-თა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა და აქეს შეშა და წყალი უხვებით, და მუნ არს სიმრავლე ნა-დირთა თვითო-ფერთა და საშვებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგი-ან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა,<sup>7</sup> ცხვრისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვი. და ჰქონდა<sup>8</sup> ცხორება სანატრელი: ნადირობდიან, განისვენებდიან<sup>9</sup>, და არა იყო ნაკლულევანება მათთანა. თვისთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩვენთა ნაპირთა არბევდიან და ტყვითა და ალაფითა სავსეთა<sup>10</sup> გაზაფხული-სა თანა იწყიან აღმართ სლვად მათთა სომხითისათა და არარატის-ათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შვება და განსვენება თვითთა და ველთა შეენიერთთა, წყაროთა და ადგილთა ყვავილოვანთა. და ესე-ოდენ დიდ იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქვამცა თუ ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყანისა იქი არსო. და არავისაგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი განსხ-მა ანუ ვნება. არცა თუ თვით სულტნისაგან.

ოდეს სამშვილდე<sup>11</sup> აღიღეს, ქრონიკონი<sup>12</sup> იყო ტლ.<sup>12</sup> მას წელსა მოვი-და ძალი სულტნისა, კაცი ვითარ რჩ,<sup>13</sup> უგრძნეულად, სიმარჯვით. ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რა მოსლვა მათი მიმწუხრ თრია-ლეთს, ღამე ყოველ წარვიდა<sup>14</sup> (მალვითა)<sup>14</sup> კაცითა ათას-ხუთასითა, რამეთუ ესე-ოდენნი დახვდეს მას წინაშე. ცისკარსა მოვიდეს თურქნი. იქმნა ბრძო-ლა ძლიერი<sup>15</sup> მას დღესა,<sup>16</sup> და შეწვევითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სივლტოლად ესე ოდენ ზარ-განკდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდე არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად. არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერკთა უფროს<sup>17</sup> მათსა, და ესრეთ განიბნივნეს თვისთა ქვეყანათა. ხოლო ესე-ვითარსა საკვირველსა სივლტოლასა მათსა თვით მეფე და სპანი მისნი ესეოდენ ურწმუნო იქმნეს,<sup>18</sup> ვიდრემდე<sup>19</sup> არავინ სდევნა ყოვლად, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა.

წარიღო გიორგი ჭყონდიდეღმან რუსთავიცა მეფისა მუხრანს ყოფასა. [იყო ქრონიკონი სამას-ოც-და-თხუთმეტი].<sup>20</sup> რომლისათვისცა დიდი წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმ-სტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგულეზოდის,<sup>21</sup> რამეთუ უგრძნეულად

1. ა იმერთ. 2. 1110 3. ა მეოტ იქმნეს. 4. ა რამეთუ ვიდრე. 5. ა სთუელთამდის. 6. ა + ვიდრე. 7. მ—. 8. ა აქუნდა. 9. ა - იხარებდიან. 10. ა—. 11. ა+და ძერნა. 12. მ—; ა სამას-ოც-და-ათი: 780+330—1110. 13. ა ასი-ათასი; მ სჩ=200.000. 14. მ; ა მასლათა. 15. ა ფიცხელი. 16. ა—. 17. ა+საქონლისა. 18. ა იყუნეს. 19. ა ვითარმედ. 20. მ—; 780+335—1115. 21. ა მ ეგებვოდის.



დაესხის და მოსწყვიდნის. და ესე არა ერთ, გინა ორ, ანუ სამ, არამედ მოს-  
ვალ-გზის, ვითარცა აწ<sup>1</sup> ერთი ითქვას.<sup>2</sup>

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან<sup>3</sup> ზამთრი-  
სა სიფიცხესა და მათათა სიმავრესა მიენდვნეს, ხოლო მეფემან მოიკელოვნა  
ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთათისს გარ-  
დავიდა, რომლითა უეჭველ იქმნეს<sup>4</sup> ივინი. და თთვესა ფებერვალსა აცნობა  
ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახვდენ პაემანსა, და თვით შიდი-  
თა<sup>5</sup> სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. შეკრბეს ერთად და უგრძნეუ-  
ლად დაესხნეს მათ ზედა, სასოებით<sup>6</sup> მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარ-  
ნიფორისად. [რამეთუ ქრონიკონი იყო სამას-ოც-და-თექვსმეტი].<sup>7</sup> მოსრეს  
სიმრავლე მათი [ურციცხვი და აღილეს]<sup>8</sup> ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყო-  
ველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კე-  
თილითა.

და მასვე წელსა ასული თვისი კატაჲ გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერ-  
ძენტა მეფისა,<sup>9</sup> რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაეგ-  
ზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი, ერთი აღმო-  
სავლეთს<sup>10</sup> და ერთი<sup>11</sup> დასავლეთს,<sup>12</sup> ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამი-  
საგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი.

და მეორესა წელსა<sup>13</sup> დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა, და აღი-  
ლო ციხე გიში, და გაგზავნა ძე თვისი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა  
ლაშქრობად.<sup>14</sup> ხოლო მან ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა  
მხილველნი და მსმენელნი. გამოილო ციხე ქალაძორი და ძლევა-შემოსილი  
მოვიდა წინაშე მამისა თვისისა სავესე ალაფითა და ტყვეთა ურიცხვითა.

მეორესა წელსა<sup>15</sup> ბზობად წარმოემართა მეფე ლანუკით წარსლვად  
რაკსის პირსა და ზატიკი გარდაიკადა ნაკიდურს. მუნ მოართვეს ამბავი ბეშ-  
ქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა. და ამისთვის უშლიდეს დი-  
დებულნი მას ჟამსა წარსლვად. და ყოვლად არა მოისმინა, არამედ დაესხა  
თურქთა რაკსის პირსა მდგომთა და მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოილო  
ტყვე და ალაფი ურიცხვი.

ამასვე წელსა აღილო სომხითისა<sup>16</sup> ციხე-ქალაქი<sup>16</sup> ლორე, და მაშინვე  
ივლისსა აღიხვნა აგარანი მეორესა დღესა ცისკარსა, რამეთუ პირველცა ესე  
ციხე აღელო ბაგრატს პაპასა მისსა, გარნა სამ თთვე ბრძოლითა.

ამასვე [წელსა]<sup>17</sup> აგვისტოსა<sup>18</sup> მოკვდა სულტანი მალიქი. მალიქ-შაჰის  
ძე, და ალექსი,<sup>19</sup> ბერძენტა მეფე, და ვერა ცნეს ერთმან-ერთისა<sup>20</sup> სიკვდილი  
[ქრონიკონი იყო სამას-ოც-და-თვრამეტი].<sup>21</sup>

ხედვიდა რა მეფე დავით ესე-ოდენთა ზე-გარდამოთა შეწყენათა,<sup>22</sup> ძლე-  
ვათა და გამარჯვებათა თვისთა და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა.  
ქვეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა<sup>23</sup> იყო ესე-ოდენი სიმრავლე

1. ა— 2. ა ითქუმის. 3. ა რამეთუ. 4. ა ყუნა. 5. ზ; ა მ შვიდითა. 6. ა უშ-  
იზად გულ-დებითა. 7. 780+336—1116. 8. ა+დედა-წული. 9. ალექსი კომ-  
ნენისა. 10. ა აღმოსავალს. 11. ა ხოლო მეორე. 12. ა დასავალს. 13. 1117.  
14. მ ლაშქრად; ა ლაშქრითა. 15. 1118. 16. ა— 17. ა. მ— 18. მ აგვის-  
ტოსსა. 19. ზ+კომნინოს. 20. ა ერთმან მეორისა. 21. 780+338—1118.  
22. ა ღმრთისა მიმართ წყალობათა. 23. ა+ვერა.



ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომარეობა<sup>1</sup> და<sup>1</sup> დაშორებულად და კვალად თვით<sup>2</sup> მის<sup>2</sup> თანა-მყოფელად და მოლაშქრედცა კმა იყენეს დაუცხრომელად სამარადისოსა<sup>3</sup> მისსა<sup>3</sup> მიმოსლვისა<sup>4</sup> ზამთარ და ზაფხულ განაღასადმე<sup>5</sup> ლაშქრობასა, ამისთვის შემოკრიბა გონება, აღილო<sup>6</sup> მალლად თავი თვისი,<sup>6</sup> და მიმოავლო თვალი გონებისა<sup>7</sup> და განიცადა<sup>8</sup> სამეფოთა<sup>8</sup> ცნობითა,<sup>8</sup> რომელ არა კმა იყენეს სამეფოსა მისისანი თანა-მიმყოლად კრთომათა<sup>9</sup> და წადიერებათა<sup>9</sup> სულისა თვისისათა.<sup>10</sup> და მსგავსად ალექსანდრესსა<sup>11</sup> ამანცა სულთ-ითქვნა, რამეთუ ითქმის<sup>12</sup> მისთვის<sup>12</sup> ვითარმედ:<sup>13</sup> ფილოსოფოსმან ვინმე ჰქუა მას: „არიანო მრავალნი და ურიცხვნი სოფელნი,<sup>14</sup> რომელთა<sup>14</sup> არცა თუ სახელი გასმიეს<sup>15</sup> შენ.“<sup>15</sup> და მან სულთ-ითქვნა და თქვა: „უეტუთ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი!“ ამისთვისცა ამან მეორე ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხვაებრ არა იყო ღონე: უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმკნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსლვისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა. და ამით თანა უადვილეს იყენეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითაცა. და რამეთუ პირველ<sup>16</sup> მრავალთა წელთასა<sup>17</sup> მიერ მოეყვანა<sup>18</sup> სანატრელი<sup>18</sup> და ყოვლად განთქმული სიკეთითა გვარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა<sup>19</sup> შარალანის<sup>19</sup> ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა, ამისთვისცა წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა. ხოლო მათ სიხარულით მიითვალეს გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთვისცა აიძულა<sup>20</sup> წარსლვად<sup>20</sup> ოვსეთს,<sup>20</sup> და წარიყვანა<sup>21</sup> გიორგი ჭყონდიდელი, მწიგნობართა უხუცესი თვისი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და კორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა. განმზრახნი, სვიანი და ფრთხილი, თანა-აღმზრდელ-აღზრდილი პატრონთა. და თანა-განკათული ყოველთა გზათა და საქმეთა და ღვაწლთა მისთა. შვიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისნი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. აღიხვნა<sup>22</sup> მძევალნი ორგნითვე,<sup>23</sup> ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა<sup>24</sup> ორნივე ნათესავნი, და ყო შორის მათსა მშვიდობა და სიყვარული, ვითარცა ძმათა. აღიხვნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათა<sup>25</sup> და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის<sup>26</sup> და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი,<sup>27</sup> სიმამრი და ცოლის-ძმანი თვისნი. — და არცა ცუდად დაშვრა.<sup>28</sup> არცა

1. **ა** მდგომი. 2. **მ** თვსთა. 3. **ა** —. 4. **ა**+ ლაშქრობასა. 5. **ა** —. 6. **ა** კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა. 7. **ა**+ თვისისა. 8. **ა**+ კეთილად, განიზრახა; **მ** გონებითა. 9. **მ** კრთომითა და წადიერებითა; **ი** იგ. — და. 10. **ა** მისისათა. 11. **ა**+ ქმნა და. 12. **ა** ითქუ-მისცა. 13. **ა** —. 14. **ა** სამეფონი, რომელნი. 15. **ა** ასმიეს შენი. 16. **ა** —. 17. **ა** წელთა. 18. **მ** მოიყუნა; **ა**+ კუალად; სანატრელად. 19. **მ** ათრანქ სარანის; **ა** თრაქა შარალანის. 20. **მ**; **ა** ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს და სიტყუასავე თანა წარემართა. 21. **ა** და თანა-წარიტანა. 22. **ა** აღიხუნეს. 23. **ა** ორთაგანვე. 24. შეაერთეს. 25. **ა** მთისანი. 27. **ა** —. 28. **ა** დაშურეს.

უსაქმოდ<sup>1</sup> [იქმნა] მათი გამოყვანება, [არამედ]<sup>2</sup> მათითა კელითა მოსრნა<sup>3</sup> სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა, და მათითა თანა-ყოლითა<sup>4</sup> ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქვას წაღმართ.

მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, და თავ-ადგა სიყრმითგანთა პატრონისა<sup>5</sup> მსახურებათათვის, და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა<sup>6</sup> ახალსა<sup>6</sup>, და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან, და თვით მეფემან უმეტესცა<sup>7</sup>, ძაძისა<sup>8</sup> შემოსითა<sup>9</sup> ორმოც დღე, ვიდრემდე იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაქსნა<sup>10</sup> გლოვა.

ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ<sup>11</sup> მარჯვეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალ რჩეულ მჩ.<sup>12</sup> ესენი<sup>13</sup> განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა,<sup>13</sup> და კუალად მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი, განასრულნა<sup>14</sup> ღვაწლსა, ვითარ ხუთ-ათასი<sup>15</sup> კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმკნითა. და თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს<sup>16</sup> დღითი დღე და სიმრავლე ურიცხვი<sup>17</sup> შეეძინებოდა ქრისტესა.

ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა და დააწყენა გვარად-გვარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართველნი, და ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირ-შეუქცეველნი<sup>18</sup>, და საშუალ მათსა თვით იგი უმსგავსო სპასპეტი და წინა-მბრძოლი, მიმსგავსებული ძველისა ქაიხოსროსთვის მოთხრობილთა, წინა-უძლოდა, და იწყო ბრძოლად<sup>19</sup> სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშვრებოდა, არცა მოეწყინებოდა<sup>20</sup>, ჟამიერად და წესიერად იყოლებდა<sup>21</sup> მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისისა<sup>22</sup> დიდ-გმონებობისა.<sup>23</sup> და ვინლა-მცა იყო წინა-დამდგომად,<sup>24</sup> ანუ ამმალღებელი<sup>25</sup> საჭურველისა მის წინაშე.

რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიციხითა<sup>26</sup> მიმმართველობისათვის და მსწრაფლ მიმოვლისა ქვეყანათა<sup>27</sup> შინა და ჭრელად მრავალ-ფერობისათვის ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩვენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ [იყო]<sup>28</sup> ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა; არცა სიმკნითა უმცირე. და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მღეძდ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე. და რაოდენ საწუთოთა და კორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და<sup>29</sup> მოყამეთა,<sup>29</sup> ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა კორციელთავე თანა მისთა პირველთა<sup>30</sup> ჰმატდა. რამეთუ არა სცა<sup>31</sup> ძილი თვალთა, არცა

1. ა ცუდ. 2. მ— 3. ა+სრულიად. 4. ა თანა-დგომითა. 5. ა პატრონისა. 6. გელათს. 7. ა ვითა მამა. 8. ა შემოსითა. 9. ა შავისათა. 10. ა დაიქსნა. 11. ა მათთა. 12. 40.000. 13. ა— 14. ა განსწავლულნი. 15. ა ხუთასი 16. ა ქმნილნი. 17. ა— 18. ბ; ა მ პირ-შექცევულნი. 19. ა რბევად. 20. ა+არამედ. 21. ა ალაშქრებდა; მ იყოვენებდა. 22. ა მისსა. 23. ა დიდისა გონიერებისა. 24. ა წინა-მდგომი. 25. ა მიმმართი ომისა. 26. ა სიფიციხისა. 27. ა ქუეყანასა. 28. მ— 29. ა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა. 30. ა+ყოველთა. 31. ა არცა.



ჰრული წამთა, არცა განსვენება კორცთა,<sup>1</sup> არცა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა კორცთასა, არა სასმელ-საქმელთა, არცა სიმღერა-სილოდათა, და რაფთურით<sup>2</sup> არა-რათა შემკრველთა კორცთა [მიერ სულისა] და გონებისათა, დასრულებად და უდებებად [ქვე-და] მზიდველთა ნებისათა.<sup>2</sup>

და<sup>3</sup> განიცადეთ-ლა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალ-გზის მცირედი მეგულების თქვმად.<sup>3</sup>

აქვნდის ჩვეულება ესე მეფესა, რამეთუ განგებულებითა<sup>4</sup> გარდავიდის აფხაზეთად და ჩამოიტყუენის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირთა, რამეთუ მათნიცა მსტოვარნი<sup>5</sup> ზედა-ადგიან მეფესა და იკვლევდიან<sup>6</sup> გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფთას, და ამით გულპყრობილნი ყენა იგინი [ქრონიკონი იყო ტმ].<sup>7</sup> ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას<sup>8</sup> დიდნი ფრიად და დაიზამთრეს. და არა ჰრულოდა<sup>9</sup> მეფესა, არამედ გარდამოიფრინა ფებერვალსა იდ<sup>10</sup> და უცნაურად დაესხა მათ ზედა, და ძალითა<sup>11</sup> ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხვეწა. აღიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი. მოვიდა ღანუქს და მასვე შევიდელსა პირმარხვასა დღესა<sup>12</sup> აღილო შარვანს ქალაქი კაბალა<sup>13</sup> და ალავსო<sup>14</sup> სამეფო თვისი<sup>14</sup> ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა, და წარმოვიდა ქართლს. და მყის<sup>15</sup> შეიკრიბა სპა და შთავიდა<sup>16</sup> შარვანს მაისსა შვიდსა, არბია<sup>17</sup> ლიქათათ<sup>17</sup> ქურდევანამდე და შიშტალანთამდე,<sup>18</sup> და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლსა. მათვე დღეთა შეიბნეს [შარვანელი] და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ<sup>19</sup> და მოსწყვიდეს შარვანელნი. თვესა ნოენბერსა წარვიდა მეფე აშორნას და დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-ყენა და წარმოილო [ნატყვენავი მათი] ურიცხვი. ჩამოვლო მგზავრ<sup>20</sup> და დაესხა სეველამეჯს<sup>21</sup> თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი<sup>22</sup> კარავთა მათთა.—ესე ერთისა წლისა.

მასვე ზამთარსა შთავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენა მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წვართნა. იყო ზამთარი ძნელი<sup>23</sup> და თოვლი ფრიადი. ესე რა ცნეს თურქთა. ვითარმედ: შორს არს მეფე, გულ-დებით ჩამოდგეს პირთა მტკვრისათა. გარნა მომკვლოვანებელსა<sup>24</sup> არა სცონოდა, არცა<sup>25</sup> დამხრწვეველთაგანი რა იმპირვიდა.<sup>25</sup> წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევიდა ლიხნი<sup>26</sup>, სადა<sup>27</sup> გარდანაკვეთსა თოვლისასა აქვნდა სიმალღე<sup>28</sup> მკარი სამი. დახვდა მზად სპა მისი. პირველ ჰამბავისა ქართლისა<sup>29</sup> ცნობამდე დაესხა ხუნანს<sup>30</sup> და ალავსო ლაშქარმან მთით<sup>31</sup> მტკვრამდე და გაგათათ ბურღუჯამდე, და მოსრეს პირითა მახვილისათა და არა დაუტევეს მოციქული კუ-

1. ა+თუისთა. 2. მ არათურთ არა; ა არათურთითა არა-რა კორციელთა შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა. 3. ა—. 4. ა განზრახვით. 5. ა მ მსახურნი. 6. ა ეძიებდიან. 7. 340; 780+340=1120. 8. ა ბორტიას; მ ბოტორიას. 9. ა+არცა. 10. 14. 11. მ; ა ძლით. 12. მ; ა—. 13. ა ყაბა; ზ ყაბალა. 14. ა ალივსო სამეფო. 15. ა მსწრაფლ. 16. ა შევიდა. 17. ზ არაბია-ლაქათათ. 18. ა ხიშტალანთამდე. 19. ა ფრიდონ. 20. ა მგზავრად. 21. ა სიველამეჯს. 22. ა მეოტი ძალა. 23. ა —. 24. ა ლომსა არა ჰრცხუნოდა. 25. ა არცა რულოდა ომისათუის, ვერცარა. 26. ა მთა ლიხისა. 27. ა რამეთუ. 28. ა—. 29. ა—. 30. ხუნანს. 31. ა ალივსო ლაშქრითა მათითა.





ალად.<sup>1</sup> [ქრონიკონი იყო ტმა<sup>2</sup>], თვე იყო მარტი. გაზაფხულ<sup>3</sup> განდიდნა მტკვარ<sup>4</sup>, რომელ ნადინებს<sup>5</sup> ვერ დაეტია<sup>5</sup>. ამისითა მინდომითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულ-დებითა. მონახნა მეფემან ივინიცა და ალონს<sup>6</sup> მტკვარსა გაცურდა ყივჩაყითა დამზრავს<sup>7</sup> მას წყალსა და მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი, დაყო დღე ორი და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. — თვე იყო ივნისი.

ამათ ესე-ვითართა ჭირთავან შეიწრებულნი თურქმანნი და კვალად ვაქარნი განძა-ტვილელ-დმანელნი წარვიდეს<sup>8</sup> სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეეღებნეს შავად რომელთამე პირნი, რომელთამე კელები, რომელთამე<sup>9</sup> სრულიად, და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი<sup>10</sup> ჭირნი მიწვეულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს<sup>11</sup> წყალობად თვისა. და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.<sup>12</sup> — მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეხს სადაყის<sup>13</sup> ძესა და მოსცა ძე თვისი მალიქი და<sup>14</sup> ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელლაზი, ძე არდუხისი<sup>15</sup>, კაცი დაჰმანი [და] მრავალ-ლონე, და უბრძანა თურქმანობასა სადაცალა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითავან ამოღმართ, ყოველსა მკედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა ყოვლითა<sup>16</sup> [და] სომხითისა ამირათა. [ქრონიკონი იყო ტმა].<sup>17</sup> შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქვნეს და შემტკიცნეს<sup>18</sup>, სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომელთა<sup>19</sup> ვერ იტევდა<sup>19</sup> ქვეყანა. და აგვისტოსა ათორმეტსა<sup>20</sup> მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, და თვით ფერკთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა. თუ ვითარ წინა-განაწყო სპა თვისი და თუ ვითარ ყოველი საქმე შევნიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ ზეგარდამოთა<sup>21</sup> შეწვევითა პირველსავე ომსა სივლტოლად მიდრიქნა და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვითა და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომელთა აღივსნეს ველნი, მთანი და ღრენი მძორებითა, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათვის<sup>21</sup> არა [თუ] ჩვენი, არამედ, ვგონებ, ვითარმედ: ყოვლისა სოფლისა ბრძენთა და გამომეტყველთა ენა იმკიროს<sup>21</sup> ჯეროვნად გამოწულივით თხრობასა მიცემად.<sup>21</sup> ხოლო<sup>22</sup> სპანი ჩვენნი და უფროსად<sup>23</sup>

1. ა დაუშთა მთხრობი ამბავისა. 2. 341; 780+341=1121. 3. ხოლო ვითარცა მოიწია გაზაფხული. 4. ა+ფრიად. 5. ა რამეთუ ნადინები მისი ვერლარა იტევდა. 6. ა—. 7. ა და მ და ჰუაზრავსა. 8. მ წარვიდოდეს. 9. ა—. 10. ა—. 11. მ აღზრნეს. 12. ა—. 13. მ სადაყის. 14. ა+ყოველი. 15. ა არდულისი. 16. ა ყოველთა. 17. 341; 780+341=1121. 18. მ შემტკიცდეს. 19. ა რომლითა აღივსო. 20. ა თურამეტსა. 21. მ იმხილოს; ა თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათვის ვგონებ რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ვერ შემძლებელ არს მთხრობად ზედამიწვევით ყოველსავე. —რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ კელი მალლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად, ყოველთა სახილველად წინა-უძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამიწვეულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და ვითარითა ღონითა

ყოველი სამეფო თუ<sup>1</sup> ვითარ ესე<sup>1</sup> აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბთ<sup>2</sup> ლითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა და სარა-ფარდაგებითა, და<sup>2</sup> სხვითა ურიცხვითა საქურველითა [საბრძოლელითა], სიმრავლითა<sup>2</sup> სასმურთა ტურფათა, და [სხვათა ჭურჭელთა] სანადიმოათათა, საბანელთა და სამზარეულოათათა, — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს [და აღწეროს]<sup>3</sup>! დ რამეთუ გლეხთა—იხილემცა! — ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ, და არა<sup>4</sup> დია [გვინდოდა] სხვათათვის სიტყვა!<sup>4</sup>

ამად რა თხრობად მოვიწივე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი სახელოვანნი გამომეტყველნი, ვიტყვი უკვე უმიროსსა და არისტოვულოსს<sup>5</sup> ელლინთა, ხოლო იოსიპოსს ებრაელთა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი<sup>6</sup> შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პიზანდროს<sup>7</sup>, ანუ აქილევ და ჰექტორ<sup>8</sup>, მერმეცა ოდისეოს<sup>9</sup> და პიდიტე<sup>10</sup> ეკვეთნეს და ვინ ვის მძლე ექმნა, და მეორემან აღექსანდრესნი წარმოთქვნა მკნე-კაცებანი<sup>11</sup> და ძლევანი,<sup>11</sup> ხოლო მესამემან ტიტოს მიერნი მეტომეთა თვისთა ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქენდეს კმად მისათხრობელად. ამისთვისცა კელოვნებითა<sup>12</sup> რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვის თვით სადამე აღექსანდრე: „არა დიდ იყავ, აქილევ, არამედ დიდსა მიემთხვიეო მაქებელსა, — უმიროსსა.“ და რამეთუ არცა-ლა<sup>13</sup> რვა წელ<sup>13</sup> განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერარა ღირსი ქებისა იქმნა, ხოლო მეფისა დავითისი ესე-ოდენტა მიმართ წინა-განწყობა სამ[ისა დღისა]<sup>14</sup> ჟამადმდე იყო და ვერცა პირველსა კვეთებასა<sup>15</sup> შეუძლეს წინა-აღდგომად<sup>16</sup>, ჰქონებოდამცა ამათ ბრძენთა<sup>17</sup> ნივთად<sup>18</sup> თხრობათა<sup>19</sup> საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა<sup>20</sup> და მაშინდამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვნად ქებასა. და ესენი ესე-ოდენ.

მეორესა წელსა აღილო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა. ოთხ-ას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საქურჭლედ და სახლად<sup>21</sup> საუკუნოდ. [ქრონიკონი იყო ტმბ].<sup>22</sup>

მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვან-შაჰ, აღილო შამახია, მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, ეყვედრა<sup>23</sup> წიგნითა<sup>23</sup>; ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერაოდეს გამოხვალ ველთა. მე ესე-რა შარვან-შაჰ შევიპყარ<sup>24</sup> და ხარაჯასა ჩემსა<sup>25</sup> ვითხოვ, შენ თუ გენებოს, ძღვე-

მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯუით განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი. მთანი და ღრენი მძორითა. 22. ა და. 23. ა—.

1. ა—.
2. ა სხუითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თუითო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა.
3. ა აღწერად.
4. ა სხუათა გოლიათათათუის რადლა რამცა გუინდოდა თქმად.
5. ა; მ არისტოტელისა.
6. ა მაქილეველთანი.
7. Peisandros (ილ. 11, 122);
8. მ ეკეტორ; ა ეკტონ.
9. ა უდისეოს.
10. p i d y t e s (ილ. 6, 30); მ ორესტი; ა ფირესტი.
11. ა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი.
12. ა მის კელოვნებისა.
13. ა მ ოცდარვაწელ (იხ. ილ. 2, 311-332).
14. ა მ სამ ჟამადმდე.
15. ა ომსა.
16. ა წინა-აღდგომად.
17. ა ბერძენთა.
18. ა ნივთთა.
19. ა—.
20. ა + მსგავსად.
21. ა + თუისად. 22. 342; 780+342=1122.
23. ა და მოუწერა წიგნი და რქუა.
24. ა ÷ კელთა.
25. ა—.

ნი ჯეროვანი გამოგზავნე, თქვენთა<sup>1</sup> სამალავთათ გამოსრულმან<sup>2</sup> მნახე. ესე რა ესმა მეფესა, მცის<sup>3</sup> კმა-უყო ყოველთა სპათა თვისთა და უმცის<sup>4</sup> სიტყვისა<sup>4</sup> მოვიდეს ყოველნი წინაშე<sup>5</sup> სამეფოსა მისისანი, და წარმოემართა სულტანსა ზედა. ყივჩაყნი ოდენ აღთვალულ იყვნეს მაშინ და იპოვა<sup>6</sup> [შემბმელი] მიჩ-სი<sup>7</sup>. ეუწყა რა სულტანსა ზედა-მისლვა, ძალი და სიმრავლე სპათა [მისთა], განკრთა და აიყარა ველთათ, სადა დგა, და შეივლტოდა<sup>8</sup> ქალაქად, და გარე-მოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა<sup>9</sup> და ხანდაკებითა და სხვით-კერძო ზღუდითა [ქალაქისა] შამახისათა. ესე რა ცნა მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა მისლვა მლტოლვარსა [ზედა], არამედ თაყვანისცემით<sup>10</sup> მიწასა ზედა მადლობა შეწირა ღმერთსა სკვირველთ-მოქმედსა<sup>11</sup>, და ადგილობანსა დადგა. მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა, ძღვენთა და შევრდომითთა<sup>12</sup> შეთვლილობათა<sup>13</sup>, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არღარა ძღვენი არცა ომი ითხოვა, არამედ გზა სივლტოლად<sup>14</sup>, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტნურად, შეიწრებულმან სიმშლითა და წყურვილითა მრავალ დღე. — მათვე დღეთა სულტნისადა<sup>15</sup> მიმავალი<sup>16</sup> ათაბაგი რანისა აღსუნღული ძალითა მრავლითა მოსრნეს მონათა მეფისათა, ვითარ ოთხ-ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო [მეოტი] ძალითა<sup>17</sup> მივიდა სულტანს წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა და სასდუნით<sup>18</sup> მეოტი სხვით გზით წარვიდა სოფლად თვისად. — ესრეთ ძღვევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე<sup>19</sup> და მცირედთა დღეთა განისვენა ამა თვესა<sup>20</sup>.

და მეორესა თვესა, — ესე<sup>21</sup> იყო ივნისი<sup>21</sup>, — კვალად წარვიდა შარვანს და აღიღო გულსიტანი, სახლი თავადი შარვანისა, და სიცხეთა მათ საშინელთა მოირთო შარვანი, და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლს. სთველთა გარდავიდა გეგუთს, ინადირა, განისვენა, განავო მანდაური ყოველი. და მარტსა გარდავიდა ქართლად და აღიღო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შარუბანს დარუბანდელსა და მოსწყვიდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი, და აღიხვნეს ციხენი ლისანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა. და მცის აღმოსიბოლა ვითარცა არწივმან და მაისსა აღიხვნა სომხითისა ციხენი გავნი ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა,<sup>22</sup> ბასიანნი სპერამდე, და რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყვე ყო. ჩამოვლო ბულთაყური და დაწვნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯვებითა და მცირედნი დაყვნა [დღენი]<sup>23</sup>, და ლაშქარი გაიყარა თვის-თვისად<sup>24</sup>.

ავგისტოსა კ<sup>25</sup> მოვიდეს მეწიგნენი<sup>26</sup> ანელთა თავადთანი და მოაკსენეს

1. ა და თუ გინდა. 2. ა გამოედ და. 3. ა მსწრაფლ. 4. ა ბრძანებასავე მისსა თანა. 5. ა÷მისა. 6. ა იყო. 7. ორმოცდაათი ათა-სი. 8. ა მსწრაფლ შევიდა. 9. ა-. 10. ა დავარდა. 11. ა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა. 12. ა მუდარითთა. 13. მ შეთუალებულობათა. 14. ა სამლტოლვარო. 15. ა სურტანსა წინაშე. 16. ა მიღმავალი. 17. მ; ა ძალით. 18. ა სასადუნით. 19. 1123 წ. მაისში. 20. მ ამათ ენასა; ა ამთენს; შესაძლებელია დედანში ყოფილიყო: ამა თემსა. 21. ა ივნისსა. 22. ა კარნიფოლა. 23. ა დღენი შუა გამოკდეს. 24. 1124. 25. 20 (იმავე წელს. 1124). 26. ა მწიგნობარნი.

მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოქანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მის<sup>1</sup> წიგნები წვევისა მიმოდასრბოლა<sup>2</sup>. და მესამესა დღესა სამეოცი<sup>3</sup> ათასი მკედარი წინაშე უდგა. წარემართა<sup>4</sup>, მესამესა დღესა აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქვეყანანი მიმდგომნი ანისისანი. წარმოიყვანა ბულასვარ რვათა ძეთა მისთა თანა, და მკვევალთა და სძალთა, და შთაგზავნა აფხაზეთს. და ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად.

და მცირეთა დღეთა მოუსვენა სპათა თვისთა და მერმე წარემართა შარვანს და აღილო ქალაქი შამახია და ციხე ბიგრიტი<sup>5</sup> და სრულიად ყოველი შარვანი. დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. განმგებელად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართა უხუცესი თვისი სვიმონ ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგაესებული გიორგი, დედის-ძმისა თვისისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი. განაგო მაშინ<sup>6</sup> ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი. მოვიდა<sup>7</sup> ქართლად<sup>7</sup> და ყივჩაყთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი და კაცნი ზედა-მდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა.<sup>8</sup>

და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ იყო<sup>9</sup> წინა-აღმდგომი [მისი]<sup>9</sup>, და<sup>10</sup> თვით სულტანი მუნ სადა იყო ძრწოდა შიშითა<sup>11</sup> და არცალა თვისთა<sup>12</sup> ძველ მართებულთა<sup>12</sup> ქალაქთა [და] ქვეყანათა ესვიდა<sup>13</sup> თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყვის ეგრეცა ეოცებოდის შიშითა<sup>14</sup> მძინარესა<sup>14</sup> სიკვდილი. ამისთვისცა ზედა-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღვენითა მომშვიდებად პირსა მისსა და<sup>15</sup> წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი ტურფანი მრავალ-ფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებენ მშვიდობასა და სიყვარულსა [და] ყივჩაყთაგან არა-რბევასა. ამისთვისცა არა-რას მიხედვიდეს წარსგებულთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ<sup>16</sup> სადა იყვის იპოვის მშვიდობა და სიცოცხლე<sup>17</sup>. და ვგონებ, ვითარმედ: მამათა და პაპათაგან წარღებულნი ქვეყანანი, ტყვენი და სიმდიდრენი მრავალ-წილად უკუ-მოიზღვნა ამან მკნემან. და დამშვიდნა<sup>18</sup> ქვეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოველი<sup>19</sup> კეთილი,<sup>19</sup> განიესო<sup>20</sup> და აღეშენა<sup>20</sup> ყოველი ოკერ-ქმნილი, და გარდაემატა<sup>21</sup> ყოველთა ჟამთა მშვიდობითა<sup>22</sup> და სიმდიდრითა სამეფო ჩვენი ნაცვლად<sup>23</sup> გარდასრულთა ოკრებათა.<sup>24</sup>

ესე-ვითარნი უკვე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა, წყობათა, ღვაწლთა, ძღვევათა და წარმართებულობათა<sup>25</sup>, და ჰყრობათა და აღხვამათა

1. ა მსწრაფლ. 2. ა წარსცა ყოველთა. 3. მ სამოცდა. 4. ა+და ვითარცა მიიწია. 5. ბ; მ ბიკირტი; ა ბირიტი. 6. ა მეფემან. 7. მ მოვლო ქართლი. 8. 1124. 9. ა წინა-აღუდგა მას. 10. ა რამეთუ. 11. ა შიშისაგან. 12. ა თუით ძუელად ქონებულთა. 13. ა ჰგონებდა. 14. ა მძინარესა შიშით და მლუიძარესა. 15. ა რამეთუ. 16. ა+თუით. 17. ა+თავისა თვისისა. 18. ა მ დაამშვიდ(ნ)ა. 19. ა ყოვლითა კეთილითა. 20. ა მ განავსო და აღაშენა. 21. მ გარდამატა. 22. მ მშვიდობისათა. 23. მ ნაცვალთა. 24. ა მ ოკრებათასა. 25. მ წარმთებათა.

დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მითხრობანი და საქმე-  
ნი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა, რომელნი ჩვენ მცირედითა, ყოვლად  
კნინითა სიტყვითა წარმოგვიჩინიან დიდთა მათ მითხრობად შეუძლებელთა  
საქმეთა მისთავან. და ბრჭალთავან ლომისა<sup>1</sup> და ფესვისა<sup>2</sup> მცირისაგან<sup>2</sup> ყვა-  
ვილისა<sup>3</sup> ქსოვილისა ვითარებისა<sup>4</sup> საცნაურ-ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა  
აჩრდილისაგან კაცისა<sup>5</sup>, რომელნი ესე შეუძლებელ არიან ყოფად!

ხოლო კორციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისაგან უკვეთუ ვინმე ჰკონ-  
ონ, ვითარმედ: რადლამცა მოეცალა საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა  
მიმართ<sup>6</sup> მიხედვადცა და მოგონებად, არა თუ ქმნად, ვინათვან ფრიადცა კმა  
არიან ესენი ერთისა კორცთა შინა მყოფისა კაცისაგან ქმნად და წარმართე-  
ბად, — და თუ სადა<sup>7</sup> პოვა სამეფო თვისი სიმდაბლედ [შთასრული და თუ  
სადა სიმაღლედ] აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი და ძლეულნი ვი-  
თარ<sup>8</sup> მძლედ გამოაჩინნა, — ამათნი მგონებელნი ნუ უკვე არა იბრაღენენ.  
არამედ ეუწყენ მათ, ვითარმედ: უკვეთუ ამათ პირთათვის ვინმე<sup>9</sup> გამოიძიოს  
და ზედა-მიწვენით ვინ ცნობა ინებოს, კნინ და და ესე კორციელნი საქმენი  
წარმოთქმულნი ფრიად უნდოდ და არა-რად პოვნეს, ვითარცა ნამდვილ<sup>10</sup>  
მცირენი<sup>11</sup> და საწუთონი.<sup>12</sup> და დგომათა<sup>13</sup> მათ<sup>14</sup> მტკიცეთა<sup>15</sup> და საუკუნოდ  
ღმრთებრივ<sup>16</sup> მყოფელთა მისთა საქმეთა, რომელთა იგი უმეტეს ამათსა მათ  
მოქმედებდა და უსასწრაფოეს აქვენდეს<sup>17</sup>, რომელთაგანნი მცირედნი მრავლი-  
საგან, ვითარცა სასუმელი ერთი მტკვერისაგან, ჩვენცა მივსცნეთ თხრობასა:

იტყვის სოლომონ: დასაბამი<sup>18</sup> სიბრძნისა შიში უფლისა<sup>18</sup>. ხოლო [ვით-  
არცა] დავით მამა[მან] ღმრთისა[მან] დასაბამად სიბრძნისა<sup>18</sup> ესე შიში უფ-  
ლისა მოიგო სიყრმიტვან თვისით დავით, რომელი<sup>19</sup> ჰასაკსა მისსა თანა<sup>20</sup>  
აღორძნდა<sup>21</sup> და ჟამსა თვისსა ესე-ვითარნი ნაყოფნი გამოიხვნა, რომლითა  
ორ-კერძო ცხორება თვისი განაშვენა, რომლითა შეამკვნა საქმენი თვისნი,  
რომლითა განაგდა კორციელნი და წარმართნა სულიერნი. ხოლო თუ ვითარ  
ისმენდა<sup>22</sup> დიდთა [გამომეტყველთათვის]<sup>22</sup> სიბრძნისა [და] რა პოვა შიში  
უფლისა<sup>23</sup> [მამისად]<sup>24</sup> ღმრთისადცა<sup>24</sup>, საღმრთონი წერილნი და ესენი მდი-  
დრად შეიკრიბნა<sup>25</sup> რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართულსა<sup>26</sup>  
სხვათა ენათაგან, ძველნი და ახალნი, ვითარცა სხვამან პტოლემეოს. ამას  
ზედა<sup>27</sup> ესე<sup>28</sup>-ოდენ შეიყვარნა<sup>29</sup> და შეითვისნა, რომელ სთქვამცა<sup>30</sup> თუ<sup>30</sup>  
მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის.<sup>31</sup> ივინი იყვნეს მისსა საზრდელ<sup>32</sup>  
გემოვან და სასუმელ ტკბილ<sup>33</sup> ივინი<sup>34</sup>—შვება,<sup>35</sup> განცხრომა, საწურთელ  
და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა

1. ლომსა, 2. ა ფესუსა მცირისა. 3. ა ყუთავილისასა. 4. ა ვითარებასა.
5. ა კაცსა. 6. ა მიერ. 7. ა სადათ. 8. ა ვითა. 9. ა ვინ. 10. ა—.
11. ა მცირედნი. 12. ა სასაწუთონი. 13. ა დგრომათა. 14. ა+თანა. 15. მტკიცედ.
16. მ ღმრთე—; მ ღმრთე—.
17. ა. 17. აქუნდა. 18. ა დასაბამად სიბრძნისა მოიგო სიბრძნეო. ხოლო დავით, მამა ღმრთისა: დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისა.
19. ა და; მ რამეთუ. 20. მ თვისსა. 21. ბ აღორძინა. 22. ა ისმენდი დედად; მ დიდად. 23. ივანნი, 1, 7; ა უფლისად. 24. ა შიშისად ღმრთისად. 25. ა შე-  
იკრიბნა. 26. მ ქართლისასა. 27. ა+ოდენ სასოვან ქმნილმან და. 28. მ—.
29. ა შეიპყრნა. 30. მ საქმეთაცა. 31. მ იძლივის. 32. ა+ყოველთა. 33. ა+  
და საწადელი. 34. მ გინა. 35. ა შუებად.

მოუწყენელთა, შრომათა განუსვენებელთა<sup>1</sup> წიგნები ეტვირთის სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა, და სადა<sup>2</sup> გარდაკდის ჰუნესა, პირველ წიგნი მოაქენდიან კელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშვრის. ხოლო შემდგომად სერობისა ნაცვლად ძილისა ანუ სხვასა რასამე საქმისა კვლად კითხვა წიგნთა, და რა-ჟამს თვალნი დაშვრიან, სასმენელნი<sup>3</sup> [ანაცვალნის]<sup>4</sup>, სადა<sup>5</sup> არა<sup>5</sup> გარეწარად<sup>6</sup>, არამედ [ფრიალ] ფრთხილადცა ისმენ<sup>7</sup> წინაშე თვისისა მკითხველისა, გამოეძიებ<sup>8</sup>, ჰკითხვენ<sup>9</sup>, და უფროსლა თვით განმარტებ<sup>10</sup> ძალსა და სიღრმესა მათსა.

და უსაკვირველეს არს ესე: უწყით ყოველთა თუ ვითარ<sup>11</sup> სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თვისსა და წარტყვევენულ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არა რასა<sup>12</sup> სხვასა გარნა ხილვისა ნდირისასა, და დევნასა, და თუ ვითარ კელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულ-მოდგინება ამასცა სძლევდა, რამეთუ თვით ნადირობასა შინა წიგნი აქენდიან კელთა, და რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის<sup>13</sup> ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის. და ნუ უკვე ჰგონო, ვითარმედ: კელითა ცალიერითა მოიქცის ანუ ცუდად ირბინის<sup>14</sup>. რამეთუ ვინ ჰგავნ კორციელი ანუ<sup>15</sup> ვინ იხილა ნადირობასა შინა ესე-ოდენ<sup>16</sup> გამარჯვებული?! მოსოლლამოს<sup>17</sup> ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობისა და კეთილ-მიმმართველობისათვის<sup>18</sup> აღექსანდრეს სპათა შორის მჯობად<sup>19</sup>, და აქილევი კენტავროსისგან<sup>20</sup> განსწავლულად<sup>21</sup> ელენთა შორის, ხოლო ბაჰრამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვირველთა. გარნა ჰეშმარიტად ვერცა [ერთი] ამათგან შეესწორებოდა<sup>22</sup> ამას, ვითარცა გვიხილავს ჩვენ<sup>21</sup>.

ვთქვა<sup>24</sup> სხვაცა საქმე საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყვარულისა, რომელსა შინა არა-რა იყოს<sup>25</sup> ტყუელი, ვინათგან წარსწყმდეს უფალი<sup>26</sup> რომლენი იტყვიან სიცრუევსა, წინა-დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად, — და რა-ჟამს დაასრულის, ნიშანი დასეის ბოლოსა წიგნისასა, — ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთვალეთ, — ოცდაოთხჯერ წარკითხსა!

არიან უკვე სხვანიცა<sup>27</sup> მრავალნი საცნაურებანი [ამის] პირისა, გარნა მე ერთილა შევსძინო<sup>28</sup> სხვათა<sup>29</sup> ამათგან<sup>30</sup>: ქალაქი ტბილისი<sup>31</sup> ოდეს ჯერეთ<sup>32</sup> არა სრულიად შემოყენებულ<sup>33</sup> იყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო [ერთთა]<sup>34</sup> ქრისტიანეთათა, ოდესმე ყვიან ღავლავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრიან რაოდენნი პოენიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა-შემოყოლილთა თურქმანთა ზედა განსცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი და ტყვეობასა<sup>35</sup> და<sup>35</sup> სიკვდილსა მის-

1. მ—. 2. ა სად არ. 3. ა სმენილნი. 4. ა; მ—. 5. ა—. 6. მ გაციად. 7. მ ისმენენ. 8. მ გამოეძიებდნენ. 9. მ ჰკითხვენ. 10. მ განმარტებენ. 11. ა—. 12. ა+შინა. 13. მ მისცნეს. 14. ა დაშურის. 15. ა—. 16. ა ესეოდენი. 17. ა მოსამაზოს; მ მოსომაზოსო. 18. ა მმართველობისათვის; მ მმართველობისათვის. 19. იხ. Flav. Josephus, op. omn. VI (Teubner) p. 200-3; 220 sv.

20. ა კენტავროსაგან. 21. ა+მოისრობისა.

22. ა შეესწორებდა. 23. ა—. 24. ა მ ვთქუ. 25. ა მ იყო. 26. ა+ყოველნი. 27. მ სხუანი. 28. ა+სიტყუად. 29. ა მ სხუა. 30. ა ამათთა. 31. ა მ+იყო. 32. ა ერთჯერ. 33. ა შემოყენებულ. 34. მ—; ა სისხლითა. 35. ა ტყუეობად.

ცნინან, და ესრეთ ისრვოდა ქვეყანა მრავალ-ჟამ, რომელი [ესე] ფრიადი-  
 ნებოდა სულსა დავითისსა. — შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძითა  
 და თანა-შემოჰყვეს თურქმანნი დიდნი. ცნა<sup>1</sup> მეფემან და<sup>2</sup> გაგზავნა მონა-  
 თაგანნი ათხუთმეტნი<sup>3</sup> ოდენ<sup>4</sup> კაცი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო მძო-  
 ვარი ნახირი ქალაქისა წარმოიტაცონ, — ნუ უკვე და იგი თურქნი გამოვიდ-  
 ენ დევნად, და მოსწყვიდნეს ამით ღონითა. ხოლო თვით სამასითა ოდენ  
 მკედრიითა<sup>5</sup> დაიმალა ჰავჭალისა<sup>6</sup> ლელეთაგანსა ერთსა შინა<sup>6</sup>, და არავის მიენ-  
 დო მხედვარსა<sup>7</sup> სხვასა, არამედ თვით მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურვე-  
 ლო. კრმლითა ოდენ, და თანა-წარიტანა წიგნი ღმრთის-მატყველი, და ამცნო  
 სპათა არა შეძრვად ყოვლადვე<sup>8</sup> ვიდრე<sup>8</sup> მისლვადმდე მისსა მათ თანა. ხოლო  
 მონათა მათ ყვეს ბრძანებული მათდა და წარმოიღეს ნახირი. და მოეწივნეს  
 თურქნი ვითარ ასი კაცი და შემდგომად დიდისა ომისა ჩამოყარნეს მონანი  
 და დაუტოვნეს ცხენნი. გარნა ქვეითნი<sup>9</sup> ეგრეცა<sup>9</sup> იბრძოდეს ფიცხელად. ხო-  
 ლო მეფე ცხენსა რა გარდაკდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსლვასა, შეექცა  
 კითხვასა და ესე-ოდენ წარიტყვენა<sup>10</sup> მისგან გონებითა, რომელ ყოვლად და-  
 ავიწყდა<sup>11</sup> წინა-მდებარე საქმე, ვიდრემდე კმა რამე კივილისა<sup>12</sup> შემოესმა<sup>13</sup>  
 ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე და აღმკედრებული მიჰყვა<sup>14</sup> და<sup>15</sup> ზედა-  
 წარადგა მონათა თვისთა ესე-ვითარსა ღვაწლსა შინა მყოფთა. და რამეთუ<sup>16</sup>  
 ჰშორვიდა<sup>17</sup> სპათა თვისთა და [უკვე]-თუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო.  
 მონათა დაუტოცდეს, მყის<sup>18</sup> შთაბრიალდა<sup>19</sup> ვითარცა არწივი და დააბნივნა  
 [ვითარცა] კაკაბნი, დ მსწრაფლ ესე-ოდენნი მოსწყვიდნა. რომელ მათნი  
 ცხენნი კმა ეყვენეს მათ მონათა, და აღმკედრებულთა ესე-ოდენნი მოსრნეს,  
 რომელ მცირედნი-და<sup>20</sup> შეივლტოდეს<sup>21</sup> ქალაქად<sup>22</sup>. ხოლო გზანი სავსენი<sup>23</sup>  
 იყვნეს მძორითა მათითა. და ფრიადითა<sup>24</sup> ცემითა<sup>24</sup> კრმალმანცა დაღვლარ-  
 ჭნილმან უარ-ყო ქარქაში თვისი. მაშინდა მოვიდა ავისთა სპათა თანა, რო-  
 მელნი ფრიად აბრალებდეს მას.

განიცადეთლა<sup>25</sup> ჩემდალ<sup>26</sup>, რომელ<sup>27</sup> ესე-ვითარსა საქმესა შინა და ესე-  
 ოდენ უტალოსა წიგნივე<sup>28</sup> აქვნდეს უსასწრაფოცს<sup>29</sup> საქმედ! და ესე-  
 ნი<sup>30</sup> ესეოდენ.<sup>31</sup>

ხოლო ვთქვა ესეცა, ვითარმედ: უკვე-თუმცა არა წერილთა მეცნიერე-  
 ბანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი<sup>32</sup>, პირველ-ყოფილთა მეფეთა  
 კეთილად მძღვანებელთა<sup>33</sup> ანუ ვერასა წარმმართველთა<sup>34</sup> შემთხვეულნი  
 წინა-განსაკრძალვებლად და სახედ არა შემოეხვენეს და არა მოეკმარნეს, ვი-  
 თარცა იტყვის სოლომონ, ვითარმედ: იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღკსნა-  
 ნი იგავთანი, და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი,<sup>35</sup> — არა თუმცა

1. ა+რა. 2. ა—. 3. მ ათორმეტნი. 4. ა—. 5. ა კაცითა. 6. ა ლელეთა  
 ავჭალისათა. 7. ა მხედველსა. 8. ა ყოვლადვე; მ შემდგომად ვიდრე. 9. ა ქუ-  
 ეითცა იბრძოდეს. 10. მ წარტყუნენა. 11. ამ დავიწყდა. 12. ა კლვისა. 13.  
 ამ შემოისმა. 14. ა მიყვანდა. 15. ა+ვითარცა. 16. ა—. 17. ამ აშორვიდა.  
 18. ა მსწრაფლ. 19. ა შთაბრიალდა. 20. ა მცირედ. 21. ა შეესწრნეს. 22.  
 ა ქალაქსა. 23. მ სავსე. 24. ა ფრიადისა ცემისაგან. 25. ა განიცადელა. 26.  
 ა ჩემად. 27. ა—. 28. ა წიგნივე. 29. უსასწრაფოცსად. 30. ა—. 31. ა ესეო-  
 დენი. 32. ამ შემეცნებანი. 33. ა კეთილთა ძღუანებულთა; მ კეთილ ძღუ-  
 ნებულთა. 34. ა წარმართველთა და; მ წარმართველთა. 35. ეკვლეზიას-  
 ტე. 1,2.

ესენი ესრეთ, კვერთხი მეფობისა ესე-ოდენ დამდაბლებული, ესეოდენ<sup>1</sup> ძნელი და ნამდვილვე<sup>2</sup> დიდ<sup>2</sup> განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მალლად და ვითარ ვერვინ სხვამან, რამეთუ განბრძნა<sup>3</sup> უფროს გაბასაელისა<sup>4</sup> და უმეტეს ეთამ<sup>5</sup> ისრაიტელისა, წერილისაებრ.

და ვითარ ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, — რაოდენნი მართებანი და<sup>6</sup> განსაგებელნი: კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშქრობათა<sup>7</sup> მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მკედართა განწესებანი, საერონი შიშნი, საკელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი,<sup>8</sup> მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძღვენეთა ჯეროვანნი მისაგებელნი. შემცოდეთა წყალობითნი წუროთანი, მსახურებელთა ნიჭისა<sup>9</sup> მრავლებანი,<sup>9</sup> მოჩივართა<sup>10</sup> სამართალთა<sup>11</sup> გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი [მოკითხვანი],<sup>12</sup> სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, — და რაოდენნი ვინ აღმოწყენეს<sup>13</sup> სიტყვითა უფსკრულისაგან საქმეთა<sup>14</sup> სამეფოთა<sup>14</sup>, რომელთა შინა ვერავინ ძველთა და ახალთა<sup>15</sup> მეფეთაგანი<sup>15</sup> ემგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდელთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვისითა მან<sup>16</sup> ქმნნა.

რამეთუ სულტანი დასვა მოხარკედ თვისად, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარ-ყვნა<sup>17</sup> ისმიიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი. და რათა მოკლედ ვთქვა, პირველყოფილნი მეფენი, მსაჯულნი,<sup>18</sup> გოლიათნი, გმირნი, კაცნი იგი საუკუნითგან სახელოვანნი, მკნენი და ძლიერნი, და რათაცა საქმეთა ზედა სახელოვან-ქმნილნი,<sup>19</sup> ყოველნივე ესრეთ [დასხნა]<sup>20</sup> ვითარცა პირ-უტყენი ყოველსა საქმესა და<sup>21</sup> ყოველსა სახესა<sup>21</sup> შინა.<sup>21</sup>

ხოლო კვალად საღმრთოთა სათნოებათა და სულიერთა საქმეთა მათ<sup>22</sup> მისთა ვიეთი გონება მისწვთეს, ანუ მოგონებულსა<sup>23</sup> ვისმან ენამან მსახუროს<sup>24</sup> თხრობითა!<sup>24</sup> რამეთუ ვითარცა ღმერთი მართლ-საჯიდა სამწყსოთა<sup>25</sup> თვისთა თვალ-უხავითა<sup>26</sup> მით ბჭობითა თვისითა და არა სადათ<sup>27</sup> მიდრკებოდა წამი მისისა<sup>28</sup> სასწოროსა, ვითარცა სოლომონისათვის გვესმის საბჭოთა შინა და თვით მოსეს-მიერნი გვაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი.

ხოლო თავი სათნოებათა — სიწმიდე — ესე-ოდენი მოიგო ვითარცა დიდმან ანტონი. ნუ მეტყვი მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიკსენნეს! — უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილთა გული-

1. ა—. 2. ა ნანდვილვე დიდი. 3. ამ განაბრძნა. 4. ა გაბრეილისა; შეიძლება უფრო სწორი იყოს: „ბესელიელისა“ (სხვა ვარ.): იხ. ს. ყაუხჩიშვილის „ქართლის ცხოვრება“, გვ. 357. 5. მ ეთამის. 6. მ—. 7. ა ლაშქრობასა. 8. მ შემოსლვანი. 9. ა ნიჭ-მრავლობანი. 10. მ მთავართა. 11. ა მართალნი; მ მართალთანი. 12. მ—. 13. ა აღმოწყუნეს. 14. ა სამეფოთა საქმეთა. 15. ა ახალთაგან მეფეთა. 16. ა—. 17. ამ იავარად. 18. ა—. 19. ს სახელოვანნი. 20. მ—. 21. ა—; მ სახლსა. 22. ა—. 23. ა მოუგონებელსა. 24. ა შეუძლოს თხრობად. 25. ა სამეფოთა. 26. ა თუალ-უხუავითა. 27. მ სადეთ. 28. მ—.



თა<sup>1</sup> მიიღებდა<sup>2</sup> უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანა-მოწამებითა სვინი-  
დისისათა და არა-მხილებითა გონებისათა, და რომლისა მოწამე არს სარწმუ-  
ნო იგი<sup>3</sup> ცათა შინა. — კვალად ლოცვისა და მარხვისათვის რადღა საკმარ  
არს თქმა, რომლისა [მო]საქმარ<sup>4</sup> იგი ოდენ იყო.

და კვალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი ყოველნი<sup>5</sup> ეკლესიანი წესსა  
და რიგსა ლოცვისასა და ყოველისა განგებისა<sup>6</sup> საეკლესიოსა<sup>6</sup> და რაზზის კარ-  
ით მიიღებდიან ვითარცა<sup>7</sup> კანონსა უტომელსა, ყ-ოვლად შევნიერსა და  
დაწყობილსა კეთილ-წესიერებისასა,<sup>8</sup> ლოცვისა და მარხვისასა.

ხოლო სააშვიკონი<sup>9</sup> სიმღერანი, და სახიობანი, და განცხრომანი, და გინე-  
ბანი<sup>10</sup>, ღმრთისა საძულელნი<sup>10</sup>, და ყოველი უწესოება მოსპობილ ყო<sup>11</sup>  
ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა<sup>12</sup> სიმრავლესა მრავალ<sup>13</sup>-ენა-  
თა ნათესავთასა ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის.

კვალად წყალობა გლახაკთა ესე-ოდენი აქენდა, ვიდრემდე აღავსო ზღვა  
და კმელი ქველის-საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და  
მონასტერნი არა თვისისა<sup>14</sup> ოდენ სამეფოსანი<sup>14</sup> არამედ საბერძნეთისანი-  
ცა<sup>15</sup>, მთა-წმიდისა და ბოლღარეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა,  
შავისა მთისა და პალესტინისანი აღავსნა კეთილითა, უფროს-ლა საფლავი  
მეუფისა<sup>16</sup> და მყოფნი<sup>17</sup> იერუსალემისანი თვილო-ფერთა მიერ შესაწირავთა  
განამდიდრნა. კვალად უშორესცა ამათსა, რამეთუ მთასა სინასა, სადა იხი-  
ლეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი  
ათასეული, დამოსაკიდელნი ოქსიონისანი<sup>18</sup>, და წიგნები საეკლესიო სრულო-  
ბით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა.

და კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა რომელთა თვისითა კელითა  
მისცემდის ფარულად, ვინ აღრაცხოს თვინიერ მამისა ზეცათასა, რომელი  
მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისსა ქისაკი მცირე, რომელსა<sup>19</sup> აღავსებდის<sup>20</sup>  
დრაპკნითა რა დღე სარწმუნოთა თვისითა კელითა, და სამწუხროდ ცალიე-  
რი მოაქენდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა. და ოდესმე ნახევარი  
წარავის მისი, და ოდესმე არავინ ეპოვნის [და] ეგრეთ სავსე მისცის დამარ-  
ხვად ზვალისა და სულთ-თქმით<sup>21</sup> ჰრქვის<sup>21</sup>: „ დღეს ვერა მივეც ქრისტესა  
მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა.“ და ამას იქმოდის<sup>22</sup> არა-თუ კელოსანთა  
მორთმეულისაგან,<sup>22</sup> ანუ<sup>23</sup> საჭურჭლითა, არამედ კელთა თვისთა ნადირებუ-  
ლითა, რომლისაგან<sup>24</sup> ოდესმე თვისსა მოძღვარსა იოვანეს მისცა დრაპკანი  
ვითარ ოც-და-ხუთ-ათასეული,<sup>25</sup> რათა განუყოს გლახაკთა. და ესეცა მცირე-  
დი მრავლისაგან გვითქვამს<sup>26</sup>.

ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარ-  
გვეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა<sup>27</sup> ყოველ-

1. ა გონებითა. 2. ა—. 3. ა—. 4. ა მ საქმარ. 5. ა—. 6. ა საეკლესიოსა  
განგებისასა. 7. მ—. 8. ა მ კეთილ-წესიერებასა. 9. ა მ საეშვიკონი. 10. ა  
გინება ღმრთისა განმარისხებელი. 11. ა იყო. 12. მ—. 13. ა—. 14. ა თვის-  
თა ოდენ სამეფოთა. 15. მ საბერძნეთისანი. 16. ა უფლისა ჩუენისა იესოს  
ქრისტესი. 17. ა მყოფელნი. 18. ოქსიონი; მ ოქსიონი. 19. ა—. 20.  
ა აღავსის. 21. ა სულთ-ითქუის. 22. არა თუ კელოსანთაგან მორთულისა  
იქმოდის. 23. ა+თუ. 24. ა მ რომელთაგან(ნი). 25. ა ოცდაოთხი ათასი  
26. ა თქმად შეუძლებელ. 27. ა—.

ისა ბეგრისა და ჭირისაგან. რათა თავისუფლითა<sup>1</sup> სულითა<sup>2</sup> მსახურება მიუწყ-  
რან ღმერთსა<sup>3</sup>.

ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი კიდნი მდინარეთა  
სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნა, რაო-  
დენნი ეკლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი განწმინდა სახლად ღმრთი-  
სად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი მოიყვანნა<sup>4</sup> შვილად წმიდისა ემბა-  
ზისა და<sup>5</sup> შეაწყნარნა ქრისტესა, და დადვა ამისთვის<sup>6</sup> უმეტესი მოსწრაფება  
რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომ  
ლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან  
კოსტანტინე.

სხვათავე კეთილთა თანა აქენდა ესეცა: რამეთუ სლვას<sup>7</sup> შინა თვისთა<sup>8</sup>  
სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა<sup>9</sup> ვერ ადვილად  
მიემთხვეოდინან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მომძლავრებულნი, განლა  
ვიეთთავე,<sup>10</sup> რომელთა სჭიროდა<sup>11</sup>, უკმდის განკითხვა და შეწყება მეფობრი-  
ვი, — ნუ უკვე და ვინმე აღვიდის ბორცვსა [ზედა]<sup>12</sup> რასამე, გზისა მახლო-  
ბელსა, ანუ კლდესა, ანუ<sup>13</sup> ხესა, ვითარცა ზაქე<sup>14</sup>, უკვეთუ ოდენ ეპოვის ესე-  
ვითარი რა, და მიერ<sup>15</sup> საცნაურ ყვის ჭრტინვა თვისი, — ამისთვის დაედგინ-  
ნეს კაცნი მართლად-მცნობელნი და განმკითხველნი<sup>16</sup> მოჩივართანი, რომელ-  
თა მიერ მიიღებდეს კურნებასა.

მრავალ-გზის გვიხილავს იგი დამალტობელად ღაწვთა მისთა<sup>17</sup> ცრემლი-  
თა ხილვასა ზედა თვითო-სახეთა სენთა მიერ განცდილთასა<sup>18</sup>, და ხილვად  
საძნაურთა<sup>19</sup> რომელნი შეემთხვევიან მიუნდომელთა<sup>20</sup> ამათ და უბადრუკთა  
კორცთა, რომელთა ზრდის უმეტეს სხვათა ქვეყანა<sup>21</sup> ქუთათისისა.<sup>22</sup>

ვინ აღრაცხნეს ტყვენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი  
უკ-მოიკსნნა თვისთა ყიფიყათაგან ფასითა? ვინ ჯეროვნად წარმოაჩინნეს<sup>23</sup>  
პატივით პყრობანი მონაზონთანი, სიმდაბლით შემთხვევანი<sup>24</sup> და მოკითხვა-  
ნი<sup>24</sup> და<sup>25</sup> სიყვარულით შეწყნარებანი მათნი, თვითოეულისა ნიჭნი და საკმარ-  
ნი, რომლითა უზრუნველ ყენის<sup>26</sup> საჭიროთაგან?

აქენდა ყოვლად ბრძენსა ამას მეფესა საქმედ ესეცა, რომლითა<sup>27</sup> უმეტეს  
ყოვლისა<sup>27</sup> საშიშ<sup>28</sup> და<sup>28</sup> საზარელ იყო ყოველთა. რამეთუ ღმრთისა მიერ  
იყო მას<sup>29</sup> ზედა ნიჭი ესე და საქმე<sup>30</sup> ყოვლად საკვირველი: არა-რა შორიელ-  
თა, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა [მისთა] მყოფთა კაც-  
თა, დიდთა და მცირეთა, საქმე ქმნული<sup>31</sup> კეთილი გინა<sup>32</sup> ბოროტი, სიტყვა  
თქმული არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე. არამედ რაოდენიცა ვის ფარუ-  
ლად ექმნის ანუ<sup>33</sup> ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდე  
გულის-სიტყვანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომლითა

1. ამ თავისუფალთა. 2. ა საღმრთო. 3. ა—. 4. ა—. 5. ა—. 6. ა მის-  
თუის. 7. ა სლვათა. 8. ა —. 9. მ სლვათათა. 10. ა ვიეთგანმე. 11. ა საჭიროდ.  
12. მ—. 13. ა გინა თუ. 14. ლუკა, 19,1-5. 15. ა მუნით. 16. მ გამომკითხ-  
ველნი. 17. ა თუისთა. 18. ა განსაცდელთასა. 19. ა საცნაურთა. 20. ამ მი-  
უნდობელთა. 21. მ ქუეყანათა. 22. ა ქუთათისა. 23. ა წარმოთქნეს. 24.  
ა—. 25. ა—. 26. ა+ყოველთა. 27. ა რომელთა უმეტეს ყოველთა. 28.  
ამ საშიშად. 29. ა მის. 30. მ საქმედ. 31. ა—. 32. ა+სიტყუა. 33. ა+თუ.



ზარი<sup>1</sup> განკდის მათ<sup>1</sup>. და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მცხოვრებულნი ღვაწლნი და სათნოებანი უწყოდის ცხადად, და სიშორე გზისა კიდრე ეკლესიამდე იცოდის ზომით, და მოთმინებისათვის აქებდის და ჰნატრიდის. — ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ახას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამით. რამეთუ არა<sup>2</sup> (უღდად რადმე და განსაკითხავად საგიობელთა<sup>3</sup> საქმეთა და ანუ საციცხველად<sup>4</sup> ვიეთთათვის-მე<sup>5</sup> იქმოდის.<sup>6</sup> წარვედ! არამედ დიდხი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავლთა<sup>7</sup> კეთილისა<sup>7</sup> შიზეზ იქმნა<sup>8</sup> ესე, — პირველ<sup>9</sup> რამეთუ<sup>9</sup> ორგულეზასა და ზაკვასა და ლალატსა რასაცა ვერავინ დიდთა ანუ მკირეთაგანი იკადრებდა მოგონებად(ცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ ცხედრეულსა<sup>10</sup> თვისსა თანა, ანუ მოყვასსა, ვინა ყრმათა თვისთა, ვინათგან ესე<sup>11</sup> მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ<sup>12</sup> პირით აღმოსლდა! ავე სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა. და მრავალნი განაპატიუებულცა იყვნეს და მხილებულ ესე-ვითარისათვის. ამისთვის<sup>13</sup> ვერცა ვინ<sup>14</sup> განიზრახა<sup>15</sup> რაფთურით<sup>16</sup> ღალატი<sup>16</sup> დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავი და სარიდი. —

და კვალად მღვდელთ-მოძღვართა, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა, და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერებად<sup>17</sup> და გზად<sup>17</sup> ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწყესოდ სლვად, ვინათგან უწყოდნიან არა-რასა დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა და ძაგება არა-ეგვი-ვითარისა.<sup>18</sup> და რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერცა მკედარი და ვერცა<sup>19</sup> რომელი ერისთავი,<sup>19</sup> [ვერცა რომელი პატივი] და ჰასაკი იკადრებდა განდ რეკილად სლვად, რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვით მათ მეძათაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიში და მიმართება<sup>20</sup> გზათა საღმრთოთა და<sup>21</sup> მშვიდობისათა, ესე დიდნი საქმენი. ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით ვითარ<sup>22</sup> ვერავინ ადვილნი<sup>22</sup> ამისთვისაცა შიში<sup>23</sup> და ზარი [მისი]<sup>24</sup> განითქვა კიდეთა ქვეყანისათა და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისანი.

შემოკრება ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გვლარძილი ყოვლად ბოროტთა [სომეხთა] ეპისკოპოსნი<sup>25</sup> და მონასტერთა მათთა წინამძღვარნი<sup>25</sup> მრავალნი,<sup>26</sup> რომელნი ფრიად აზმობდეს<sup>27</sup> თავთა თვისთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა, და მოაკსენეს, რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყვესმცა სიტყვის-გება და გამოძიება სჯულისა და უკვეთუ იძლივნენ, იქმნენ თანა-ერთ-კორც<sup>28</sup> სჯულითა<sup>29</sup> და თვისი<sup>30</sup>

1. ა ზარ-განკდილ ყუნის. 2. ა+თუ. 3. ა საგინებელთა. 4. მ საციცხველთა; ა საციცხველთად. 5. ა ვიეთთუის-მე. 6. ა+ ნუ იყოფინ ესე. 7. ა მრავლითა კეთილითა. 8. ა ექმნა. 9. ა პირველად; მ არამედ. 10. ა უმაღლესსა ვინ. 11. ა—. 12. ა—. 13. ა ამისთვისცა. 14. ა ვერ ოდეს ვინ. 15. მ+ყოვლად. 16. ა ღალატი რა თურთით. 17. ა წესიერება, გზა; მ წესისაებრ და გზათა 18. ა არა-წმიდათა და უწყესოთა საქმეთა. 19. ა—. 20. ამ მმართებელ. 21. ა—. 22. ა ვითარცა ვერავინ ადვილი წარმართის ეგრეთ. 23. ა+დიდი. 24. მ—. 25. ა ეპისკოპოზები, წინამძღვრები. 26. ა მრავალი ფრიად. 27. ა აზმობდეს; მ აზნაურობდეს. 28. ა -კმა. 29. ა სჯულისა. 30. ა+სჯული.

შეაჩვენონ, ხოლო უკვეთუ სძლონ, ესე-ოდენ მიემადლოს, რათა არღარ გვხედვიდეთო<sup>1</sup> მწვალებლებად. არცა შეგვაჩვენებდეთ, და<sup>2</sup> სხვასა არარას [თვინიერ] ამისსა [ვითხოვთო].<sup>3</sup> მოუწოდა მეფემანცა იოვანეს კათოლიკოსსა ქართლისასა და მის ქვეშეთა ეპისკოპოსთა და მეუღაბნოეთა, და არსენის იუ-ალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა<sup>3</sup> და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხვათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა. ყვეს უკვე სიტყვის-გება ურთიერთას ცისკრითგან [ვიდრე] ცხრა ჟამამდე და ვერა<sup>4</sup> რასა უძღეს დაბოლოებად,<sup>4</sup> რამეთუ იყო ორ-კერძოვე ძღვევისა მოყვარეობა ოდენ და ცუდი სიტყვა-პაექრობა, რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა. შეეწყინა ესე მეფესა და ჰქვა მათ: „თქვენ,<sup>5</sup> მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ-ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილასოფოსნი, და ჩვენ ვერარას ვუძღებთ ცნობად ვითარცა უსწაველნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქვენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებისა<sup>6</sup> და მეცნიერებისაგან<sup>6</sup> ვითარცა მკედრობათა<sup>7</sup> შინა აღზრდილი. ამისთვისცა უსწაველთა და ლიტონთა და მარტივთა სიტყვათა მიერ გეზრახხო თქვენ.“<sup>4</sup> ესე რა თქვა, იწყო მათდა მიმართ სიტყვათა თქმად, რომელთა ღმერთი მოსცემდა უეჭველად პირსა მისსა. ესე-ოდენთა იგავთა და სახეთა და წინა-დადებათა,<sup>8</sup> და აკსნათა<sup>9</sup> საკვრველთა მიერ, წინა-დაუდგომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა ვითარცა მეგვიპტელნი,<sup>10</sup> დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყველ, ვითარცა ოდესმე დიდმან სასილი ათინას შინა ესენივე [მწვალებელნი].<sup>11</sup> [და]<sup>12</sup> ესე-ოდენ ხარ-განკვილ ყვნა [და]<sup>12</sup> ყოვლად უღონო, რომელ აღიარეს ცხადად<sup>13</sup> ძღუეულება თვისი ამათ<sup>14</sup> ოდენ მეტყველთა, ვითარმედ: „ჩვენ<sup>15</sup> მოწაფე გვეგონე ამათ მოძღვართა თქვენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ. შენ სამე ხარ მოძღვარი მოძღვართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწვდარ არიან ეგე მოძღვარ-საგონებელნი თქვენნი.“<sup>16</sup> და ესრეთ ფრიად მაბრალებელნი თავისანი მიიქცეს სირცხვილეულნი, არღარა ოდენ მკადრებელნი ამისნი ოდესცა.

არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი, ჯერეთცა ესე-ოდენ მჭირსედ<sup>17</sup> მოლაშქრობისათვის და მკედრობათა მისთა განუსვენებელისა მიმოსლვისათვის და დაჭირებისათვის, ვითარმედ:<sup>18</sup> „არცა მშვილდი თავს-იდებსო<sup>19</sup> მარადის გარდაცმულობასა და არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა კმარებისა მათისასა თვითოეული მით<sup>20</sup> უქმარ იპოვისო<sup>21</sup>.“ და ესე-ვითართა უგიობელისა<sup>22</sup> მისთვის<sup>23</sup> და ყოვლად უმიზეზოსა იტყვიან. გარნა ისმინენ<sup>24</sup> ესე-ვითართა მათ პირველად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა, მოკლებული და<sup>25</sup> შემცირებული<sup>25</sup> ტყვეობათა და ზემოკსენებულთა ჭირთაგან. მცირე გუნდი მკედრობისა, და<sup>26</sup> იგიცა<sup>26</sup> შეჯაბნებული<sup>27</sup> მრავალ-გზის მტერთაგან სივლტოლითა, უცხენონი, უსაქ-

1. ა გუიწოდეთ. 2. ა—. 3. მ ენისასა. 4. ა ვერვინ უძღეს დაბრალობად: მ დაბრკოლება. 5. ა—. 6. ა სწავლულებასა და მეცნიერებასა 7. ა მკედრობისა. 8. მ წინა-მდებთა; ა წინა-დაუდებდა. 9. მ დაკსნით. 10. ა+და. 11. მ—. 12. მ—. 13. ა—. 14. მ ამით; ა ამისთა. 15. ა+მეფე. 16. ა—. 17. ა+ მოქალაქობისა. 18. მ და ვითარ. 19. ა თავს-იდებდა. 20. ა მ მათი. 21. ა იპოვოსო. 22. ა უგებილოთა. 23. ა მათთვის. 24. ა ისმინეთ. 25. ა მცირედ იყო და 26. ა იგინიცა. 27. ა დაჯაბნებულნი.

ურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად-მო-  
შიშნი. უკვეთუმცა ესე-ოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ  
ბრძოლითა და სწავლითა და გონიერად<sup>1</sup> და ღონიერად ძლომითა<sup>2</sup> და მრავ-  
ალთა [მათ] მიერ ძლევათა მოგვარებითა<sup>3</sup> არა განეწყვართნეს სპანი თვისნი  
და [არა] განეკადრნეს<sup>4</sup> წყობათა მიმართ<sup>5</sup> მკნეთა ქებითა და ნიჭთა მიცემითა,  
ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცმითა, კიცხევითა [და] ძაგებითა არა<sup>6</sup> მოე-  
ლონა, ვიდრემდე სპათა შორის მისთა ყოვლად არავინ<sup>7</sup> იპოებოდა ჯაბანად  
ზრახული, რათამცა ექმნნა<sup>8</sup> ესე-ოდენნი ძლევანი ანუ რათამცა<sup>9</sup> აღეხენა<sup>10</sup>  
ეზომნი<sup>11</sup> დიდნი<sup>11</sup> სამეფონი? ნუ უკვე ძილითა, ანუ ადვილთა მწვანევილოვ-  
ანთა [ზედა]<sup>12</sup> მოსმურობითა და განცხრობითა, და მაჩუკნებელთა<sup>13</sup> საქმეთა  
შედგომითა?! არა ესრეთ, არა!<sup>14</sup>

არამედ არა<sup>15</sup> ალექსანდრეცა<sup>15</sup> ქმნა ესრეთ? — რამეთუ პირველად მა-  
მულისა თვისისანი შეიკრიბნა დი მით დაიპყრნა დასავალნი<sup>16</sup>: ევროპი.  
იტალია, ჰრომნი და აფრიკეთი, და მათთა<sup>17</sup> თანა<sup>17</sup>-წარტანებითა დაიპყრა  
ეგვიპტე შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგვიპტით პალესტინე და ფინი-  
კე,<sup>18</sup> და კილიკიისა<sup>19</sup> თვისად შემქმნელი წინა-განეწყო დარიოზს, და რა-ჟამს  
სპარსეთი მოირთო, მაშინ-ღა ჰბრძო<sup>20</sup> პოროს ჰინდოსა.<sup>21</sup> და ეგრეთ-ღა ამით  
ყოვლითა მოვლო ყოველი ქვეყანა [და ქმნა]<sup>22</sup> რა იგი ქმნა, თუ არა, ქართველ-  
თა<sup>23</sup> ოდენ<sup>24</sup> სპითა ვერცა რასა ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუცა<sup>25</sup>  
დავითს სპარსთაცა<sup>26</sup> ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი,  
ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინცა გენახნეს<sup>27</sup> ნაქმარნი მისნი და სხვა-  
თა<sup>28</sup> ქებულთანი.

ვთქვა მეორეცა მიზეზი ამის<sup>29</sup> პირისა: ვინათგან ნათესავი ქართველთა  
ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს გან-  
დიდნენ,<sup>30</sup> განსუქნენ, მშვიდობა პოვონ და განსვენება, იწყონ<sup>31</sup> განზრახ-  
ვად<sup>32</sup> ბოროტისა, ვითარცა მოგვეთხრობს ძველი მატანე ქართლისა და საქ-  
მენი აწ ხილულნი, და ესე მან უბრძენსმან ყოველთა კაცთამან კეთილად სა-  
დამე უწყოდა, ამისთვისცა არა-ოდეს მოაცალა ამისად<sup>33</sup> განზრახვად, ანუ  
განსვენებად, ანუ შეკრებად ერთად<sup>34</sup> [და]<sup>35</sup> ქმნად რასამე ესე-ვითარსა. არა-  
მედ საქმეთა რომელთა იწყო ქმნად, განასრულნაცა მალლად და<sup>36</sup> შევნიერ-  
ად. — ნუ უკვე [და]<sup>37</sup> ლომსაცა აბრალონ ეგვევითართა, რამეთუ არა ციდა-  
მტკაველურად იხედავს, არცა კვერნურად<sup>38</sup> ჰკრთების!

ყოვლად სხვასა ბრალობასა შემოიღებენ, მეტყველნი: შეიყვარნის ვინ-  
მეო და განადიდნის, მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო,<sup>39</sup> ესე აღამაღლის  
და ესე დაამდაბლისო.—ეჰა უსამართლოებასა! ჰოჲ უგუნურებასა! ამისთვის

1. ა გუარიანად. 2. ა წინა-ძლომითა. 3. ა მოგონებითა. 4. ა განეკადრნი-  
ერნეს. 5. ა მიერ. 6. ა არამცა. 7. ა არა. 8. ა მ ექმნეს. 9. ა+ექმნეს და.
10. ა აღეხუნეს; მ აეხუნეს. 11. ა ესეოდენნი. 12. მ— 13. ა მაჩუკნებელ.
14. ა —. 15. ა მ არცა ალექსანდრე. 16. ა დასავალისანი. 17. ა მათით. 18.
- ა პინიკე. 19. ა კილიკიისა. 20. ა სძლო. 21. შეად. Pseudo-kalistenes. 22. მ—.
23. ა ქართველითა. 24. ა —. 25. ა მ თუმცა. 26. ა სპარსთა; მ სპარსთამცა.
27. ა ნახნეს; მ განახუნეს. 28. ა+დიდთა. 29. ა ამისვე. 30. მ გამდიდრდენ.
31. მ იწყებენ. 32. ა მ განზრახვა. 33. მ ამისდა. 34. ა—. 35. მ—. 36. ა—.
37. მ—. 38. ა კვერნულად. 39. ა დამცურნისო.

აბრალებთ-ა,<sup>1</sup> რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა მიემსგავსა<sup>2</sup> რათაცა<sup>3</sup> საქ-  
მითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან?<sup>4</sup> ამისთვის რად<sup>5</sup> არა<sup>6</sup> ღმერთსაცა<sup>6</sup> აბრა-  
ლებთ<sup>7</sup>, უგუნურო<sup>8</sup>, ამასვე ესრეთ მოქმედსა? ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ  
მყოფელსა მისცნა ათნი ქანქარნი,<sup>9</sup> ანუ [არა ერთისა<sup>10</sup> დამფლველსა მოულ-  
ო იგიცა და მისცა მას]<sup>10</sup> ათთა ზედა მეთერთმეტედ?<sup>11</sup> ანუ რასათვის ქადებ-  
ულ<sup>12</sup> არიან სამოთხისა შებანი და სასუფევლისა ნეტარებანი ღმრთისა ნე-  
ბის-მყოფელთათვის<sup>13</sup> და საშინელებანი გენისანი<sup>14</sup> ურჩთა და უღირსთათ-  
ვის? უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი ნაცვლად ორგულ-  
თა, [ჯაბანთა<sup>15</sup> და უღირსთა აღიდნის, რა უსამართლო]<sup>15</sup> ქმნა? ნუ უკვე  
[და]<sup>16</sup> დუხჭირმანცა აბრალის სარკესა, რამეთუ სახე<sup>17</sup> მისი<sup>17</sup> ცუდად უჩვე-  
ნის<sup>18</sup> უკმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თვისთა აბრალებდენ,  
რამეთუ<sup>20</sup> არავინ იყო ესე-ოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ  
ვედრებასა<sup>21</sup> კაცთასა<sup>22</sup>, რომლისა აჩრდილსა<sup>23</sup> შეკრებულ იყვნეს ერნი,  
ტომნი და ენანი, მეფენი და კელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომ-  
ხეთისა<sup>24</sup> და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისაებრ ნაბუ-  
ქოდონოსორისა: „ვხედეოდი, იტყვის, ხესა შორის ქვეყანისა, სიმაღლედ ცი-  
სა შამშომსა, და რტოთა მისთა კიდედმდე ქვეყანისა. ფურცელნი მისნი  
შვენიერ და ნაყოფი მისი ფრიად და<sup>25</sup> საზრდელ<sup>26</sup> ყოველთა<sup>27</sup> მის<sup>28</sup> შორის.  
ქვეშე კერძო<sup>28</sup> მისსა დაიმკვიდრეს მკეცთა ქვეყანისათა და შორის რტოთა  
მისთა მკვიდრობა<sup>29</sup> ყვეს<sup>29</sup> მფრინველთა ცისათა. და მისგან იზრდებოდა ყო-  
ველი კორციელი<sup>30</sup>.“ აჰა<sup>31</sup> სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანა-შეტ-  
ყუებულნი ჩვენისა თვითმპყრობელისა, და<sup>32</sup> ყოვლად გამომსახველი სიტყვით  
საქმეთა [მისთა]<sup>33</sup> თვალითა<sup>34</sup> ჩვენი<sup>34</sup> ხილულთა<sup>35</sup>.

რამეთუ სიტკბოებისა, [სახიერებისა]<sup>36</sup> და სიბრძნისა მისისა ხილვად  
წყურიელნი კიდით ქვეყანისათა შემოკრებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ესო-  
დენ<sup>37</sup> ტკბილ შემთხვევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ  
დუმილითა! იგივე შვენიერ ხატითა, უშვენიერეს მორთულობითა გვამისათა.  
შეწყობილ ანაგები<sup>38</sup>, ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვი-  
ლითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვი-  
თა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძენს გამორ-  
ჩევითა, მარტივ სახითა, მრავალ-სახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებ-  
ითა, მაქებელ განმსწავლელობითა,<sup>39</sup> და არცა ერთისა კეთილთაგანისა შემა-  
შობებელ უზომოებითა, მაღალ უმაღლესთათვის, მდაბალ უმდაბლესთათვის.

1. ა აბრალება; მ აბრალებ. 2. ა ემსგავსა. 3. მ რომლითაცა. 4. ა+ჰოჲ  
კაცო. 5. ა რადლა. 6. ა ღმერთსა. 7. ა მ აბრალებ. 8. ა მ უგუნურო. 9. ა  
ქალაქნი. 10. მ—. 11. მ მეთერთმეტედ. 12. ა ქადაგებულ. 13. ა+ქეშმარი-  
ტად. 14. ა—. 15. მ—. 16. ა ანუ უკეთუ. 17. ა სახესა. 18. ა ცხადად 19  
ა უჩნს. 20. ა მ უკ[უ]ეთუ. 21. ა ვითარებასა. 22. კაცისასა. 23. ა ჩრდილსა.  
24. მ სომხეთისა. 25. ა—. 26. ა საზრდელი. 27. ა—. 28. ა მისი. შორის  
ქუე-კერძო. 29. ა; მ მკვდრყუეს. 30. დანიელ, 4, 10. 31. ა+ესერა. 32. ა—.  
33. ა მ —. 34. ა მ თვალთა ჩვენ[თა]. 35. ა ახილულთა. 36. მ—. 37. ა ეზ-  
ომ. 38. ა ანგელოზთა ანაგებითა. 39. მ განსწავლულლებითა.

და თვით<sup>1</sup> მათ მტერთაგანცა<sup>1</sup> საწადელ და საყვარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა.<sup>2</sup> ვინ ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი ზიოარ მან შეიკრიბა<sup>3</sup> ყოველი, ვინ<sup>4</sup> ყოველთაგანმან ერთი ვითარ მან<sup>4</sup> სრულებით თვითეთული, რომელი ყოველთათვის შეუძლებელ არს დაკვირვებად<sup>5</sup> ოდენ, არა თუ მიბაძვად<sup>6</sup>, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა<sup>7</sup> შინა.

ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტვირთთა<sup>8</sup> სათნოებისათა, არაღარა შემძლებელ წარსლვად ლადირთა<sup>9</sup>, და აქენდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება<sup>10</sup> სამეფოთა მისთა, მაშინ დიდმან<sup>11</sup> წინა-განმგებელმან ცხორებისა ჩვენისამან, და ყოვლისავე შემცვალელებელმან<sup>12</sup> უმჯობესად.<sup>12</sup> განგებითა მით, რომელი მან უწყის და განაწყისებს ჟამთა და წელთა ჩვენთა, ესრეთ განაგო ვითარცა მუშაკმან კეთილმან რაჟამს იხილნის კუვილნი აღსავსედ ნაყოფითა და ქვეყანად დადრეკილნი, ისწრაფის დაუნჯება მათი, და ვითარცა მენავემან ბრძენმან განიცადის რა ნავი თვისი აღსავსედ მრავალფასითა<sup>13</sup> ტვირთითა, მიისწრაფის ნავთ-სადგურად, რათა არა-რა ევენოს<sup>14</sup> სლვასა<sup>15</sup> [შინა]<sup>15</sup> მისსა ზღვისა მრავალ-მღელვარობისაგან.<sup>15</sup> — რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა გარეგან<sup>16</sup> სადამე<sup>17</sup> ნაკიდურსა,<sup>17</sup> არამედ საშუალ თვისთა სამეფოთა, ადგილსა<sup>18</sup> თვით მის მიერვე წინათაგანჩინებულსა<sup>19</sup> განსასვენებელად,<sup>20</sup> მისაძინელად,<sup>21</sup> ვითარცა<sup>22</sup> ჰრულითა რათამე შევნიერითა დაიძინა მამათა თვისთათანა, და თვით მებრ.

ესე კმა არს საცნაურ-ყოფელად საკუთრებისა მისისა<sup>23</sup> ღმრთისა მიმართ: რამეთუ მრავალ-გზის მრავალთა სიკვდილისა მიზეზთა და განსაცდელთა შთავარდა იგი, რომელთაგან მცირედი მიესცეთ თხრობასა:<sup>24</sup> ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარსა წარექცა ცხენი და ესე-ოდენ შეიმუხრა, რომელ<sup>25</sup> სამ დღე<sup>26</sup> ყოვლად უსულოდ მდებარე იყო,<sup>27</sup> უძრავად, სამშვიდველისაგან ოდენ საცნაური ცოცხლად, და შემდგომად სამისა<sup>28</sup> დღისა<sup>28</sup> მტკნარისა<sup>29</sup> სისხლისა<sup>29</sup> აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყვა და ძალითაღა<sup>30</sup> აღდგა ცოცხალი. და ესე-ვითარი მრავალ-გზის შეემთხვია და ღმერთმან იკსნა სიკვდილისაგან. — კვალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს, და მეფე კარსა კარვისა<sup>31</sup> თვისისასა<sup>31</sup> დგა პერანგითა მოსილი ოდენ, შუა-დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი და ჰკრა ხატსა მთავარ-ანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით. — რაოდენ გზის ყივჩაყთა<sup>32</sup> [თანა]-ყოლილთა<sup>32</sup> განიზრახენ

1. ა მტერთაგანცა თვით. 2. ა მ შეკდიმებულთა. 3. ა შეკრიბა. 4. ა—. 5. ა დაკუთრება. 6. ა მიბაძვება. 7. მ ყოველთა. 8. ა მ ტვირთითა. 9. Ta Gadeira. 10. ა—. 11. ა+მან. 12. ა უმჯობესისა შემცვალელებელმან; მ შემძლებელმან. 13. ა მრავალფერითა. 14. მ ივენოს. 15. ს სოფლისა ამის მღელვარისა ზღვისაგან; მ სოფლისა მის ზღვისა და შემდგ.. 16. ა გარეგანად; მ გვირგვინ. 17. ა მენაკიდურსა. 18. ადგილთა. 19. ა განჩინებულთა. 20. ა+და. 21. ე. ი. გელათს. 22. ა—. 23. ა თვისისა. 24. ა+ რამეთუ. 25. ა +სადმე. 26. მ (რომელ)სამე დღე. 27. მ—. 28. ა სამ დღე; მ სამი დღე. 29. ა ნამეტსა სისხლისასა; მ ნამტკნარისა სისხლისასა. 30. ა ძლითა. 31. ა კარვისასა. 32. ა ყივჩაყთა თვისთა; მ ყივჩაყთა ყოვლითა.



ღალატი,<sup>1</sup> განაჩინეს კაცნი მკნენი, რომელნიმე<sup>2</sup> კრმლითა,<sup>2</sup> რომელნიმე<sup>3</sup> შუბითა<sup>3</sup>, სხვანი ისრითა, და ესე<sup>4</sup> არა ერთ, არა<sup>5</sup> ორ, გინა სამ, არამედ მრავალ გზის, და არაოდეს მიუშვა [ღმერთმან]<sup>6</sup> კვერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა, არცა ოდეს მისცა იგი კელთა მეძიებელთა მისთასა. — დაღათუ დევნასა თურქთასა მარტოდ<sup>7</sup> ეპყრის<sup>7</sup> მრავალ-გზის, ანუ უსაჭურველო, გარნა კელი<sup>8</sup> იგი ზეგარდამო ჰფარვიდის მას<sup>9</sup> მდევართა მისთავან.

არამედ ყოვლადვე და ყოველსა შინა საქმესა<sup>10</sup> მისსა<sup>10</sup> იყო ბედნიერ და სვიან და<sup>11</sup> მადლითა აღსავსე. ეგრეთვე ჟამსა შინა ბედნიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შეყვარებულსა თვისსა და მარადის მოსურნეს სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა, და არღარა მიუშვა მრავალ-ჟამ სჯად და ჭირვებად<sup>12</sup> სამსხემოსა ამას კედარსა შინა მკვიდრობითა და კორცთა ამათ ქვე-დამზიდველთა მიერ შეკრვად სულისა<sup>13</sup> [და<sup>14</sup> გონებისაღმრთივ]-ქმნულისა,<sup>14</sup> არცა განხრწნადითა გვირგვინითა და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცნითა უმრავლესად მღერად, არამედ ნამდვილ ქემშარიტითა და<sup>15</sup> მტკიცითა, წარუდგინებელითა და სამარადისოთა სადა იგი<sup>16</sup> თვით<sup>16</sup> ღმერთი მეუფებს მადლითა ღმრთებრივ-ქმნულთა<sup>17</sup> ზედა, მუნ აღიყვანა მის თანა მეუფებად,<sup>18</sup> უხრწნელითა და ბრწყინვალითა გვირგვინითა და პორფირითა შემეკული, სადა იგი აწ მკვიდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთისასა<sup>19</sup>. — რამეთუ იყო მაშინ თვე იანვარი კდ<sup>20</sup>, და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო ტმე,<sup>21</sup> ხოლო წელიწადნი მისნი შობითგან მიბ<sup>22</sup>, ხოლო მეფობდა ოც-და-ათ-ექვს<sup>23</sup>-მეტ წელ.

და ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამანცა თვისითა კელითა დასვა საყდართა<sup>24</sup> თვისთა<sup>24</sup> ძე თვისი დიმიტრი, სახელით ოდენ<sup>25</sup> ცვალებული<sup>25</sup> გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა,<sup>26</sup> და დაადგა თავსა შევნიერსა<sup>27</sup> გვირგვინი<sup>28</sup> ქვათავან პატიოსანთა, ვიტყვი უკვე სათნობათა მამულთა, და შეაბა წელთ ძლიერთა მახვილი,<sup>29</sup> რაბამ სვიანად კმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა, და<sup>30</sup> დაულოცა ცხორება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით. თაყვანის-ცემად მისა მეფეთა ქვეყანისათა, და ყოველთა წარმართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე, და მრავალი მშვიდობა.

და<sup>31</sup> ესრეთ განცვალა ქვეყნად<sup>32</sup> მოქალაქობა ზენად სუფევად, რომლისა მკვიდრნი დაქსნილ<sup>33</sup> არიან შრომათავან,<sup>34</sup> ოფლთა და<sup>35</sup> ზრუნვათა, და მუნ მეუფებს<sup>36</sup> სიმდიდრეთა მათ ზედა, რომელნი წინა-წარგზავნა საუნჯეთა მათ უშიშთა მდილთა<sup>37</sup> და მპარველთავან,<sup>37</sup> დაღეენისავან და მოკლები-

1. ა+და. 2. ა—. 3. მ შუბებითა. 4. მ ესენი. 5. ა და. 6. მ—. 7. ა მ დაეპყრის. 8. მ კმა. 9. ა მ—. 10. ა—. 11. ა—. 12. ა დაჭირვად. 13. ა სულსა. 14. ა გონება-ქმნულსა; მ გონება-ქმნილსა. 15. ა—. 16. ა თვით იგი ბუნებით. 17. ა ღმერთ-ქმნილთა; მ ღმრთივ-ქმნულთა. 18. ა მეფობად. 19. ა ღმრთაებისასა. 20. 24. 21. 780+345—1125. 22. 52; ვარიანტში შეცდომით მიგ-53. 23. ვარიანტში შეცდომით 34. 24. მ საყდარსა თვისსა. 25. ა სახელდებულნი მარადღე. 26. ა—. 27. ა—. 28. ა+შვენიერი. 29. ა+ეკა. 30. ა—. 31. ა—. 32. ა მ ქუეყანა. 33. ა მ განკსნილ. 34. ა+და. 35. ა—. 36. ა მეფობს. 37. მ+უშიშთა; ა—.



სა, — ქალაქსა მას, რომლისა შვენიერება არა უხილავს თვალსა სხეულოვანისასა და რომლისა ბრწყინვალეობასა ვერ აღუვალს გული კორციელისა, ვერცა სასმენელი დაიტევს სმენილსა.<sup>1</sup> რამეთუ ნამდვილ<sup>2</sup> მუნ არს შება,<sup>2</sup> რომელსა არა აქვს მწუხარება, და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს<sup>3</sup> სიგლახაკე, და სიხარული, რომელსა არა<sup>4</sup> გაჰკვეთს<sup>4</sup> ურვა და შფოთება,<sup>5</sup> რომელსა<sup>6</sup> არა აქვს<sup>6</sup> აღსასრული, და მუნ არს ცხობრება, რომელსა ვერა შეამღვრევს<sup>7</sup> სიკვდილი.

---

1. ა —. 2. მ ბუნება...; ა შრომა, შება და სიხარული, და. 3. მ აქვს. 4. მ გაჰკრთეს. 5. მ მეუფება; ა მეფობა. 6. რომლისა არ არს. 7. ა შეამღვრევს.

**კრებულის ფონდი, №№ 24-26**

შემოსწირეს: ყ. დ-ემ — 30.000 ფრ., გ. დევდარიანმა — 14.000 ფრ., დ. ბერეკაშვილმა — 10.000 ფრ., პროფ. ალ. ნიკურაძემ — 10.000 ფრ., გ. მაღალაშვილმა — 10.000 ფრ., დ. გიორგობიანმა — 10.000, ქ. სასანიამ — 7.500 ფრ., ინგლისიძეან ბ. ქუთათელაძის საშუალებით — 4.500 ფრ., ო. ვალტონ-შანიძემ მოსე შანიძის ხსოვნისათვის — 4.000 ფრ., ზ. მაჩაბელმა — 3.000 ფრ., სტამბოლის ქართული მონასტრიდან ბ. პავლემ — 3.000 ფრ., მ. უღენტის საშუალებით 3.000 ფრ., ექ. ი. ცინცაძემ — 2.500 ფრ., დ. ანჯაფაროძემ — 2.500 ფრ., ქ. ვაჩნაძემ — 2.000 ფრ., კ. ბაგრატიონმა — 2.000 ფრ., ვ. ქიქოძემ — 2.000 ფრ., ვ. კობახიძემ — 2.000 ფრ., ა. გამსახურდიამ — 2.000 ფრ., პოლანდიიდან მანმა — 2.000 ფრ., ათას-ათასი ფრანკი: დ.მ. ლანგმა, შ. ბერიძემ, ირ. ოთხმეზურმა, ალ. ტატიშვილმა, ვ. მღებრიშვილმა, გ. წერეთელმა, ი. კობახიძემ, მ. მერლეტმა, ი. თაყაიშვილმა და ვ. ტუღუშმა.

**სულ — 136.000 ფრანკი**

რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველ მეგობრებს, რომელნიც სისტემატიურად გვეხმარებოდნენ, რომ „ბედი ქართლისამ“ იცოცხლოს.

**PRIX DU NUMERO : 500 Frs**